„არა არს დაფარულ, რომელი არა განცხადდეს" A3

სად წავიდა ენერგეტიკისთვის გამოყოფილი მილიონები A8

პრობლემა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 8 ნოემბერი, 2004 წელი. №265 (814) | ფასი 50 თეთრი

### უცხოეთი

## ტირანის დამხობიდან საგანგებო მდგომარეობამდე



ომის ოფიციალურად დასრულებიდან 20 თვის შემდეგ ერაყში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება.

A5

### საზოგადოება

## "შერატონის" ტრადიცია



ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებზე ზრუნვა "შერატონ მეტეხი პალასის" ტრადიციაა.

A6

### სამართალი

## რა ბედი ეწია საქართველოში მოპარულ რადიოაქტიურ ნივთიერებას

დასავლეთი სამართლიან შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში ინახება უზარმაზარი რაოდენობის რადიოაქტიური ნივთიერებები.

A7

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

B6-B7

### ამინდი

| | 8/11 | 9/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 16 | 17 |
| ქუთაისი | 22 | 24 |
| ბათუმი | 23 | 24 |
| სოხუმი | 21 | 22 |
| ფოთი | 23 | 25 |
| თელავი | 14 | 16 |
| ზუგდიდი | 24 | 25 |
| გორი | 13 | 15 |
| ახმეტა | 14 | 17 |
| გაგრა | 19 | 21 |
| სამტრედია | 22 | 24 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8100 |
| ევრო | 2.3275 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3288 |
| რუბლი | 0.0631 |

# "არ აჰყვეთ პროვოკაციებს!"

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარება კვლავ დაძაბულია



*უკიდურესად დამძიმებული სიტუაციის ფონზე ქართულ, რუსულ და ოსურ მხარეებს შორის რამდენიმედღიანმა მოლაპარაკებებმა გუშინ შედეგი გამოიღო.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ბოლო დღეებში უკიდურესად დაძაბული სიტუაცია გუშინ შედარებით განიმუხტა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქართულმა და ოსურმა მხარეებმა მძევლები გაცვალეს. მძევლების გაცვლა შუადღისას, ცხინვალი-თამარაშენის საზღვარზე, ბარიკადებს შორის, იმ ადგილას მოხდა, სადაც ბოლო დღეებში სეპარატისტულ ხელისუფლებას მობილიზებული ჰყავდა მძიმე საბრძოლო ტექნიკა და სადაც სამხედრო თუ სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილი უამრავი შეიარაღებული პირი იმყოფებოდა.*

ხუთი დღის წინ გატაცებული ქართველის, სოფელ კეხვის მკვიდრის ელდარ კახნიაშვილის ნათესავებმა და თანასოფლელებმა ოსურ მხარეს ის ექვსი მძევალი გადასცეს, რომლებიც სოფელ კეხვში მათ სამი დღის განმავლობაში ჰყავდათ დატყვევებული. ქართველებს ოსი ეროვნების მოქალაქეები კახნიაშვილის

გაგრძელება A7 გვერდზე

# ვის უყურებს მსოფლიო?

2004 წლის არჩევნების გმირები

ირაკლი კაკაბაძე
ვაშინგტონიდან

2004 წელს მსოფლიოს რამოდენიმე ქვეყანაში არჩევნები გაიმართა. ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, ესპანეთი, ავღანეთი, უკრაინა და სხვები ლიდერებს ირჩევენ. 2004 წლის პირველი არჩევნები საქართველოში ჩატარდა. რუსეთში ვლადიმირ პუტინის გამარჯვება თავიდანვე ეჭვს არ იწვევდა. იქ უკვე დიდი ხანია, ტოტალიტარული სტილის მმართველობა ხალხის დიდი რაოდენობის მხარდაჭერით სარგებლობს. რაც შეეხება ჯორჯ ბუშის ასეთ დამაჯერებელ გამარჯვებას, ეს მისი თანაპარტიელი რესპუბლიკელების უმრავლესობისთვისაც სიურპრიზი იყო. ერაყში ომის მიმდინარეობისას განცდილი ფიასკოს, 1100-ზე მეტი დაღუპული ჯარისკაცის, მაიკლ მურის ფილმში მისი ოჯახის ბინ ლადენის ოჯახთან კავშირის მხილების და სხვა მრავალ ფაქტორთა მიუხედავად, ბუშმა 2 ნოემბრის არჩევნებში მეტად შთამბეჭდავად გაიმარჯვა. მისი მოწინააღმდეგე დემოკრატები უკვე მესამე დღეა, ქალაქში გაოგნებული დადიან. მათ არც კი იციან, რა სახელი დაარქვან ამ მოვლენას. მიუხედავად იმისა, რომ სენატორ ჯონ კერის ალ გორთან შედარებით რამდენიმე მილიონით მეტმა ადამიანმა მისცა ხმა, მისი რესპუბლიკელი ოპონენტის 60 მილიონიან არმიას ის მაინც ვერ დაუპირისპირდა. ლიბერალები ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ რისი გამოსწორება შეიძლება მომავალი არჩევნებისათვის მზადების პერიოდში. ამ დღეებში ყველაზე მეტად აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ დემოკრატიული პარტიის ღია მხარდაჭერა ჰომოსექსუალისტთა ქორწინებისადმი, მისთვის ბუმერანგად მოტრიალდა. ჰომოსექსუალური ქორწინების დაკანონების რეფერენდუმი 2 ნოემბერს 11 შტატში გაიმართა, მათ შორის ოჰაიოშიც, რომელმაც გადაწყვიტა საპრეზიდენტო არჩევნების ბედი. ყველა 11 შტატში ამომრჩევლებმა ჰომოსექსუალისტთა ქორწინების აკრძალვა მოითხოვეს და ამით კონსერვატიულ კანდიდატებს გადამწყვეტი უპირატესობა მიანიჭეს. დემოკრატიული პარტიის ლიდერები კი გამოჩნდნენ, როგორც მდიდარი, გარყვნილი ელიტის წარმომადგენლები, რომელთაც ერთსქესიანი ქორწინების დაკანონება და საერთოდ სექსუალური საკითხები ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. ეს, რა თქმა უნდა, არასწორი წარმოდგენაა, მაგრამ მასში სიმართლის პატარა მარცვალი მაინც არის. 90-იან წლებში დაწყებული პოსტმოდერნული იდენტურობის ომებმა ევროპულ და ამერიკულ ლიბერალიზმს საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი ერა ქართულ ბალეტში



*"თურმე შეძლებიათ", თურმე ყველაფერი შესაძლებელია - ყოველი მეორე იმეორებდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# აფხაზეთის მოსახლეობა საშიშროების წინაშეა

*"ჩვენ პროფესიონალები ვართ და მკვეთრად ვგრძნობთ, რომ საზოგადოება იმ წერტილს მიუახლოვდა, როდესაც ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერის ბედი საშიშროების წინაშეა," – აცხადებენ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.*

ნინო გომართელი

**„მოსკოვში მე ვთქვი, რომ ჩემს მომხრეებთან განვიხილავდი ამ საკითხს. ჩვენ ვისაუბრეთ. ჩემი მომხრეები გამორიცხავენ ხელმეორე არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას, რადგან ამისათვის არანაირი მიზეზი არ არსებობს. სწორედ ეს გადაწყვეტილება გუშინ მე მოსკოვს გადავეცი,"** – ეს განცხადება გააკეთა აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა სერგეი ბაგაფშმა, რაც ცხადყოფს, რომ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მოწინააღმდეგე კანდიდატებმა კომპრომისი ვერ მოძებნეს და რომ აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ძალას იკრებს არჩევნების შემდგომი ხელისუფლების კრიზისი – მმართველი ელიტის კანდიდატი რაულ ხაჯიმბა დეკემბერში ხელმეორე საპრეზიდენტო არჩევნების გამართვას კვლავ მოითხოვს, სერგეი ბაგაფში კი საკუთარ გამარჯვებას გადაწყვეტილად მიიჩნევს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მსოფლიო თასი ჩვენია

მას ვერავინ შეგვეცილება



*მსოფლიო თასი თბილისში დარჩა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# დანიშვნიდან - არჩევითობისკენ

საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელები (მერები) აირჩევიან პირდაპირი და საყოველთაო კენჭისყრით, ქალაქის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. დღემდე ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს თბილისისა და ფოთის მმართველობის ორგანოთა პირველი პირების თანამდებობაზე დანიშვნა, - მათ საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს. შესაბამისად, აღნიშნული პირები თავის უფლებამოსილებას იხსნიან და ანგარიშვალდებული არიან პრეზიდენტის წინაშე.

ასეთი მდგომარეობა წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის ძირითად კანონთან, კერძოდ, კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობები არჩევითია. ამასთან, ეს წესი ეწინააღმდეგება რეალური თვითმმართველობის პრინციპების დამკვიდრებას, რაც, სხვათა შორის, შედის ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებში.

ქვეყნის ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალა, რომ დადგა დრო, ადგილობრივ თვითმმართველობებს მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭოს. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის მიერ 26 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველო უერთდება

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 თვალსაზრისი | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მონიტორინგი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 პრობლემა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

რეგიონი

# ზურაბ ნოღაიდელს კანონპროექტს კახელებიც უწუნებენ

*კახეთის რაინების საკრებულოს თავმჯდომარეები აცხადებენ, რომ მთავრობის ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ინიციატივები თვითმმართველობის ორგანოების გაუქმებისკენაა მიმართული. საქართველოს ქალაქთა თვითმმართველობის კავშირის და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციასთან გურჯაანში გამართულ შეხვედრაში კახეთის რვავე რაიონის თვითმმართველობის წევრები მონაწილეობდნენ.*

კანონპროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შესახებ, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ ამ რამდენიმე თვის წინ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად წარუდგინა, თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან მასობრივი პროტესტი მოჰყვა. **"აღნიშნული კანონპროექტი დღევანდელობას არ ესადაგება. ეს იმ დროს, როცა სახელმწიფო პოლიტიკა, თვითმმართველობის საერთაშორისო პრაქტიკის პრინციპებზეა აგებული,"** - ამბობს საქართველოს ქალაქთა თვითმმართველობის კავშირის თავმჯდომარე პაატა მირზაშვილი.

საგულისხმოა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილი კანონპროექტი, ხელს უშლის თვითმმართველობის განხორციელებას. კერძოდ, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს არ ეძლევათ საშუალება, თავისუფლად აწარმოონ დამოუკიდებელი ფისკალური, საფინანსო პოლიტიკა და ჰქონდეთ დამოუკიდებელი, მყარი შემოსავლების გარანტიები, განკარგონ საკუთარი სახსრები. გარდა ამისა, დღემდე გადაწყვეტილი არ არის თვითმმართველობის ორგანოების ქონებრივი საკითხებიც: **"ეს იმ დროს, როდესაც, რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სახელისუფლებლო სტრუქტურები საგრძნობლად გაძლიერდა. ვხედავთ, რა საუკეთესო პირობები აქვთ მათ შექმნილი. ე.ი. გამოვიდა პირიქით, გაძლიერდა ზემდგომი სტრუქტურები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ყურადღების მიღმა დარჩა,"** - აღნიშნავენ სოფლების ხელმძღვანელები.

კანონპროექტთან დაკავშირებით აღშფოთებას ვერ ფარავს ქალაქ გურჯაანის მერი ალექსანდრე სირბილაშვილი. მას მიაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, მუნიციპალური საგადასახადო ინსპექციის სახით, აუცილებლად უნდა გააჩნდეს სააღმსრულებლო ბერკეტი, რომლითაც ადგილობრივ შემოსავლებზე კონტროლს და ბიუჯეტში სახსრების მობილიზაციას შეძლებს: **"თუ დღეს სრულყოფილი ბიუჯეტი არა გვაქვს, როგორც რაიონის, ასევე ქალაქისა და სოფლის დონეზე, ეს საგადასახადო ინსპექციის ბრალია, რომელთანაც ჩვენ არანაირ შეხებაში არა ვართ, უფლება არა გვაქვს მათი გაკონტროლებისა და დასჯისა. გამოდის, რომ ჩვენი შემოსავლები დამოკიდებულია სახელმწიფო ორგანოებზე. ჩვენ, თვითმმართველობას, უნდა გვქონდეს ბერკეტი, რომლითაც ადგილობრივი შემოსავლების უზრუნველყოფას მოვახდენთ. ამ ეტაპზე კი ადგილობრივ თვითმმართველობას არ შეუძლია, გადაწყვიტოს მიწათსარგებლობის და გარემოს დაცვის საკითხებიც კი,"** - აცხადებს ალექსანდრე სირბილაშვილი.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები ალტერნატიული კანონპროექტის შემუშავებას და პარლამენტში განსახილველად შეტანას აპირებენ. **"პროექტი, რომელიც ფინანსთა სამინისტრომ განსახილველად საკანონმდებლო ორგანოს წარუდგინა, პირველ რიგში, თვითმმართველობის და მმართველობის კანონთან მოდის შეუსაბამობაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თვითმმართველობას მცირე შანსი აქვს იმ კანონით განვითარდეს, რომელიც ნოღაიდელმა პარლამენტს შესთავაზა,"** - ამბობს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი ბესიკ ბრეგაძე.

უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან შეხვედრამდე, მთავრობის მიერ პარლამენტში შეტანილი ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თაობაზე პროტესტი ქართლის რეგიონმაც გამოხატა. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ექსპერტების მიერ შემუშავებული ალტერნატიული პაკეტი არ მიიღო განსახილველად, ქვეყნის ყველა რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობა, ხმამაღალი განცხადების გასაკეთებლად, თბილისში აპირებს შეკრებას.

*ზვიად რუაძე*

# განათლების მინისტრის სამი დღე გურიაში

განათლების მინისტრის სამდღიან ვიზიტს გურიაში წინ უძღოდა "ახალი მემარჯვენეების" მიერ ორგანიზებული აქცია, რომელიც მიზნად ისახავდა ხელმოწერების შეგროვებას ალექსანდრე ლომაიას გადაყენების მოთხოვნით. ხელისმომწერთა რაოდენობა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, ხელმოწერის მაგიდასთან, რომელიც კინოთეატრ "ოზურგეთის" წინ იდგა, რიგი არ ყოფილა, მხოლოდ რამდენიმე ცნობისმოყვარე თუ შეგროვდა.

ალექსანდრე ლომაია სამინისტროს რამდენიმე მაღალჩინოსანთან ერთად ეწვია გურიას და სამი შეხვედრა გამართა ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და ოზურგეთის პედაგოგიურ საზოგადოებასთან. ჩვენი განათლების მამებმა კოლეგათა საკმაოდ რიცხვმრავალ კრებულს მიმდინარე წლის რვა თვის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიში, ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი და განათლების რეფორმის პროექტის ძირითადი მიმართულებები გააცნეს. მათი მსჯელობა იმდენად დასაბუთებული და არგუმენტირებული გახლდათ, რომ წინდაწინვე კრიტიკის პათოსით დამუხტული პედაგოგების განწყობა განეიტრალდა.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ოზურგეთის N2 საშუალო სკოლაში გამართული სჯა-ბაასი, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა ელექტრონის, სანთლებისა და გენერატორის შუქის მონაცვლეობითი თანხლებით. იმავე ღამეს განათლების მაღალჩინოსნებმა გურიის ტელევიზიის პირდაპირი ეთერით სრულიად გურიის მოსახლეობასაც გააცნეს ყველაფერი ის, რაც მანამადე პედაგოგებს მოახსენეს.

**"პირდაპირ მინდა განვაცხადო, რომ ე.წ. თავისუფალმა პრესამ დამახინჯებული წარმოდგენა შეგვიქმნა ჩვენს მინისტრზე,** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ოზურგეთის რაიონის სოფელ ბოხვაურის საშუალო სკოლის დირექტორმა მინდია ხინთიბიძემ, - **ამ ადამიანს ჩვენი განათლების სისტემის ფეხზე დაყენების მკაფიო გეგმა გააჩნია. ჩემი კოლეგების აზრსაც გამოვხატავ და ვიტყვი, რომ ალექსანდრე ლომაიას მთელი პედაგოგიური საზოგადოება უნდა დაუდგეს მხარში, რადგან ის ცამდე მართალია."**

# უკრაინის ელჩმა გურულები მოინახულა და დააჯილდოვა

ოზურგეთის რაიონში ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა უკრაინის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ნიკოლაი სპისი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა უკრაინის საელჩოს დასავლეთ საქართველოს რეგიონის კონსული ლეონიდ კეტლეროვსკი.

სტუმრებს შეხვდა გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ჟანი კალანდაძე. საუბარი შეეხო ორი ქვეყნის ისტორიულ, თანამედროვე და მომავალ ურთიერთობებს. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საჭიროა, ორივე ქვეყნის ბიზნესმენები უფრო სერიოზულად დაინტერესდნენ ურთიერთკავშირების მოძებნით. მხარეებმა, ასევე, ერთმანეთს თავიანთი შეხედულებები გაუზიარეს უკრაინაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ირგვლივ.

შემდეგ სტუმარ-მასპინძელმა ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში გადაინაცვლეს. განთქმულმა ანსამბლმა "შვიდკაცამ" უკრაინული ხალხური სიმღერა შეასრულა, აქვე საგამოფენო დარბაზში უკრაინის ელჩმა ნიკოლაი სპისმა დიდი სამამულო ომის 20 ვეტერანს გურიიდან, უკრაინის გათავისუფლებისათვის ბრძოლების მონაწილეს, გადასცა უკრაინის სახელმწიფო ჯილდო - მედალი "მამულის დაცვისათვის". ეს ჯილდო საგანგებოდ დაწესდა უკრაინის გერმანული ფაშიზმისაგან გათავისუფლების 60 წლის აღსანიშნავად.

დღის ბოლოს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში სტუმრებს თავისი ხელოვნება უჩვენეს ადგილობრივმა ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა.

*თამაზ ხარაიშვილი*
*ოზურგეთიდან*

# დანიშვნიდან - არჩევითობისკენ



*გიგა ბოკერიას ინიციატივით, საკანონმდებლო ორგანოში იწყება კანონპროექტის განხილვა, რომლის მიღების შემთხვევაში, რაიონებისა და ქალაქების მერების, გამგებლების თანამდებობები არჩევითი გახდება.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

"ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის იმ მუხლს, რომელიც გულისხმობს "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პირდაპირი და საყოველთაო წესით არჩევითობას, აგრეთვე ადგილობრივ თვითმმართველობის საქმიანობაში ცენტრალური ხელისუფლების ჩარევას მხოლოდ კანონით დადგენილი ნორმების ფარგლებში".

პარალელურად, გიგა ბოკერიას ინიციატივით, საკანონმდებლო ორგანოში იწყება კანონპროექტის განხილვა, რომელთა მიღების შემთხვევაში, რაიონებისა და ქალაქების (მათ შორის, თბილისისა და ფოთის) მერების/გამგებლების თანამდებობები არჩევითი გახდება. კანონპროექტის განხილვის დროს დეპუტატებს მოუწევთ არჩევანის გაკეთება, მერის არჩევნები პირდაპირი იყოს თუ მათი არჩევა მოხდეს ქალაქის საკრებულოების მიერ, ამ საკრებულოთა უფლებამოსილების ვადით.

ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მერები ანგარიშვალდებულები იქნებიან მხოლოდ ამომრჩევლებისა და თვითმმართველობის ორგანოების წინაშე და არა ქვეყნის პირველი პირის წინაშე, როგორც დღეს არის.

"ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" კანონში ამ და სხვა ცვლილებების შეტანით, საკრებულოებს, როგორც მოსახლეობის წარმომადგენლობით ორგანოებს, მიეცემათ რეალური ბერკეტები ადგილობრივი მთავრობების საქმიანობის უფრო ეფექტურად გასაკონტროლებლად და საჭიროების შემთხვევაში, - მათ საქმიანობაში კორექტივების შესატანად. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: გიგა ბოკერიას საკანონმდებლო ინიციატივის რეალიზების შემთხვევაში, სახელმწიფოში დამკვიდრდება მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების თანამდებობაზე არჩევის უფრო დემოკრატიული და განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული წესი.

*24 საათი*

# "რუსთავი 2"-ის ოპერატორის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის ოპერატორის ლევან დგებუაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, ის ამჟამად ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში მკურნალობს.

6 ნოემბერს ქართულ–ოსური კონფლიქტის ზონაში "რუსთავი-2"–ის კორესპონდენტი თენგიზ გოგოტიშვილი და ოპერატორი ლევან დგებუაძე სოფელ კეხვთან ხელყუმბარის აფეთქებისას დაიჭრნენ; თენგიზ გოგოტიშვილი მსუბუქად ხელის არეში, ლევან დგებუაძე კი - ბარძაყის არეში.

ჟურნალისტებს თან ახლდნენ ქართული და ოსური სამართალდამცავი ორგანოების და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები, რომლებიც 4 ნოემბერს გატაცებულ სოფელ აჩაბეთის მკვიდრ ელდარ კახნიაშვილს ეძებდნენ.

ჟურნალისტები პირველად გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს, ექიმების განცხადებით, ჭრილობები მათი სიცოცხლისთვის საშიში არ იყო. მოგვიანებით თენგიზ გოგოტიშვილი საავადმყოფოდან შინ გაუშვეს, ლევან დგებუაძე კი, თბილისში ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადაიყვანეს.

*24 საათი*

# აფხაზეთის მოსახლეობა საშიშროების წინაშეა

პირველი გვერდიდან

ერთადერთი, რაც კომპრომისად შეიძლება ჩაითვალოს, არის ის, რომ ბაგაფშმა ოპონენტ ხაჯიმბას **„ერთ გუნდში მუშაობა“** შესთავაზა. როგორც მან აფხაზეთის სახალხო კრების (პარლამენტის) მოქმედი და ყოფილი დეპუტატების სხდომაზე განაცხადა, ჰქონდა შეხვედრა ხაჯიმბასთან: **“მე ვუთხარი, რომ მზად ვარ მასთან ერთად ერთ გუნდში სამუშაოდ,”** – თქვა ბაგაფშმა, თუმცა არ დაუზუსტებია, როგორი რეაგირება მოახდინა ხაჯიმბამ მის წინადადებაზე. ხელისუფლებაში მოსვლის მსურველთა ურთიერთწინადადებებზე მალევე კულუარული ინფორმაციებიც გავრცელდა: როგორც ცნობილი გახდა, ბაგაფში თავის კონკურენტს თავდაცვის მინისტრის პოსტს სთავაზობს. თავის მხრივ, ხაჯიმბა კი მზად არის, ბაგაფშს პრემიერ-მინისტრის პოსტი შესთავაზოს, თუ ეს უკანასკნელი ხელახალი არჩევნების ჩატარებას დათანხმდება.

მოსკოვისთვის კი იდეალური ვარიანტი ნოდარ ხაშბას პრემიერის პოსტზე დარჩენაა, რასაკვირველია, ნებისმიერი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში.

მაგრამ რუსეთის მიმართ დაუმორჩილებლობას ბაგაფში დღითი-დღე მეტად და მეტად ამჟღავნებს, კრემლი კი თავის დაცვას ცდილობს. სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ **“მოსკოვში ვიზიტისას ვიღაცები ფსოუზე საზღვრის ჩაკეტვით ემუქრებოდნენ”.** ეს ინფორმაცია მაშინვე უარყო რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭომ და გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ დღეებში ბაგაფშს, პრეზიდენტობის კიდევ ერთ კანდიდატთან რაულ ხაჯიმბასთან ერთად, მოსკოვში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან მართლაც ჰქონდა არაოფიციალური საუბრები.

**„ამ შეხვედრის მიზანი ის იყო, რომ პირველწყაროდან მიეღოთ ინფორმაცია აფხაზეთში განვითარებული პროცესების შესახებ. რუსეთის წარმომადგენლებმა გამოთქვეს შეშფოთება აფხაზეთში ვითარების ესკალაციასთან დაკავშირებით. ამასთან, მოსკოვი თვალყურს ადევნებს იქ მიმდინარე მოვლენებს და ეს გასაგებიცაა, რადგან აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეებიც ცხოვრობენ და მასთან აქვს საერთო საზღვარი.**

**სწორედ ამიტომ რუსეთის მხრიდან იყო მოწოდებები, მოეკრიბათ ძალები და გადაელახათ კონფრონტაცია, ისეთი ქმედებები განეხორციელებინათ, რომლებიც საზოგადოებაში ერთიანობას აღადგენდა.**

**ეს რჩევებია და არა მუქარა, რომელიც გამსჭვალულია გულწრფელი სურვილით, დაეხმაროს აფხაზეთის მოსახლეობას, გადალახოს წარმოქმნილი პრობლემები. ამ მხრივ, ცხადია, რომ ბაგაფშის მტკიცებულება სხვა მიმართულებით მიდის და აფხაზეთში ეს უნდა იცოდნენ“** – ნათქვამია განცხადებაში.

ამავე დროს, აფხაზეთში 3 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულ სერგეი ბაგაფშს, სოხუმის ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის 250 თანამშრომლის გარდა, უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლებიც უჭერენ მხარს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ “აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნებში დამარცხების შემდეგ, რესპუბლიკის წამსვლელი მმართველი პირები თავისი მოქმედებებით საზოგადოებას პოლიტიკური ნიშნით ყოფენ და ყველანაირად ცდილობენ ხელისუფლების შენარჩუნებას”.

**“ხელისუფლების კანდიდატი რაულ ხაჯიმბა და მისი შტაბის ხელმძღვანელები, არჩევნების შემდეგ არსებული ვითარების რეალურად შეფასების ნაცვლად, თავიანთი მომხრეების პროვოცირებას ახდენენ, რომ უკანონო გზებით იმოქმედონ, შთააგონებენ რომ არ დაეთანხმონ არჩევნების შედეგებს. საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე კი საზოგადოებას ურთიერთდაპირისპირებას და შეტაკებას აიძულებენ”** – ნათქვამია არაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებაში.

მოსამართლე გიორგი აკაბა კი, რომელმაც აფხაზეთში 3 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ბაგაფში გამოაცხადა, თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტს ვლადისლავ არძინბას მისი მმართველობის პერიოდში თავისუფალი აზრის დევნასა და საზოგადო მოღვაწეების ზურაბ აჩბას და იური ვორონოვის მკვლელობის დაკვეთაში ადანაშაულებს.

აღნიშნული განცხადება აკაბამ ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას გააკეთა (მე-9 დღეა, ტელევიზიას პრეზიდენტობის გამარჯვებული კანდიდატის, ოპოზიციის ლიდერის სერგეი ბაგაფშის მხარდამჭერები აკონტროლებენ და შესაბამისად, საეთერო პოლიტიკასაც ისინი განსაზღვრავენ).

აკაბას მტკიცებით, იგი ფლობს საკმარის ინფორმაციას 1997 და 1999 წლებში საზოგადო მოღვაწეების, პროფესორ იური ვორონოვისა და ზურაბ აჩბას მკვლელობებთან დაკავშირებით. **"იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საქმეების გამოძიებას პირადად პრეზიდენტმა არძინბამ შეუშალა ხელი, აჩბასა და ვორონოვის მკვლელობები სწორედ მოქმედი პრეზიდენტის მითითებით განხორციელდა,"** - განაცხადა აკაბამ.

მისი განმარტებით, ზურაბ აჩბა და იური ვორონოვი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მკაცრად აკრიტიკებდნენ არძინბას მიერ წარმოებულ პოლიტიკას და **"პოლიტიკური ტერორის მსხვერპლიც გახდნენ"**.

ამასობაში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ სოხუმის ახალი მერი დანიშნა. მისი ბრძანებულებით სოხუმის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა ადგურ ხარაზია. აქამდე ის გულრიფშის რაიონულ საკრებულოს ხელმძღვანელობდა.

იმავე ბრძანებულებით აფხაზეთის დედაქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადააყენეს ლეონიდ ლოლუა. მისი გათავისუფლების მიზეზები ბრძანებულებაში ნახსენები არ არის.

მოკლედ

## საზღვრის განმტკიცების პროგრამა, ტეხასიდან ბათუმამდე

ოთხი ტეხასელი ინსტრუქტორი ერთი კვირის განმავლობაში აჭარაში ჩაატარებს ტრენინგს. "საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამის" ფარგლებში ორშაბათიდან სარფის საკონტროლო-გამტარ პუნქტზე ბათუმისა და ახალციხის რეგიონული სასაზღვრო სამმართველოების პირადი შემადგენლობისთვის თეორიული და პრაქტიკული სწავლებები დაიწყება. სწავლებებს ამერიკის მთავრობა აფინანსებს.

**"საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამა" საქართველოში 1998 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. პროგრამის განსახორციელებლად ამერიკის მთავრობის მხრიდან ათობით მილიონამდე დოლარია დახარჯული. 2004 წლისათვის აშშ-ს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამისათვის 16 მილიონი გამოიყო. ტრენინგების გარდა პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, აპარატურის გადმოცემის ღონისძიებები და ა. შ. თუ რა ოდენობის თანხა გამოიყოფა მომავალი წლისათვის პროგრამის გასაგრძლებელად, ჯერჯერობით, უცნობია. თანხის ოდენობა მთლიანად აშშ-ს კონგრესის "კეთილგანწყობაზეა" დამოკიდებული,"**- განაცხადა ჩვენთან საუბარში ქარენ ჩეისონმა, რომელიც "საზღვრის დაცვისა და კანონგამტკიცების პროგრამის" ხელმძღვანელის თანაშემწეა და საქართველოში კი ამერიკელი ინსტრუქტორების დელეგაციის მეთაურის სტატუსით ჩამოვიდა. "კანონგამტკიცების" პროგრამა არა მხოლოდ შსს-ს დაქვემდებარებაში მყოფ საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, არამედ სხვა უწყებებსაც, მათ შორის საბაჟო დეპარტამენტს ეხება.

2003-2004 წელს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 16 ოფიცერი მექსიკის საზღვარზე იმყოფებოდა, სადაც ამერიკელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით შესაბამისი წვრთნები გაიარა. ახლა ტრენინგში 14 ქართველი ოფიცერი მიიღებს მონაწილეობას. წვრთნების გახსნის ცერემონიალს ამერიკელების გარდა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ბადრი ბიწაძე და სასაზღვრო უწყების სხვა ხელმძღვანელი პირებიც დაესწრებიან.

*ლენა მიქაძე*

ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-11 მექანიზირებული მოტომსროლელი ბრიგადის "კომანდოს" ბატალიონის ორი ასეული ალექსეევკის შვეულმფრენთა ბაზიდან დღეს ერაყში სტაბილურობის მისიის შესასრულებლად გაემგზავრება. ქართულ დანაყოფს ერაყში კაპიტანი მამუკა ბალახაძე უხელმძღვანელებს.

ორივე ასეულს "წვრთნისა და აღჭურვის" ქართულ-ამერიკული პროგრამა აქვს გავლილი, ერაყში გასამგზავრებლად კი მათ დამატებით სპეციალური ერთთვიანი გადამზადება გაიარეს. ქართული დანაყოფის ამოცანა აშშ-ს სამხედრო ძალებთან ერთად სამხედრო ბაზის ტერიტორიისა და ბაზის გარეთ არსებული კოალიციური ძალების ობიექტების დაცვა, დასახლებულ პუნქტებში პატრულირება, რეიდებში მონაწილეობა, ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაპატიმრება, გადამალული იარაღისა და საბრძოლო მასალების, კონტრაბანდის ამოღება იქნება. ქართული დანაყოფის ერაყში გამგზავრების ცერემონიას საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი პატრიცია მოლერი, აშშ-ს სამხედრო ატაშე საქართველოში მიტჩელ ჯეკსონი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველმა კომუნისტებმა გუშინ "დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" 87-ე წლისთავი აღნიშნეს.

"საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის" ლიდერის, პანტელეიმონ გიორგაძის ინიციატივით, ქართველი კომუნისტები სოციალისტური საქართველოს დროშებით და "საბჭოეთის დიდი ბელადის", იოსებ სტალინის პორტრეტებით ქალაქ გორში გაემგზავრნენ, სადაც სტალინის სახლ-მუზეუმთან მიტინგი გამართეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მაუწყებლობის შესახებ" კანონპროექტის განხილვას საქართველოს პარლამენტი მომავალ კვირაში, პლენარულ სხდომაზე დაიწყებს. კანონპროექტი სახელმწიფო ტელევიზიის საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნას ითვალისწინებს, რომელსაც კომერციული რეკლამის გაშვების შესაძლებლობა ექნება. საქართველოს მოქალაქეები კი საზოგადოებრივ ტელევიზიას საშემოსავლო გადასახადის 1,5-პროცენტით დააფინანსებენ. პარლამენტის მიერ კანონის მიღების შემთხვევაში, აღნიშნული დაფინანსება 2006 წლიდან განხორციელდება. პარლამენტში კანონპროექტის წინააღმდეგ საპარლამენტო ოპოზიცია და რამდენიმე დამოუკიდებელი დეპუტატი გამოდიან. პარლამენტარი კახა კუკავა პლენარულ სხდომაზე "მაუწყებლობის შესახებ" საკუთარ საკანონმდებლო ინიციატივასაც წარადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი ორშაბათს ორდღიანი სამუშაო ვიზიტით მოსკოვს ეწვევა. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში განაცხადეს, ბეჟუაშვილი მოლაპარაკებებს გამართავს უშიშროების საბჭოს მდივანთან იგორ ივანოვთან და რუსეთის დიპლომატიური უწყების ხელმძღვანელ პირებთან. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ვის უყურებს მსოფლიო?

პირველი გვერდიდან

კერძოდ, ლიბერალები ღარიბების დახმარების მაგივრად, მდიდარი ჰომოსექსუალისტების ქომაგებად გვევლინებოდნენ. ამან უბრალო ამომრჩეველი აღაშფოთა და მემარჯვენეების მხარე დააჭერინა. იდენტურობის პოლიტიკის დრო წავიდა, ასე მიიჩნევენ წამყვანი ანალიტიკოსები. ყოველ შემთხვევაში, 90-იან წლებში მოდურ კონცეფციად ქცეული "გეი კულტურის" იდეამ კრახი განიცადა, ისევე როგორც მონიკა ლევინსკის სკანდალმა ბოლო მოუღო აგრესიული ფემინიზმის ზეობას ამერიკის პოლიტიკურ სცენაზე. რა თქმა უნდა, სექსი ყველა ადამიანისათვის მნიშვნელოვანი რამაა, მაგრამ ლოგინის საკითხების ქუჩაში გამოტანა და ამაზე პოლიტიკური იდეოლოგიების აგება ხალხის უმრავლესობას აღიზიანებს. მართალია, ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობა არ არის ღია ჰომოფობი ან ქალთმოძულე, მაგრამ ამ არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ სექსუალური საკითხებით ზედმეტი სპეკულირება ამ საზოგადოებისათვის მისაღები არ არის. ადამიანთა უმრავლესობა მორწმუნეა და მათთვის ჰომოსექსუალისტთა ქორწინების დაკანონება პოლიტიკური ექსტრემიზმის ტოლფასია.

ამ არჩევნების მერე ამერიკა გაყოფილია ორ ნაწილად: მდუმარე 55 მილიონად და მოზეიმე 60 მილიონად. თუმცა, იმ პრობლემების მოგვარება, რომელიც ბუშის ადმინისტრაციას აქვს, ადვილი ნამდვილად არ იქნება. ერაყში ომის მალე დამთავრება ერთ-ერთი მთავარი დილემაა თომას ჯეფერსონისა და აბრაჰამ ლინკოლნის ქვეყნისათვის.



საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი წელს არჩეულ პრეზიდენტებს შორის ყველაზე კაშკაშა ფიგურაა, მიუხედავად იმისა, რომ ისიც უშვებს შეცდომებს, როგორც ყველა ადამიანი.

როდესაც ჩემს ამერიკელ მეგობრებს ვესაუბრები, ერთი მხრივ, უნდა გამოვტყდე, რომ ცხოვრებაში პირველად, ჩემდაუნებურად, მსიამოვნებს მათგან გამოთქმული სენტიმენტი. ჩემს ცხოვრებაში პირველად და ალბათ საქართველოს ისტორიაში პირველად, ამერიკელების ერთი ნაწილი საქართველოს თეთრი შურით უყურებს. "ვარდების რევოლუცია" ამერიკაში არ აღმოჩნდა შესაძლებელი, მაგრამ საქართველოში ასე კარგად იმუშავა. დღეს საქართველოს ახალი პასუხისმგებლობა აქვს: გაამართლოს ის სიმპათია, რომელიც ასეთი დიდი შრომითა და გაჭირვებით მოიპოვა მთელს მსოფლიოში. ამას არანაკლები შრომა დასჭირდება, მაგრამ ის მოდელი, რომელიც საქართველომ შესთავაზა მსოფლიოს არაძალადობრივი სოციალური ცვლილებისათვის, ნამდვილად მისაბაძია ბევრი ქვეყნისთვის, მათ შორის ზოგიერთი ამერიკელისთვის. საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი წელს არჩეულ პრეზიდენტებს შორის ყველაზე კაშკაშა ფიგურაა, მიუხედავად იმისა, რომ ისიც უშვებს შეცდომებს, როგორც ყველა ადამიანი. სააკაშვილი ბუშს, პუტინს, ჰამიდ კარზაის, ზაპატეროს და უკრაინის პრეზიდენტობის ორივე კანდიდატს ერთად აღემატება საკუთარი ინოვაციური მიდგომით. თუმცა, ეს თავში არ უნდა აგვივარდეს, რადგანაც მაღლა აფრენას ყოველთვის შეიძლება ძალიან დაბლა დაშვება მოჰყვეს. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, აუცილებელია დიდი შრომა. საქართველო დღეს "იდეალპოლიტიკის" ცენტრია და ამ ცენტრის იმიჯის გასამაგრებლად საჭიროა, რომ მოვიზიდოთ მსოფლიოს წამყვანი იდეალისტები და ფართო გზა გავუხსნათ ჩვენს საკუთარ იდეალისტებს. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, საქართველოს რეალური შანსი გაუჩნდება მშვიდობიანად, ვარდების რევოლუციის გზით მოაგვაროს სეპარატიზმის პრობლემა, გახდეს მისაბაძი მაგალითი იდეალისტური სამყაროსათვის. "ალ ქაედამ" წერტილი დაუსვა მაკიაველური "რეალპოლიტიკის" დოქტრინას და დღეს მსოფლიო იდეალისტურ გამოსავალს ეძებს. დასავლეთში ასეთი რესურსი ჯერ არ მოძებნილა, მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ პოეტების, მწერლების, მუსიკოსებისა და შეყვარებულების ქვეყანამ მისცეს მას იდეალიზმის ერთ-ერთი მთავარი მაგალითი. იდეალიზმი მატერიალიზმზე ზემოთ რომ დგას, ვფიქრობ, სრულიად ნათელია. ამერიკის იდეალიზმის მამა ვუდრო უილსონი უკვე დიდი ხანია, აღარ არის ცოცხალი, რონალდ რეიგანმაც ამ წელს მისი ბედი გაიზიარა, ბუში ვერასდროს იქნება იდეალისტი ჩეინისთან ერთად; რატომ არ შეიძლება, საქართველომ უჩვენოს მაგალითი მსოფლიოს საკუთარ 38 წლის პრეზიდენტთან ერთად?!

ოღონდ ეს უნდა მოხდეს ჭკვიანურად. ყოველგვარი გადაჭარბების და ამპარტავნობის გარეშე. ისე, როგორც ცივილიზებულ და ქრისტიანულ ქვეყანას ეკადრება. ზედმეტი კმაყოფილების საგანი არასდროს არ გვექნება.

ისე, უნდა გამოგიტყდეთ და, ძალიან მსიამოვნებს, როდესაც ამერიკელები შურის თვალით გვიყურებენ ჩვენ. თუნდაც 48 პროცენტი, მაგრამ მაინც... იმედია, ღმერთი მაპატიებს.

# „არა არს დაფარულ, რომელი არა განცხადდეს"

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ბოლო წლების განმავლობაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტების და კურსდამთავრებულების ერთ ნაწილს საერთო პოზიცია ჩამოგვიყალიბდა. ვიტყვით იმასაც, რომ ჩვენს დამოკიდებულებას იზიარებს სტუდენტებისა და პედაგოგების, აგრეთვე, ჩვენთვის ცნობილი სასულიერო პირების უმრავლესობა. თუმცა, სხვადასხვა მიზეზით ისინი დუმილს არჩევენ. ჩვენც დიდხანს ვდუმდით. მაგრამ, ჩვენი აზრით, წლების მანძილზე წაყრუებისა და დუმილის პოლიტიკამ ვერანაირად გაამართლა და ამ წერილზე ხელმომწერნი პირად პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ეკლესიაში დღესდღეობით არსებული კრიზისის გამო; ჩვენი მთავარი დანაშაული სწორედ დუმილი იყო. ამიტომ, ღიად ვაცხადებთ: აღარ გვსურს ჩუმი და გულგრილი მოწმენი ვიყოთ მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით ეკლესიის წინააღმდეგ მიზანდასახული ან, თუნდაც, გაუცნობიერებელი ბრძოლისა, აღარ გვსურს, შევურიგდეთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდით მოვაჭრეებს, მისი სახელის მიმტაცებლებს. ჩვენ ვსარგებლობთ სიტყვისა და აზრის გამოხატვის სწორედ ღვთივბოძებული თავისუფლებით, რათა ამ გზით შეძლებისდაგვარად დავაჩქაროთ ეკლესიაში არსებული პრობლემების გადაჭრა.

უმწვავესი საკითხი, სასწრაფოდ რომ ითხოვს რეაგირებას, მრავალია. ამჯერად მხოლოდ რამდენიმე, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემაზე გავამახვილებთ ყურადღებას. საეკლესიო კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამღვდელო და სამღვდელმთავრო კანდიდატი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ხდება ამა თუ იმ პიროვნების ხელდასხმა. ფაქტია, რომ სასულიერო პირების დიდი ნაწილის განათლებისა და სულიერი გამოცდილების ხარისხი მეტად დაბალია. განათლების დეფიციტის გამო ტოტალურად მახინჯდება დოგმატური და ეკლესიოლოგიური სწავლება, მორალის, პოლიტიკის, კულტურის, მეცნიერების მიმართ დამოკიდებულება კი უკიდურესად ფანატიკურ ხასიათს იძენს. სულიერი გამოცდილების ნაკლებობა ყველაზე თვალსაჩინოდ მოძღვრის მხრიდან უპირობო მორჩილების მოთხოვნაში ვლინდება. საკუთარი სულიერი, ინტელექტუალური და ზნეობრივი უმწეობის შესანიღბად ასეთი "სულიერი მამები" "სულიერ შვილებს", მარტივად რომ ვთქვათ, ართმევენ ყოველგვარ თავისუფლებას - მოარულ გვამებად აქცევენ მათ...

სრულიად მოუწესრიგებელია სასულიერო პირების ცხოვრების ფინანსურ- ეკონომიკური მხარეც, რაც მათი უმრავლესობის მხრიდან საეკლესიო საიდუმლოთა აღსრულებისას თანხის მოთხოვნის, მრევლის ღარიბი ნაწილისადმი უყურადღებობის, ხშირ შემთხვევაში კი – "საეკლესიო" კორუფციაში ჩართვის საბაბი ხდება. ეს პრობლემა ეკლესიის მიმართ არაეკლესიური ადამიანების უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზია.

ეკლესიის წიაღში ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ფაქტობრივად, არ შექმნილა საღვთისმეტყველო ნაშრომი, რომელიც სათანადო პასუხს გასცემდა თანამედროვეობის ამა თუ იმ გამოწვევას. ყველაზე მწვავე გარჩევის საგნად ბოლო წლებში - არც მეტი, არც ნაკლები - უნათლავად გარდაცვლილი ბავშვების საიქიო ხვედრისა და ქართული მრავალხმიანი გალობის კანონიკურობის საკითხი იქცა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის დიდი ნაწილი არ კითხულობს სახარებას, სამრევლო-საეკლესიო ცხოვრება მშრალ რიტუალიზმამდე, აზროვნება კი - ფსევდოსასწაულებისა და სიზმარ-გამოცხადებების "ღვთისმეტყველებამდეა" დაყვანილი.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით გამოდის სულ მცირე 50 დასახელების ჟურნალი და გაზეთი, არც ერთი მათგანი რეალურად არ გამოხატავს მართლმადიდებლურ პოზიციებს, არც ერთ მათგანში არ სუნთქავს საღი აზრისა თუ ეკლესიის ღვთისმეტყველების სული (გამონაკლისს წარმოადგენდა ჟურნალი "გზა სამეუფო", გაზეთები: "თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია" და "საეკლესიო სიწმინდენი", რომლებიც, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, აღარ გამოიცემა). საეკლესიო პრესის უდიდესი უმრავლესობა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, ავრცელებს ერეტიკულ, ანტიქრისტიანულ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტიეროვნულ იდეებს, ასევე სამყაროს, ადამიანისა და კულტურის მიმართ სიძულვილის პათოსით გაჟღენთილ პუბლიკაციებს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გაზეთმა "ერი და ბერი", ანტიქრისტეს ვინაობა გვამცნო: მაშ, გიხაროდენ! ანტიქრისტე დასახელებულია, იგი გახლავთ აშშ-ს ყოფილი ელჩი გაეროში რიჩარდ ჰოლბრუკი(!). აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ ჩვენი იერარქიისა და მრევლის ნაწილი განსხვავებული აზრის, სხვა აღმსარებლობათა მიმდევრების, დასავლეთის, კონკრეტულად კი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ შეუწყნარებლობით ხასიათდება. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საეკლესიო პრესის მთავარი მიზანი, ერთი მხრივ, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე საქართველოს ეკლესიის დისკრედიტირება, ხოლო, მეორე მხრივ, მისი სულიერ-ზნეობრივი სიმდიდრის პროფანაცია და ამ გამოცემების უმრავლესობაზე აღბეჭდილი ამა თუ იმ იერარქის ლოცვა-კურთხევას მინდობილი მრევლის სამოქალაქო-საზოგადოებრივი ცხოვრებისგან სრული მოწყვეტაა... ჩვენი ეკლესიისა და სახელმწიფოს ავისმსურველებისთვის ეს მართლაც საშური პერსპექტივაა, რადგან ქვეყანა, სადაც მოქალაქეთა 85 პროცენტი თავს მართლმადიდებლად აცხადებს და ეკლესიისადმი ნდობის ხარისხი ყველა სხვა ინსტიტუტისადმი ნდობაზე შეუდარებლად მაღალია, ერთ მშვენიერ დღეს, ანტიქრისტეს შიშით, შეიძლება უბრალოდ პარალიზებულ იქნეს, ანდა დასავლეთის მიმართ ფობიის გამო ისევ რუსეთის მარწუხებში აღმოჩნდეს.

მთელი საქართველოსათვის კარგადაა ცნობილი კათოლიკოს-პატრიარქის ტოლერანტობა, მისი დამოკიდებულება საერო კულტურის, ეკლესიის სოციალური პასუხისმგებლობის, მოქალაქის აქტივობისა და, ზოგადად, დასავლური ცივილიზაციისადმი. უწმინდესი და უნეტარესი გამუდმებით მოგვიწოდებს სხვადასხვა კულტურის მიმართ ღიაობისა და დიალოგისკენ, მოგვიწოდებს სამრევლო ცხოვრებაში გულახდილობისა და მეტი თავისუფლებისკენ, ჩვენთვის კარგადაა ცნობილი მისი პოზიცია სასულიერო პირთა განათლებასა და მათ მსახურებაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. კათოლიკოს-პატრიარქი ბოლო სააღდგომო ეპისტოლეში მკვეთრად აკრიტიკებს მღვდელმსახურთა სამოძღვრო საქმიანობას, მათ ავტორიტარულ მიდგომას სულიერი შვილებისადმი. მაგრამ, ამ ფონზე, ფაქტია, რომ ეკლესიის დღევანდელობა უწმინდესისა და უნეტარესის სულისკვეთების საწინააღმდეგოა.

ჩვენი აზრით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი იზოლაციაშია მოქცეული საპატრიარქოს აპარატის თანამშრომლების ერთი ნაწილისა და ამ აპარატთან დაახლოებული სასულიერო თუ საერო პირების მხრიდან. ამას არაერთი ეპისკოპოსი თუ მღვდელმსახური ადასტურებს, რომლებიც, როგორც ვთქვით, თავს იკავებენ ამ საკითხზე ღიად საუბრისგან; ამას ადასტურებს საზოგადოების ის ნაწილიც, რომელიც წლების მანძილზე მეგობრობდა და თანამშრომლობდა უწმინდესსა და უნეტარესთან. და ამის შესახებ ჩვენც შეგვიძლია განვაცხადოთ; კერძოდ: უკვე ზედიზედ ორი წელია, პატრიარქი სემინარიისა და აკადემიის სტუდენტთა ჯგუფს (რომელშიც შედის ნაწილი ამ წერილზე ხელმომწერებისა) ეკლესიაში არსებული პრობლემების შესწავლას ავალებს. მაგრამ ამ ანალიტიკურ ჯგუფს მუშაობის შესაძლებლობა არ მიეცა. მისი საქმიანობა, შეიძლება ითქვას, ჩაიშალა კათოლიკოს-პატრიარქის რეფერენტის ქალბატონ შორენა თეთრუაშვილის ინიციატივით.

ჩვენთან საუბარში სასულიერო თუ საერო პირები ერთხმად აღიარებენ, რომ საპატრიარქოში ყველაფერს განსაზღვრავს და აკონტროლებს საპატრიარქოს აპარატი ქალბატონ შორენა თეთრუაშვილის ხელმძღვანელობით. მის სახელს საპატრიარქოს საფინასო-ეკონომიკური საქმიანობის წარმართვასაც უკავშირებენ. რამდენიმე ხნის წინ პრესითა და ტელევიზიით გავრცელდა ცნობა საპატრიარქოს მიერ ხაშმის ღვინის ქარხნის, მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჩოლოყაშვილების ისტორიული სასახლისა და კარის ეკლესიის დაგირავების ფაქტის თაობაზე. საზოგადოებისთვის აგრეთვე ცნობილი გახდა 1994-95 წლებში საპატრიარქოს სახელით წარმოებული კომერციული საქმიანობის შესახებ. ამ მასალაში საქართველოში სხვა პროდუქციასთან ერთად შემოტანილ სიგარეტზე, ბენზინზე, დიდი ოდენობით სპირტიან სასმელებზე და აქედან გატანილ ლითონებზეა საუბარი...

ბუნებრივია, რომ ეკლესიური თუ არაეკლესიური საზოგადოება ხსენებული ფაქტების გამო საპატრიარქოს თანამშრომელთა მორალური პასუხისმგებლობის გარკვევის საკითხს დასვამს. ჩვენ კი ყოველგვარი პათოსისა და უქმსიტყვაობის გარეშე გავიმეორებთ: მთავარი დამნაშავე თითოეული ჩვენგანის გულგრილობა, დუმილი და უმოქმედობაა. შესაბამისად, გამოსავალიც ჩვენს ერთობაში, აქტიურობასა და ერთმანეთისათვის გულწრფელად ნათქვამ სიმართლეშია. რწმენა და სიყვარული არ შეიძლება იყოს ბრმა, რადგან, სხვა შემთხვევაში, რწმენა ფანატიზმად, სიყვარული კი მონობად იქცევა.

ეკლესიაში შექმნილი მძიმე სულიერი და ზნეობრივი მდგომარეობის ფონზე იმედის სხივად საქართველოს გაბრწყინების იდეა ჩანს, რომელსაც უწმინდესი და უნეტარესი ამკვიდრებს თავის ქადაგებებში. ჩვენც სწორედ ამ რწმენით გვსურს ვიცხოვროთ და ვიშრომოთ ეკლესიისა და მამულის საკეთილდღეოდ. რადგან გვწამს, რომ არასდროს მიგვატოვებს ჩვენი ცხოვრების მასულდგმულებელი ძალა - იესო ქრისტე და მისი წმინდანები, არასდროს დადუმდება უფლის სიტყვა, რომელიც სიბნელეს - სინათლით, მონობას - თავისუფლებით, სიკვდილს კი - სიცოცხლით ამარცხებს.

*კახა აბაშიძე, იაკობ ახალაია, კახა ბუაჩიძე, დიმიტრი ბურდული, მირიან გამრეკელაშვილი, დიმიტრი გამრეკელაშვილი, ანტონ გუნიავა, თეიმურაზ გრძელიშვილი, დავით თინიკაშვილი, ერეკლე თურქაძე, რომან ლაშხია, გიორგი ლომიძე, კახა მაჩაიძე, ბექა მინდიაშვილი, ევგენი მიქელაძე, ვაჟა ნიქაბაძე, გელა ჟვანია, მიხეილ რობაქიძე, ჯაბა ტოროშელიძე, მიხეილ ცირდავა, ირაკლი ცხადაძე, ზურაბ ჯაში, ზაალ ჯუღელი.*

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

"საქართველოს ბანკი" ღია ტენდერს აცხადებს

1. სს "საქართველოს ბანკი" აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შეძენასა და ამ ტექნიკის მიმართ მომსახურების გაწევაზე.

2. კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა განისაზღვრება მიმდინარე წლისთვის 300 ერთეულით, ხოლო სამაგალითო კონფიგურაცია შემდეგნაირია:

**Chipset - Intel**
**Mainboard - ATX**
**Processor (GHz) - Intel Celeron 2.8**
**Memory (MByte) - 512 (2 slots) DDR-SDRAM**
**Monitor - LCD 15 and CRT 15**

3. ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასა და სს "საქართველოს ბანკს" შორის დაიდება ჩარჩო-ხელშეკრულება კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე და ხელშეკრულება კომპიუტერული ტექნიკის მომსახურებაზე ვადით 3 წელი.

4. ტენდერში მონაწილეობისთვის დაიშვებიან მხოლოდ იურიდიული პირები.

- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ სატენდერო კომისიაში ქართულ ენაზე 2004 წლის 16 ნოემბრის 18 საათამდე.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა)ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე; ბ)ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

5. დაინტერესებული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს პუნქტ 4-ში მოცემულ ცნობებს და ინფორმაციას.

6. საკვალიფიკაციო შერჩევის შემდეგ პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნები მომსახურების სერვისის მიმართ.

7. პრეტენდენტებმა კონკრეტული შემოთავაზებები უნდა წარმოადგინონ სატენდერო კომისიაში ქართულ ენაზე 2004 წლის 30 ნოემბრის 18 საათამდე.

საკონტაქტო პირი: დავით სონღულაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. 3
Tel: 444-286 E-mail: dsongulashvili@bog.ge

თამარ ხორბალაძის სვეტი

# ფინანსური ამნისტია ანუ როცა არჩევანის გაკეთება ჭირს

ვიღაცისთვის ამას ფინანსური ამნისტია ჰქვია, ვიღაცა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ეძახის, ვიღაც ამბობს, რომ ამით კორუმპირებული ჩინოვნიკების "გათეთრება" ხდება და ეს ცუდია, ვიღაც მიჩნევს, რომ ამით ქვეყანაში დამატებითი ინვესტიციების ჩადებისთვის იქმნება წინაპირობა და ეს აუცილებელია... მოკლედ, ფინანსურ ამნისტიად შერაცხული იმ კანონპროექტის ირგვლივ, რომელიც ბოლო დღეებში საპარლამენტო და საზოგადოებრივი განხილვის ერთ-ერთი მთავარი საგანია, იმდენივე აზრი არსებობს, რამდენიც - ადამიანი.

ქართველ მეწარმეებს, არ გაგიკვირდებათ და, ეს კანონპროექტი ნაკლებად ლიბერალური ეჩვენებათ - მათთვის მიუღებელია აზრი იმის თაობაზე, რომ ხელისუფლება უარს არ ამბობს სადავო და სისხლის სამართლის საქმეაღძრული ქონების წარმომავლობის კვლევაზე, მით უმეტეს, რომ საქმეები ამ დღეებში გაათკეცებული სისწრაფით აღიძვრება და აღიძვრება - შესაბამისად, "უპატიებელთა" რიცხვიც იზრდება და იზრდება.

საზოგადოებრივ მოღვაწეთა და ექსპერტთა მეორე ნაწილისთვის კი თუ მეწარმე მაინც "მსხვერპლია", ანუ ადამიანი, რომელსაც ხელისუფლებამ შეუქმნა მახინჯი, კორუფციული გარემო და ამიტომ ამნისტიას იმსახურებს, ჩინოვნიკი ცალსახად დამნაშავეა და მისთვის კორუფციული გარიგებების შედეგად მიღებული ქონების შერჩენა მიუღებელიცაა და დასაგმობიც - მით უმეტეს მაშინ, როცა ახალი ხელისუფლება ქვეყნის სათავეში ამ ქონების "ხალხისთვის დაბრუნების" დროშით მოვიდა.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საფინანსო ამნისტიის თემა პარლამენტის კომიტეტებში პრაქტიკულად "გაიჭედა" და იგი, შესაძლოა, ისეთ დონემდე დამახინჯდეს, რომ მისმა მიღებამ აზრიც საბოლოოდ დაკარგოს.

შემოსავლების წარმომავლობის კვლევაზე უარის თქმის იდეა, რომელსაც ეს კანონპროექტი გულისხმობს, პირადად ჩემთვის, შესაძლოა, არც იმდენად აქტუალური იყოს - ბოლოს და ბოლოს, საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ვერც უკანონოდ მიშოვნია და ვერც კანონიერად ქონება, რომ მისი წარმომავლობა გასარკვევი და მეტიც - საპატიებელი იყოს.

სამაგიეროდ მისთვის, ვინც ჟურნალისტიკაში ბოლო ათწლეულის მანძილზე არა ქონების, არამედ ცოტა სხვა ღირებულებების დასაგროვებლად და "საშოვნად" მოღვაწეობს, სულერთი ვერ იქნება, რა გარემოში იცხოვრებს (და არა - ცხოვრობდა) საქართველო; იტყვის თუ არა ხელისუფლება უარს შეშინებული საზოგადოების მართვაზე; რამდენად სამართლებრივი გარემო იარსებებს ქვეყანაში და რაზე გაკეთდება აქცენტი - კუდიანებზე ნადირობასა და ამაზე პიარის აგებაზე თუ რეალურ საქმეზე, რასაც, რატომღაც ვფიქრობ, რომ ნამდვილად არ აქვს პირდაპირი კავშირი კორუმპირებულთა იმ დაჭერებთან, რომელიც საქართველოში "ამორჩევის" საინტერესო წესის შესაბამისად განხორციელდა და რის შედეგადაც "ხალხის სასარგებლოდ" ამოღებული ფულის დიდი ნაწილის მისამართის პოვნაც, რბილად რომ ვთქვათ - პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამიტომ, შესაძლოა, "სისხლ" და სანახაობამოწყურებული ხალხისთვის ეს არაპოპულარულადაც ჟღერდეს, თუმცა თუ ამნისტიაზეა საუბარი, იგი მთლიანად საზოგადოებას უნდა შეეხოს - საზოგადოებას, რომლის 70-80 პროცენტი, ნებისმიერი სტატისტიკური გათვლების თანახმად, ბოლო წლებში კორუფციულ გარიგებებში გახლდათ ჩართული: ან გადასახადს მალავდა, ან ქრთამს აძლევდა, ან - ქრთამს იღებდა, ან კონტრაბანდას ყიდდა, ან კონტრაბანდას ყიდულობდა...

თორემ მე და თქვენ რომ ვიცით და ქვეყნის გაძარცვაში ვისაც, თუ ეს აწონვადია, უმძიმესი წვლილი მიუძღვის, იმათ ფული ან უკვე დააყაჭინეს, ან ყველაფერი "ხახვივით" შერჩათ და ნებისმიერ შერთხვევაში შერჩებათ ისე, რომ საზოგადოებისთვის ბოლომდე გაურკვეველი დარჩება - რისი წყალობით? ვისი ლამაზი თვალების გულისთვის?

უფრო მნიშვნელოვანი წვრილ-წვრილი მეწარმეების და კორუმპირებული ჩინოვნიკების ამნისტიაა - ანუ მათი, ვისაც სახელისუფლებო სტრუქტურებში იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ დადგენილი წესებით თამაში მოუხდა - ნებით თუ უნებლიედ; ახლა საუბარი იმაზეა, უნდა წაართვას თუ არა სახელმწიფომ ამ ადამიანებს მომავალში "სუფთად" მოღვაწეობის, ანუ - "თეთრი" თამაშის წესებით თამაშის შანსი. (ცალკე თემაა, არსებობს თუ არა ახალ ხელისუფლებაში ახალი წესებით თამაშის რეალური ნება).

ახლა საუბარი იმაზეა, დათმობს თუ არა დღევანდელი ხელისუფლება ძველი ხელისუფლებისდროინდელი "დამნაშავეების" ანუ კორუფციულ გარიგებებში ჩართულების "მხილების" ბერკეტს, რომელიც დღევანდელ საქართველოში, ზემოთაც ვთქვით - საზოგადოების 70-80 პროცენტის მისამართით შეგიძლია აამოქმედო - ან არ აამოქმედო - ესეც ახალი ხელისუფლების პრივილეგიაა.

პირდაპირ ვიტყვი - ეს პრივილეგია ადვილი დასათმობი ნამდვილად არ არის, მით უმეტეს მაშინ, როცა "საამინისტიოთა" შორის მედიის მეპატრონეებიც შედიან, შენი ოპოზიციონერებიც და სხვებიც, ვინც დღეს ყურებით გყავს "დაჭერილი" და რაც უალტერნატივო გარემოში არსებობის გარკვეულ გარანტიას გიქმნის.

ასე რომ, სახელისუფლებო არჩევანი არცთუ მარტივია. რატომღაც მგონია, რომ დღეს საქართველოს უმაღლეს ხელისუფალს ამ არჩევანის გაკეთება უჭირს.

# შემუშავდა 2005-2007 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების გეგმა

*სოფლის მეურნეობის სამინისტრო მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიას აქვეყნებს, რომელშიც ერთ-ერთი უპირველესი ადგილი მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებას უკავია. სამინისტროს ინფორმაციით, სასურსათო უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ამ მიმართულებით შემუშავებული გეგმა შემდეგ პუნქტებს მოიცავს:*

- საშუალო და მცირე სიმძლავრის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება;

- კოოპერატიულ საფუძველზე ნებაყოფლობითი ასოციაციების ჩამოყალიბება;

პირველადი წარმოების რეგიონალური პრიორიტეტები;

- საქართველოს შავი ზღვის აკვატორიის ბიორესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით, რეგიონალური პროგრამების შემუშავება;

ფალსიფიცირებული, უხარისხო და ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტებისგან მოსახლეობის დაცვა;

- შიდა ბაზრის მხარდაჭერა;

საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციის შესატანად Codex Alimentarius-თან (სასურსათო კოდექსი) ჰარმონიზებული ეროვნული სტანდარტების შემუშავება და დანერგვა;

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება;

აგროსექტორში ეფექტიანი სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება;

- მეწარმეთათვის საგადასახადო რეჟიმის ლიბერალიზაცია და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

მთიან რეგიონებში მცირე სიმძლავრის საწარმოთა ორგანიზება;

- ადგილობრივი ნედლეულის (ასკილი, ანწლი, მაჟალო, კენკრა და სხვა სამკურნალო მცენარეები) საწარმოთა ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და სხვა.

*24 საათი*

# ინფორმაცია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის ხუთი ივლისის N255 ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულმა საქვეუწყებო და საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა განიცადეს ლიკვიდაცია.

ეს ორგანიზაციებია: ა) საქვეუწყებო დაწესებულებები - საგზაო საგადასახადო სამმართველო. ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირები - კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სამმართველო, ექსპერტიზის სამმართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დირექცია.

ზემოთ ხსენებული ორგანიზაციების ფუნქციები შეთავსებულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.

დაინტერესებულ პირებს შეგიძლიათ, 20 ნოემბრამდე მიმართოთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს.

***საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრესცენტრი***


# მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველის** თანამდებობის დასაკავებლად. **მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

■ იმუშავებს კონტრაქტორის *ხარისხის კონტროლის ინსპექტორის* საქმიანობის თანამიმდევრულად და მეთვალყურეობას გაუწევს მილსადენის თხრილის გაყვანის, მილის ჩადების, გრუნტით დაფარვის, ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელის ჩადების და შესრულებული სამუშაოს საბოლოო შემოწმების სამუშაოებს.
■ უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორმა თავის საქმიანობაში დაიცვას მისივე შედგენილი მშენებლობის მეთოდოლოგია და "სამუშაოების წარმოების ნებართვით" დადგენილი პროცედურები;
■ სათანადო გულმოდგინებით მოეპყრობა კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხებს და მყარად დაიცავს კომპანიის HSE წესებს თავის სამუშაო ადგილზე.
■ გააკონტროლებს, რომ მშენებლი კონტრაქტორის მხრიდან სამუშაო შესრულდეს მილსადენის კომპანიის მიერ დამტკიცებული დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვით;
■ მოეთხოვება მიმართულების მენეჯმენტის წინაშე ყოველდღიური ზუსტი ანგარიშების წარდგენა ობიექტზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**მოთხოვნები:**

■ ფართო მასშტაბის მიწის სამუშაოებზე, განსაკუთრებით დიდ სირღმეებზე გათხრის სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება, ან საგზაო მშენებლობის და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის მეთოდოლოგიის გამოყენების გამოცდილება, ან დროებითი დამხმარე ნაგებობების და მოშორებულ ადგილებამდე კომუნიკაციების მიყვანის სამუშაო გამოცდილება;
■ ინგლისური და ქართული ენების თავისუფლად ფლობა;
■ MS Office-ის მყარი ცოდნა;
■ საჭიროებისამებრ სხვა სფეროს ზედამხედველების ჩანაცვლების შესაძლებლობა;
■ მილსადენის სამშენებლო დერეფნის მომზადების, გრუნტის ზედა ფენის მოხსნის და დასაწყობების და შემდგომში მიწის საფარის აღდგენის ოპერაციებთან დაკავშირებულ სამუშაოებზე ზედამხედველობის გასაწევად საჭირო კვალიფიკაცია;
■ მრავალ-დისციპლინური და მრავალეროვანი სამშენებლო ბრიგადის შემადგენლობაში მუშაობის უნარი;
■ კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკითხების და სამუშაო ადგილზე კომპანიის HSE წესების მყარად დაცვის უნარი;
■ კომუნიკაციის დადებითი უნარი.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 12 ნოემბერი, პარასკევი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP-საქართველო**
**საქართველო, თბილისი**
**საბურთალოს ქუჩა N 38**



## ს/ს თელასის განცხადება

გთხოვთ მოგვაწოდოთ ძაბვის ტრანსორმატორი НОМ-6 6,3კვ/100ვ - **10ც**
ძაბვის ტრანსორმატორი **НТМИ**-6-66 6,3კვ/100ვ - **5ც**
ძაბვის ტრანსორმატორი **НТМИ**-10-66 10,5კვ/100ვ **-3ც**
მცველი ძაბვის ტრანსორმატორის **ПКН** 001-10**УЗ -30ც**

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ტრანსფორმატორები და მცველები უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის
მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;
წერილის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 11 ნოემბერი.



## ს/ს თელასი

**აცხადებს ტენდერს დ/ძ ალუმინის კაბელების მოწოდებაზე - 8კმ სხვადასხვა კვეთის;**

***გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კაბელები უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.***

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;
ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 11 ნოემბერი.



# სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი

კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტის** თანამდებობაზე. **სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**
**სერტიფიციკაციის ინჟინრის ასისტენტი** გააკონტროლებს აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის მილსადენების პროექტის საქართველოს მონაკვეთზე არსებული საქაჩი სადგურებისა და მილსადენის კონტრაქტების მონაცემთა ბაზას, უზრუნველყოფს რა სერტიფიკაციის ზუსტ აღრიცხვას

მოვალეობები:
**სერტიფიკაციის ინჟინრის ასისტენტი** მოვალეა:

■ დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ბი-პის საქმიანობის საინჟინრო სამუშაოების მონიტორინგში
■ დაეხმაროს სერტიფიკაციის ინჟინერს ტექნიკურ ინტეგრაციაში
■ ითანამშრომლოს კონტრაქტორთან პროექტის ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
■ განიხილოს სერტიფიკაციის მექანიკური დასრულების მონაცემები და გადასცეს საექსპლუატაციო გუნდს განსახილველად
■ მოამზადოს და ადგილობრივ ხელმძღვანელობას წარუდგინოს ყოველკვირეული და ყოველთვიური მოხსენებები
■ გაეცნოს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და პროცედურებს, რათა განსაზღვროს ინსპექტირებისა და ტესტირების პირობები
■ სერტიფიკაციის ინჟინრის არყოფნის პერიოდში იყოს პასუხისმგებელი პროექტის მიზნების სრულყოფასა და მათ შესრულებაზე
■ შეასრულოს სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა მოვალეობები

**განათლება და სამუშაო გამოცდილება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
■ უმაღლესი განათლება (სასურველია ელექტროტექნიკურ, საზომი ხელსაწყოების და ტელეკომუნიკაციების დარგში)
■ მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში
■ რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა
■ ტექნიკური კომპიუტერული სისტემის ცოდნა
■ კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Access, Microsoft Excel, Word & PowerPoint)
■ გუნდური მუშაობის უნარი და კარგი
■ მრავალეროვან გარემოში მუშაობა
■ სამუშაოს დადგენილ ვადაში შესრულება
■ ზედამხედველობის გარეშე მუშაობის უნარი

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 10 ნოემბერი, ოთხშაბათი.**

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
BP საქართველო
საბურთალოს ქუჩა 38
თბილისი, საქართველო

# ტირანის დამხობიდან საგანგებო მდგომარეობამდე

*ერაყის დროებითმა ხელისუფლებამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რომელიც, სავარაუდოდ, 60 დღეს გასტანს. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, საგანგებო მდგომარეობის წესები ერაყის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდება მისი ჩრდილოეთი, ქურთებით დასახლებული რაიონების გარდა.*



*ომის ოფიციალურად დასრულებიდან 20 თვის შემდეგ ერაყში საგანგებო მდგომარეობა ცხადდება.*

ერაყში ვითარება სულ უფრო გამოდის კონტროლიდან. ამის დადასტურებად ბოლო დროს გახშირებული ტერაქტები და მასობრივი შეტაკებებიც კმარა. მარტო კვირას, პროვინცია ალ-ანბარის ქალაქებში პოლიციის განყოფილებებზე ამბოხებულთა თავდასხმებს სულ მცირე სამ ათეულამდე ადამიანი ემსხვერპლა. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰადითასა და ჰაკლანიაში შეირაღებული პირები პოლიციის განყოფილებებს დილით დაესხნენ თავს. ჰადითაში განაიარაღეს პოლიციელები და შემდეგ დახვრიტეს. აღსანიშნავია, რომ დაუზუსტებელი ცნობებით, თავდამსხმელთა ხელში აღმოჩენილი იარაღი და სატრანსპორტო საშაულებები სწორედ ამ განყოფილებიდან წინა ღამეს გაიტაცეს.

სამწუხაროა, მაგრამ აფეთქებების სიმცირით არც გასული კვირა იყო გამონაკლისი. შაბათს, ამბოხებულებმა აფეთქებების მთელი სერია განახორციელეს ქალაქ სამარაში, მათ შორის რამდენიმე კამიკაძე-ტერორისტების ნამოქმედარი იყო.

უდავოა, როგორც ერაყის დროებითი ხელისუფლების, ასევე კოალიციის ჯარების მიერ ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილზე კონტროლი საერთოდ ვერ ხორციელდება, ან ფრიად უმნიშვნელოდ ხორციელდება. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობიდან 18 თვის შემდეგ ერაყის დროებითი ხელმძღვანელობა და მისი სახით ანტიერაყული კოალიცია იძულებული გახდა ესოდენ არაპოპულარული, ქვეყნის შიგნითაც და მით უმეტეს, საგარეო ასპარეზზე, ნაბიჯი გადაედგა.

უნდა ითქვას, რომ ადრიანი გაზაფხულიდან მოყოლებული "ერაყის დაუმორჩილებლობის მოძრაობის" მასშტაბი დღითიდღე იზრდებოდა. თუ აქამდე ასე თუ ისე ხერხდებოდა, ქვეყანაში მიმდინარე შეტაკებების ცალკეულ ტერორისტულ დაჯგუფებებზე და ბანდფორმირებებზე გადაბრალება. დღეს, როდესაც ერაყის რადიკალურმა მოძრაობებმა სერიოზული ხასიათი მიიღო (ომის ოფიციალურად დასრულების შემდეგ, ერაყში წარმოუდგენლად მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე სადამის არმიასთან უშუალო დაპირისპირებისას), ჩათვალეს, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ერთადერთი გამოსავალი იყო.

სიმბოლურია, საგანგებო მდგომარეობის წინდაწინ გაცხადებული დროც – 60 დღე. რაც ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ განიხილება იანვარში ქვეყანაში საყოველთაო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა. თუმცა, არსებულ რეალობას თუ პირუთვნელად შევაფასებთ, ნაკლებად სავარაუდოა, დღემდე მოუგვარებელი პრობლემების 60 დღის მანძილზე მოგვარება.

შეიარაღებული თავდასხმების ძირითადი სამიზნე ერაყის ახლად შექმნილი პოლიციაა. მიზანი ნათელია. თავდამსხმელების თქმით, ყველა, ვინც კოალიციურ ძალებთან თანამშრომლობს, მოღალატეა და შესაბამისად, სიკვდილის ღირსია. ალბათ, ამიტომაა, რომ ვერ და ვერ მოხერხდა ერაყის ახალი უსაფრთოხების ძალების საბოლოოდ დაკომპლექტება. მართალია, ერაყის დანგრეული ეკონომიკისა და საყოველთაო უმუშევრობის ფონზე ახლად შექმნილ შეიარაღებულ ძალებში სამსახური ხშირად ოჯახის გამოკვების ერთადერთი ალტერნატივაა, აშკარაა, მათაც კი ვინც უდავო ბოროტებად არ აღიქვამს ამერიკული დემოკრატიის ერაყში დამყარების სურვილს, ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სანაცვლოდ, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება ნამდვილად არ სურთ. აქედან გამომდინარე, ამ შენაერთების ბრძოლისუნარიანობაზე ლაპარაკიც, რბილად რომ ვთქვათ, მიზანშეუწონელი იქნებოდა. ფაქტია, დღეს ერაყში, მეტ-ნაკლებად ნორმალურ ვითარებას კოალიციის ჯარები ინარჩუნებს და მათი არყოფნის შემთხვევაში სრული ქაოსი გაბატონდებოდა.

გავრცელებული ვერსიის თანახად, ერაყის პოლიციაზე ბოლო დროს მომხდარი კოორდინირებული თავდასხმები, კოალიციის სხვა უფრო სტრატეგიული მიმართულებით დაწოლის შესუსტებისთვისაა გამიზნული. ეს მიმართულება კი, ფალუჯაა. მოქთად ას-სადრის "შემორიგების" შემდეგ დღის წესრიგიში სუნიტი ერაყელების "დაშოშმინება" დადგა. მათი მთავარი ციტადელი, ფალუჯა უკვე რამდენიმე თვეა გააფთრებულ წინაღმდეგობას უწევს აშშ-სა და ბრიტანეთის სამხედრო შენაერთებს. აშშ-ს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა თქმით, გასულ უქმეებზეც რამდენიმე საჰაერო თავდასხმა განხორციელდა, რომელთა მიზანიც, მათივე განცხადებით, ქალაქში არსებული უკანონო არსენალების განადგურება იყო.

გავრცელებული ცნობით, ქალაქთან აშშ-ს ქვედანაყოფებია მობილიზებული და შტურმისთვის ემზადებიან.

*24 საათი*

# ირანს ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმა არ სურს

ურანის გამდიდრების პროგრამის შემცირებასთან დაკავშირებით ირანისა და ევროპულ სახელმწიფოთა ორდღიანი მოლაპარაკება, ევროპელების შეფასებით, სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ შაბათს მოლაპარაკება ყოველგვარი ფორმალური შეთანხმების გარეშე დასრულდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, ერვე ლასუსის განცხადებით, "წინასწარი შეთანხმების მიღწევისათვის ნოყიერი ნიადაგია მომზადებული". ბირთვული პროგრამის სამუდამოდ შეჩერების სანაცვლოდ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და ევროკავშირი ირანს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ჰპირდება.



*ირანის ბირთვული პროგრამა - აღმოსავლეთი დასავლეთის წინააღმდეგ.*

მოლაპარაკებისას მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ირანის დელეგაცია სამშობლოში ამ საკითხზე კონსულტაციების გასამართად ყოველგვარი ფორმალური შეთანხმების გარეშე დაბრუნდა. როგორც ცნობილია, გაერო-ს ბირთვული სააგენტოს მიერ ირანისთვის დათქმული ბოლო ვადა, ურანის გამდიდრების პროგრამის შეჩერებასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 25 ნოემბერია, წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ-ს მოთხოვნის საფუძველზე საქმე უშიშროების საბჭოს გადაეცემა, რომელიც უფლებამოსილია, ეკონომიკური სანქციები დაუწესოს ირანს. ადრე, ოფიციალური თეირანი თანახმა იყო, შეეჩერებინა პროგრამა ექვსი თვით, რასაც ევროპა არ დათანხმდა და მისგან პროექტზე უპირობოდ მორატორიუმის დაწესება მოითხოვა. მუქარის მიუხედავად, ირანი მოითხოვს საწვავის წარმოებაზე უფლების შენარჩუნებას. ირანელთა განცხადებით, მათი ბირთვული პროგრამა მხოლოდ სამშვიდობო მიზნებითაა ნაკარნახევი და ელექტროენერგიის წარმოებისთვისაა გამიზნული, მაშინ როცა აშშ ბრალს სდებს მას ზემოაღნიშნული პროგრამის ბირთვული იარაღის წარმოების მიზნით გამოყენების განზრახვაში.

"მოლაპარაკებები რთული და დაძაბულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივე მხარე მისი გაგრძელების მომხრეა. ვნახოთ, სადამდე მიგვიყვანს იგი", -აღნიშნა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ქამალ ხარაზიმ თეირანში გამართულ პრესკონფერენციაზე.

"ორივე მხარის ინტერესებში უნდა შედიოდეს ირანის მიერ სამშვიდობო ბირთვულ ტექნოლოგიებზე ლეგიტიმური უფლების შენარჩუნება. სხვები უნდა დარწმუნდნენ, რომ ირანს არ აქვს ბირთვული იარაღის წარმოების განზრახვა,"- დაამატა ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა. ამავდროულად ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ ხანს ირანისა და ჩინეთის ურთიერთობებში საგრძნობი დათბობა შეინიშნება, რასაც ხელი შეუწყო ჩინეთის ნავთობიმპორტის (დაახლოებით 15 პროცენტი) ირანზე გავლამ. ცოტა ხნის წინ ამ ქვეყნებმა მოაწერეს კიდეც ხელი 25 წლის განმავლობაში ჩინეთისთვის ირანული ნავთობისა და გაზის მიყიდვის ხელშეკრულებას. ხელშეკრულების თანახმად, იმპორტის ოდენობა მილიარდი აშშ დოლარით ფასდება. ახალი მოკავშირის მხარდასაჭერად ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლი ძაოძინიმ თეირანში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ პეკინი არ დათანხმდება ირანის ბირთვული პროგრამის საკითხის უშიშროების საბჭოში გადაგზავნას. ჩინეთის მხარდაჭერამ კიდევ უფრო გაამყარა ირანის პოზიცია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიმართ.

*24 საათი*

# ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა პუტინის რეფორმებს უტევს

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებელთა მოხსენება, რომელიც 2005 წლის აპრილში გამოქვეყნდება, სავარაუდოდ, ვლადიმირ პუტინის კრიტიკაზე იქნება აგებული. ამის თაობაზე ღიად განაცხადეს საპარლამენტო ასამბლეის წევრებმა, რომლებიც აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობენ. მათი აზრით, ქვეყნის ხელისუფლებამ ევროსაბჭოს წინაშე აღებული 25 ვალდებულებიდან მხოლოდ ერთი შეასრულა.

რუსეთის რეგიონებში მონიტორინგის შემდეგ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებელმა დევიდ ატკინსონმა რამდენიმე მკვეთრი განცხადება გააკეთა, რომლითაც დაადასტურა, რომ რუსეთი, ფაქტობრივად, თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს. მათი შესრულება კი ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვისაა სავალდებულო.

დევიდ ატკინსონისა და რუდოლფ ბიდინგის თქმით, 1996 წლის შემდეგ რუსეთში მდგომარეობა უკეთესობისაკენ სრულიად არ შეცვლილა.

ატკინსონმა აღნიშნა, რომ რუსეთის ხელისუფლების ყველა ქმედება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვისაკენ არის მიმართული. თუმცა, მან თითოეულ ქმედებაზე ცალ-ცალკე ისაუბრა. ატკინსონის საუბრის ცალკე თემას ძალოვანი სტრუქტურები და ციხეები წარმოადგენდა. "ზედამხედველობაზე პროკურატურის გადამეტებული უფლებები დიდ შეშფოთებას იწვევს. რუსეთმა უშიშროების ფედერალური სამსახურის შესახებ კანონი ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. ამავე დროს, "ლეფოტოვოს" სამძებრო იზოლატორი, ისევე, როგორც უშიშროების ფედერალური სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა იზოლატორები, იუსტიციის სამინისტროს უნდა დაექვემდებარონ," - განაცხადა ატკინსონმა.

გარდა ამისა, საპარლამენტო ასამბლეის წევრებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ რუსეთში დამოუკიდებელი ტელემაუწყებლობა არ არსებობს. "ჩვენ მოველით გარკვეული ზომების მიღებას, რომელიც უზრუნველყოფდა აზრთა პლურალიზმს და იმგვარი პოლიტიკის გატარებას, რაც ხელს შეუწყობდა სიტყვის თავისუფლებას," – ნათქვამია მათ განცხადებაში. ატკინსონმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით არ არის დარწმუნებული, რომ ქვეყანაში არსებობენ ტელეარხები, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიების გაშუქებას დამოუკიდებლად და ობიექტურად შეძლებდნენ.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება პუტინის პოლიტიკური რეფორმების შინაარსზე შეაჩერეს. ეს ეხება სასამართლო რეფორმას და მხოლოდ პარტიული სიებით არჩევნებს. ატკინსონმა გულისტკივლით აღნიშნა, რომ რუსეთის დუმაში ერთმანდატიანი ოლქებიდან დეპუტატების არჩევაზე უარი თქვეს და არის მცდელობა, რომ მოსამართლეები სახელმწიფოს დაუმორჩილონ. "მე ნამდვილად მწყდება გული, რომ რუსეთმა სახელმწიფო დუმაში ერთმანდატიანი ოლქებიდან დეპუტატების არჩევნებზე უარი განაცხადა, რადგან მე თემთა პალატაში სწორედ ასეთი ოლქიდან მოვხვდი. ამასთან, ერთმანდატიანი დამოუკიდებელი დეპუტატების როლი ნებისმიერი ქვეყნის საპარლამენტო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუმცა, ჩვენ უფრო მეტად გვაშფოთებს მეორე გარემობა, რაც მოსამართლეთა უმაღლესი კვალიფიკაციის კოლეგიის წევრთა დანიშვნას შეეხება. გამოდის, რომ კოლეგიის 21 წევრიდან 11-ს პრეზიდენტი დანიშნავს და ჩნდება კითხვა, ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება თუ არა სასამართლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება?" – რიტორიკულად განსაჯა ატკინსონმა.

ის ასევე კრიტიკული იყო გენერალური პროკურორის ინიციატივის მიმართ, რომელიც ტერორისტებთან ბრძოლის მიზნით, თავად ტერორისტთა ნათესავების მძევლად აყვანას ემხრობა.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რუსეთში სარწმუნოების თავისუფლების კონსტიტუციური ნორმა ჯერაც არ სრულდება. ატკინსონის თქმით, ზოგიერთი რელიგიური მოღვაწეები იდევნებიან, ხოლო იეღოვას მოწმეთა ორგანიზაცია მოსკოვში კანონგარეშედ არის გამოცხადებული. მომავალი მოხსენების ზოგადი დასკვნა საკმაოდ არადამამშვიდებელი აღმოჩნდა: რუსეთმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე აღებული 25 ვალდებულებიდან მხოლოდ ერთის შესრულება მოახერხა.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ ატკინსონის განსაკუთრებით მძაფრი კრიტიკის საგანი ვლადიმირ პუტინის ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ინიციატივები გახდა, რომლითაც ის საკუთარი ძალაუფლების გამყარებას გეგმავს. არც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და არც კრემლს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელთა განცხადებებზე კომენტარი არ გაუკეთებიათ. შესაძლოა, ისინი მოვლენათა ამგვარად განვითარებისათვის მზად არ იყვნენ, ვინაიდან ქვეყნის გარშემო დევიდ ატკინსონისა და რუდოლფ ბინდიგის მოგზაურობის დასაწყისში იყო იმის ილუზია, რომ უსიამოვნო სიურპრიზებს ადგილი არ ექნებოდა. თუმცა, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, ნანახის და განცდილის გათვალისწინებით, საპარლამენტო ასამბლეის წევრებს გაუჭირდათ პასუხის გაცემა, თუ როდის მოიხსნებოდა რუსეთზე მონიტორინგი.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ატკინსონისა და ბინდიგის გამოსვლის ტონალობა მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მათ იუსტიციის სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში, უშიშროების ფედერალურ სამსახურში, გენერალურ და სამხედრო პროკურატურაში, სახელმწიფო დუმაში და ფედერაციის საბჭოში გამართეს შეხვედრები.

ევროსაბჭოს საპარლმანეტო ასამბლეის წარმომადგენლებმა დიდი უკმაყოფილება გამოხატეს იმის თაობაზე, რომ რუსეთმა ჯერაც არ მოახდინა რიგი ევროპული კონვენციების რატიფიცირება, მათ შორის სიკვდილით დასჯის გაუქმება, კონვენცია რეგიონული ენებისა და ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ, ევროპის სოციალური ქარტია და კონვენცია მოქალაქეობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო მდგომარეობა რუსეთში ნაკლებად იმედის მომცემია, უნდა ვივარაუდოთ, რომ აპრილის მოხსენებაში ძირითადი დარტყმა, როგორც ჩანს, პუტინის რეფორმების რეალიზაციის გეგმებს მიადგება.

*24 საათი*

# კოტ დ`ივუარი სამოქალაქო ომის ზღვარზე

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა 6 ნოემბერს კოტ დ`ივუარის ყველა სამხედრო საჰაერო საშუალებების განადგურების ბრძანება გასცა, ვინაიდან აღნიშნული სამხედრო აღჭურვილობა უკანასკნელ ხანს საბრძოლო მოქმედებებისთვის გამოიყენებოდა ივუარელების მიერ, რაც ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დარღვევაა. ელისეს სასახლის განცხადებით, საფრანგეთის სამშვიდობო კონტინგენტზე საჰაერო თავდასხმის შედეგად დაიღუპა 9 ჯარისკაცი, ხოლო 28 დაიჭრა. საპასუხოდ საფრანგეთის სამხედრო ძალებმა ივუარის სუ-25 ტიპის 2 თვითმფრინავი გაანადგურა, რომლებიც ივუარელების საკუთრებაში მყოფი ერთადერთი მოიერიშეები იყო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე გაავრცელა ინფორმაცია, რომლითაც კოტ დ`ივუარის პრეზიდენტს ლორან გბაგბოს მოუწოდებს, "გამოავლინოს პასუხისმგებლობა და აღადგინოს ქვეყანაში მშვიდობა". ივუარის პარლამენტის წარმომადგენლის, მამადუ კულიბალის განცხადებით, დაპირისპირების მეორე ღამეს საფრანგეთის სამხედროებმა მოკლეს 30 და დაჭრეს 100-ზე მეტი ადამიანი კოტ დ`ივუარიდან. მან ფრანგები მისი სამშობლოს "ოკუპაციაში" დაადანაშაულა. ამა წლის შემოდგომამდე კოტ დ`ივუარში აჯანყებულებსა და ხელისუფლებას შორის 2003 წელს მიღწეული სამშვიდობო შეთანხმება მოქმედებდა. ხელშეკრულების ძირითადი პუნქტების დარღვევის შემდეგ საფრანგეთმა დამატებითი სამხედრო კონტინგენტი გაგზავნა.

საჰაერო თავდასხმის შემდეგ ფრანგებმა ქვეყნის ეკონომიკური დედაქალაქის აბიჯანის აეროპორტი დაიკავეს და ცეცხლი გაუხსნეს ივუარელების მრავალათასიან ბრბოს, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ნაჯახებით, მაჩეტეებით, ჯოხებით და აეროპორტის მიმართულებით მიემართებოდნენ. აღნიშნულ ინციდენტამდე კი შეიარაღებულმა ივუარელებმა ალყა შემოარტყეს საფრანგეთის საელჩოს, გადაწვეს ფრანგების კუთვნილი მაღაზიები, ფირმები, გაძარცვეს ასევე ფრანგული ლიცეუმი, რომელიც საფრანგეთის ყოფილ კოლონიაში ყველაზე ძველი დაწესებულებაა. დამრბევებმა ნამდვილი ნადირობა მოაწყვეს ქუჩებში საფრანგეთის მოქალაქეებზე. ვითარების ასეთი გამწვავების შემდეგ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა კოტ დ`ივუარში დამატებით 300 ჯარისკაცის გაგზავნის შესახებ გააკეთა განცხადება. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტს თაბო მბეკის აფრიკის კავშირმა "სასწრაფოდ პოლიტიკური გამოსავლის პოვნის მიზნით" ზომების მიღება სთხოვა. თუმცა, სააგენტო "ფრანს პრესის" თანახმად, მისიის დაწყების ვადები, ჯერჯერობით, უცნობია, ისევე როგორც ის, თუ ვინ იქნება ჩართული მასში. მისიის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება ნიგერიაში ქალაქ ოტაში აფრიკის კავშირისა და დასავლეთ აფრიკულ სახელმწიფოთა ეკონომიკური კავშირის შეხვედრაზე იქნა მიღებული. აფრიკელ ლიდერთა მიერ ივუარის ხელისუფლებისადმი გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ "კონფლიქტის ესკალაცია ეროვნული თანხმობის პროცესს ეწინააღმდეგება". გარდა ამისა, მათ ერთსულოვნად დაგმეს, როგორც ივუარელების მიერ საჰაერო თავდასხმის ფაქტი, რომელმაც 9 ფრანგი სამშვიდობო ჯარისკაცი იმსხვერპლა, ასევე აბიჯანის შემთხვევაც. საფრანგეთის სამხედრო ძალებზე თავდასხმის ფაქტი უარყო გაერო-ს უშიშროების საბჭომაც.

საფრანგეთი ხელისუფლება მთელ პასუხისმგებლობას პირადად კოტ დ`ივუარის პრეზიდენტს ლორან გბაგბოს აკისრებს.

*24 საათი*

# ოპოზიციურ ნარინჯისფერს წითელი ფერიც შემატა

## სოციალისტები იუშენკოს მხარდამხარ იბრძოლებენ

უკრაინის ოპოზიცის განცხადებით, ქვეყანაში "ნებაყოფლობითი სახალხო დრუჟინები" იქმნება, რომელთა მოვალეობაც არჩევენების მეორე ტურის გაყალბებისგან დაცვა იქნება. ამავდროულად, ცნობილი ხდება საპრეზიდენტო არჩევნებში მესამე ადგილზე გასული ალექსანდრ მოროზის ხმების მომავალი ბედი. უკრაინის სოციალისტური პარტიის ლიდერი ალექსანდრე მოროზი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციის კანდიდატს, ვიქტორ იუშენკოს დაუჭერს მხარს. შესაბამის შეთანხმებას მოროზმა და იუშენკომ შაბათს, კიევში მოაწერეს ხელი.

ბლოკ "ნაშა უკრაინას" ლიდერს ვიქტორ იუშენკოს და სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებს შორის კონსულტაციები რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მხარდაჭერის სანაცვლოდ, სოციალისტებმა გარკვეული პირობები წამოაყენეს, რასაც იუშენკო დათანმხდა.

არჩევნების მეორე ტურში უკრაინის პრეზიდენტის პოსტისთვის ვიქტორ იუშენკო და მოქმედი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იანუკოვიჩი იბრძოლებენ. სოციალისტთა ლიდერმა ალექსანდრე მოროზმა პირველ ტურში კომუნისტთა კანდიდატს პეტრე სიმონენკოს გაუსწრო და მესამე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური 21 ნოემბერსაა დანიშნული და თუ გავითვალისწინებთ, ხელისუფლების კანდიდატსა და იუშენკოს მიერ მიღებულ ხმებს შორის მიზერულ სხვაობას, ცხადია, თითოეულ ახალ მხარდამჭერს გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

*24 საათი*

# საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია ათი წლისაა

*ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში "საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის" კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია, რომლის თემა "საკეისრო კვეთა-მტკიცებულებების მიმოხილვა" იყო, ასოციაციის შექმნის ათი წლისთავს მიეძღვნა.*

თამარ ჯაჯანიძე

"საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაცია" 1994 წელს დაარსდა, 1997 წელს კი დანიაში გამართულ მსოფლიო გინეკოლოგთა ასოციაციის ყრილობაზე მის სრულუფლებიან წევრად იქნა აღიარებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ასოციაციის თავმჯდომარე ბატონი თენგიზ ასათიანი დიდი ბრიტანეთის სამეფო მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის წევრად აირჩიეს. 2004 წელს სანკტ-პეტერბურგში, ასოციაციის ეგიდით, პირველი ევროაზიური კონგრესი ჩატარდა. ასოციაციაში ამაყობენ, რომ მათი ძალისხმევით გამოცემულია ექვსი სახელმძღვანელო; გახსნილია ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი ასოციაციის წევრებისთვის, სადაც მომხმარებლებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მასალეზე მიუწვდებათ ხელი. ფასიანი უწყვეტი სამედიცინო განათლების არსებობის პირობებში კი, ასოციაციაში 50-პროცენტიანი ფასდაკლებით ასწავლიდნენ ექიმ-გინეკოლოგებს. მეან-გინეკოლოგებს საიუბილეო თარიღი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმაც მიულოცა და სახელმწიფოს მხრიდან შემწეობა აღუთქვა. კონფერენციაზე მოხსენებები საქართველოს წამყვანმა გინეკოლოგებმა წაიკითხეს. ბატონმა თენგიზ ასათიანმა თბილისის სამშობიაროებში ჩატარებული საკეისრო კვეთის აუდიტის შედეგები გააცნო დამსწრე საზოგადოებას. ეს შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში მშობიარობისას დედათა და შვილთა სიკვდილიანობის მაღალი პროცენტია. ამ კონფერენციის მიზანი სწორედ ექიმებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება იყო, რათა მათ შეძლონ ყველა შესაძლო ხერხის გამოყენება სიკვდილიანობის თავიდან ასაცილებლად.

წაიკითხეს მოხსენებები საკეისრო კვეთის ტექნიკაზე. გინეკოლოგებს გააცნეს საკეისრო კვეთის იურიდიული და ეთიკური ასპექტები და საზღვარგარეთ აპრობირებული სამედიცინო მეთოდები. კონფერენციაზე თვალსაჩინოებისთვის ფილმის დემონსტრირების საშუალებაც იყო, რომლის დახმარებით, ქართველმა გინეკოლოგებმა ე.წ. სტარკის მეთოდის ხილვა შეძლეს.

საბოლოოდ კი, ამ კონფერენციის მიზანი პროტოკოლის პროექტის მომზადებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნა გახლდათ. **"პროფესიულ საქმეებზე პროფესიონალებმა უნდა იმუშაონ",** - აცხადებენ მეან-გინეკოლოგები. იმედია, ისინი მომავალში მაინც გააუმჯობესებენ შედეგებს და დედათა და შვილთა სიკვდილიანობის არსებული ნიშნული ოპტიმალურ დონემდე შემცირდება.

# დახმარება სტომატოლოგიური იარაღით

*შაბათს, 6 ნოემბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ლადო ჭიპაშვილის მხარდაჭერით, თბილისში ორმა სტომატოლოგიურმა კლინიკამ ერთგვარი საქველმოქმედო აქცია მოაწყო. "როიალ-დენტსა" და მამუკა მარგველაშვილის სტომატოლოგიურ კლინიკაში სამაჩაბლოელ ბავშვებს უფასო სტომატოლოგიური დახმარება გაუწიეს. "რადგან ჩვენ საბრძოლო იარაღით არ შეგვეძლო კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთა დახმარება, ამიტომ სტომატოლოგიური იარაღებით დავეხმარეთ მათ", - ღიმილით გვითხრა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მანანა კალანდაძემ.*

ნანა ყაველაშვილი

მსგავს საქველმოქმედო აქციებს თსუ-ს სტომატოლოგიისა და ყბასახის ქირურგიის კათედრის საბაზო კლინიკები – "როიალ-დენტი" და მამუკა მარგველაშვილის სტომატოლოგიური კლინიკა მანამდეც აწყობდნენ. აქციების ორგანიზატორი ამ კათედრის გამგე, პროფესორი მამუკა მარგველაშვილია. გასულ წლებში ამ კლინიკების სტომატოლოგებმა უფასო მომსახურეობა გაუწიეს ენდემური ჩიყვითა და დიაბეტით დაავადებულ პატარებს, ამ ზაფხულს კი აჭარის მაღალმთიან სოფლებს – ქედასა და მერისს ესტუმრნენ; ზაფხულშივე უნდოდათ სამაჩაბლოს სოფლებში ჩასვლაც, მაგრამ მათ განზრახვას კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავებამ შეუშალა ხელი. ამიტომ, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილემ, ზვიად ხმალაძემ მათ შესთავაზა, გადაუდებელი მკურნალობის საჭიროების მქონე ბავშვებს რეგიონის ადგილობრივი სტომატოლოგები შეარჩევენ, ტრანსპორტირებაში ჩვენ დავეხმარებით და ადგილზევე მოემსახურეთო. 6 ნოემბერს სამაჩაბლოს ორი სოფლიდან – ავნევიდან და ნულიდან თბილისში ოთხიდან თოთხმეტ წლამდე ასაკის ოცდაშვიდი ბავშვი ჩამოვიდა მშობლებთან ერთად. ბავშვებს ჩაუტარდათ თერაპიული და ქირურგიული, სტომატოლოგიური მკურნალობა – ზოგს კბილები დაუბჟინეს, ზოგსაც ამოუღეს; "ვაკის ლეჩკომბინატის" კლინიკურ ლაბორატორიაში კი ალერგიული სინჯები გაუკეთეს.

ამ სოფლებში საკუთარი სტომატოლოგები არა ჰყავთ. ადგილობრივი მოსახლეობა სამკურნალოდ ადრე ცხინვალში დადიოდა. კონფლიქტის გამწვავების შემდეგ კი გორსა და ქარელში უწევთ ჩასვლა. ერთ-ერთი პაციენტის მშობლის თქმით, არსებულ სიტუაციაში გორში ან ქარელში სტომატოლოგთან ვიზიტისათვის მათ არც დრო აქვთ და არც ფინანსები. "როიალ-დენტისა" და მამუკა მარგველაშვილის კლინიკის დახმარება მათთვის და მათი ბავშვებისათვის, მართლაც რომ, დიდი დახმარება იყო.

პატარა მარიამ ტაბატაძეს ძალიან შეეშინდა იარაღმომარჯვებული, თეთრხალათიანი დეიდებისა და ბიძიების (მას მშობელი არ ახლდა თან) დანახვისა, პირს არ უღებდა მათ, მაგრამ სხვების მშობლებმა "იძალავეს", - ამხელა გზაზე ტყუილად ჩამოვიყვანეთო? საბოლოოდ, ქველმოქმედი ექიმების მომსახურებით ბავშვებიც და მშობლებიც კმაყოფილები დარჩნენ. კმაყოფილები დარჩნენ სტომატოლოგებიც.

**"ძალიან მორჩილი და კარგად აღზრდილი პაციენტები აღმოჩნდნენ; მშობლები - ყურადღებიანები და მადლიერები. საერთოდ, შაბათს ექიმები ორივე კლინიკაში ისვენებენ, მაგრამ პატარების დასახმარებლად არც თავი დაგვიზოგავს და არც მედიკამენტები",** – გვითხრა პროფესორმა მამუკა მარგველაშვილმა.

მკურნალობის დასასრულს პატარა პაციენტებს საჩუქრად კბილის პასტები და საბავშვო ჯაგრისები დაურიგეს; სასარგებლო რჩევებიც მისცეს.

იმ ბავშვებს, ვისაც მკურნალობა ვერ დაუმთავრეს, მომავალ შაბათს "როიალ-დენტსა" და მამუკა მარგველაშვილის სტომატოლოგიურ კლინიკაში კვლავ ელიან.

# "შერატონის" ტრადიცია

ზაზა ფაჩუაშვილი

შაბათ დილით, 10 საათზე თეთრ მაისურებში გამოწყობილი ხალხი ვერის ბაღს მიადგა და დასუფთავება დაიწყო. ესენი იყვნენ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" თანამშრომლები, გენერალური მენეჯერის ხელმძღვანელობით და ქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, რომლებსაც სასტუმრო "თბილისის" თანამშრომლებიც ეხმარებოდნენ.

"დღევანდელი შაბათობა "შერატონის" ინიციატივით მოეწყო. ცხადია, თბილისის მერიის წარმომადგენლები გამოვეხმაურეთ ამ აქციას და მოვამარაგეთ საჭირო იარაღებით. ეს არის ყველასთვის სასარგებლო ინიციატივა, რომელიც მაგალითი უნდა გახდეს სხვებისთვისაც. ჩვენ წავახალისებთ და დავეხმარებით ყოველ ასეთ აქციას", - განაცხადეს თბილისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

"ჩვენი აქცია არის მაგალითი, რომლითაც გვინდა, დავანახოთ ყველას, დალაგება-დასუფთავება არ არის ისეთი რთული საქმე, რომ მაინც და მაინც შესაბამის სამსახურებს ველოდოთ. ეს ყველას შეგვიძლია და უნდა გავაკეთოთ კიდეც. ჩვენი მხრიდან ეს არ იქნება უკანასკნელი ინიციატივა და მსგავს აქციებს კვლავაც გავაგრძელებთ", - გვითხრა სასტუმრო "შერატონ-მეტეხის" წარმომადგენელმა.

მსგავსი აქციების მოწყობა - ქვეყნის ეროვნულ ღირებულებებზე ზრუნვა "შერატონ მეტეხი პალასის" ტრადიციაა. საკმარისია, გავიხსენოთ მისი სადღესასწაულო მიღებები, სადაც ყოველთვის მაქსიმალურადაა წარმოჩენილი ქართული ეროვნული ტრადიციები და ხალხური შემოქმედების უნიკალური ნიმუშები.

## საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო

## დადგენილება

1.11.2004 N 47

თბილისი

ეროვნული ვალუტის 50 და 100 ლარის ღირებულების 2004 წლის გამოშვების მოდიფიცირებული ბანკნოტების მიმოქცევაში გაშვების შესახებ

**"საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე, 45-ე და 73-ე მუხლების შესაბამისად ეროვნული ბანკის საბჭო ა დ გ ე ნ ს:**

1. 2004 წლის 9 ნოემბრიდან მიმოქცევაში გავიდეს გაუმჯობესებული ხარისხის 2004 წლის გამოშვების 50 და 100 ლარის ღირებულების მოდიფიცირებული ბანკნოტები (დანართი).
2. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი ვალდებულია შეუფერხებლად მიიღოს აღნიშნული ბანკნოტები და აწარმოოს ანგარიშსწორება.
3. 1995 და 1999 წლის გამოშვების ლარის ყველა ნომინალის ბანკნოტის მიმოქცევის ვადა გაგრძელდეს 2005 წლის 1 ივლისამდე, ხოლო შემდგომში მათი გამოცვლა განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით.
4. ეს დადგენილება და 2004 წლის გამოშვების ლარის მოდიფიცირებული ბანკნოტების ნიმუშები მათი დამცავი მექანიზმების აღწერილობასთან ერთად გამოქვეყნდეს საინფორმაციო საშუალებებით.
5. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2004 წლის 9 ნოემბრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის
საბჭოს თავმჯდომარე ი. მანაგაძე






## 2004 წლის გამოშვების მოდიფიცირებული 50 და 100 ლარის ღირებულების ბანკნოტების დამცავი ნიშნები

1. **ჭვირნიშანი** - გამჭოლ შუქზე გახედვისას ბანკნოტის თეთრ ფონზე ჩანს გარდამავალი ტონებით შესრულებული პორტრეტის, "GEL"-ისა და ნომინალის აღმნიშვნელი ციფრის ნათელი გამოსახულებები.
2. **წითელი ბოჭკოები** - ქაღალდის ფენაში სხვადასხვა სიღრმეზე ჩატანებულია წითელი ფერის ბოჭკოები.
3. **მიკროსტრიქონი** - წარწერა "GEORGIA" იკითხება მხოლოდ გამადიდებელი ხელსაწყოს მეშვეობით.
4. **თანმხვედრი გამოსახულება** - ბანკნოტების წინა და უკანა მხარეს წარმოდგენილი ნომინალის აღმნიშვნელი ციფრის დანაწევრებული დეტალები ერთიანდება გამჭოლ შუქზე გახედვისას.
5. **ფლუორესცენციური ბოჭკოები** - ულტრაიისფერი სხივებით დასხივებისას ბანკნოტზე ჩნდება მწვანე, ყვითელი და ლურჯი ფერის ფლუორესცენციური ბოჭკოები.
6. **რელიეფური ნაბეჭდი** - ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულ გრაფიკულ ელემენტებზე (ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი, პორტრეტი, წარწერები და ბორჯღალი) დატანილი საღებავის ფენა რელიეფურია და შეიგრძნობა შეხებით.
7. **ოპტიკურად ცვალებადი მელანი** - სხვადასხვა კუთხით დახრისას ოპტიკურად ცვალებადი საღებავით შესრულებულ გრაფიკულ ორნამენტს ახასიათებს ფერთა ცვალებადობის ეფექტი.
8. **ნიშანი სუსტი მხედველობის ადამიანებისათვის** - სხვადასხვა ნომინალის ბანკნოტებზე განსხვავებული გრაფიკული ელემენტები რელიეფურია, შეიგრძნობა შეხებისას და იძლევა ბანკნოტების ნომინალური აღქმის შესაძლებლობას.
9. **ჰოლოგრამა** - ვერცხლისფერ ჰოლოგრამაზე დატანილია დროშის გამოსახულება.
10. **ფარული გამოსახულება** - დახრილი კუთხით გახედვისას ბანკნოტზე გამოისახება ნომინალის აღმნიშვნელი ციფრი.
11. **სერიული ნუმერაცია** - დაბეჭდილია ფლუორესცენციური (მარცხნივ) და მაგნიტური (მარჯვნივ) საღებავებით.
12. **ფოსფორესცენციური კვადრატი** - ულტრაიისფერი სხივებით დასხივებისას ბანკნოტზე ჩნდება ფოსფორესცენციური კვადრატი ნომინალის აღმნიშვნელი ციფრითა და ბორჯღალის გამოსახულებით.
13. **ფლუორესცენციური ნომინალი** - ბანკნოტის უკანა მხარეს ნომინალის აღმნიშვნელი ციფრები ულტრაიისფერი სხივებით დასხივებისას ნათდება ყვითლად.
14. **ვერტიკალური დამცავი ძაფი** - წყვეტილი დამცავი ძაფი წარწერით "LARI" გამჭოლ შუქზე გახედვისას მთლიანდება.
15. **ირისისებური ზოლი** - ბანკნოტის უკანა მხარეს ქაღალდის ზედაპირზე მოთავსებულია გამჭვირვალე, სადაფისებური ეფექტის მქონე მრავალფერიანი ზოლი წარწერით - "GEL".
16. **ინფრაწითელი ნათება** - ინფრაწითელი სხივების ქვეშ ჩანს ბანკნოტებზე გამოსახული გრაფიკული ელემენტების მხოლოდ ნაწილი.





# "არ აჰყვეთ პროვოკაციებს!"




*გათავისუფლებული ქართველი მძევლები აცხადებენ, რომ სეპარატისტები მათ ცუდად არ ექცეოდნენ.*

პირველი გვერდიდან

გატაცება-გაუჩინარების სანაცვლოდ ჰყავდათ დაკავებული. დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ძალოვანმა უწყებებმა კი ის რამდენიმე ათეული ქართველი გაათავისუფლეს, რომლებიც ცხინვალის მილიციის განყოფილებებში იმყოფებოდნენ. მძევლები ორივე მხრიდან უვნებლები არიან.

ერთი სიტყვით, უკიდურესად დამძიმებული სიტუაციის ფონზე ქართულ რუსულ და ოსურ მხარეებს შორის რამდენიმედღიანმა მოლაპარაკებებმა გუშინ შედეგი გამოიღო. თუმცა, ჯერ კიდევ არაფერია ცნობილი გატაცებული 22 წლის ელდარ კახნიაშვილის მდგომარეობისა და ადგილ-სამყოფელის შესახებ. გატაცებულის ახლობლები, რომელთაც რამდენიმე დღის განმავლობაში გადაკეტილი ჰქონდათ ცხინვალი-ჯავის მაგისტრალი, მას კვლავ უშედეგოდ ეძებენ.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციაში დარწმუნებულები არიან, რომ კახნიაშვილი ოს კრიმინალებს ჰყავთ და მძევალი იმ ტერიტორიაზე იმყოფება, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. ცხინვალის სეპარატისტული მთავრობა კი დღემდე კატეგორიულად უარყოფს ოსური მხარის მიერ კახნიაშვილის გატაცების ფაქტს, რაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ბოლომდე განმუხტვას აფერხებს. სხვათა შორის, ცხინვალის სეპარატისტული მთავრობა იმ ათეულობით ქართველის მძევლობის ფაქტსაც უარყოფდა, რომლებიც გუშინ გადმოსცეს ქართულ მხარეს.

**"თუ ქართული მხარე სასწრაფოდ არ გაათავისუფლებს ოსი ეროვნების მოქალაქეებს, ოს და ქართველ მოსახლეობას შორის მასშტაბური დაპირისპირება გარდაუვალია"** - ასეთი შინაარსის განცხადებები კეთდებოდა ბოლო დღეებში სეპარატისტების მხრიდან. ქართული მხარე კი, იმ შემთხვევაში, თუკი ცხინვალში დაკავებული მძევლებისა და გატაცებული კახნიაშვილის გათავისუფლება არ მოხდებოდა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის უკონტროლობის შესაძლებლობაზე საუბრობდა. ფაქტია, ვითარება შედარებით განიმუხტა - მძევლები ორივე მხრიდან გათავისუფლებულები არიან. სეპარატისტების მიერ გატაცებული ელდარ კახნიაშვილის შესახებ კი ჯერ კიდევ არაფერია ცნობილი. სეპარატისტები დღემდე ირწმუნებიან, რომ გატაცების ფაქტს საერთოდ არ ჰქონია ადგილი. არაოფიციალური წყაროების საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ელდარ კახნიაშვილი, სავარაუდოდ, გარდაცვლილია და მისი ცხედარი ცხინვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს პროზექტურაშია გადატანილი (თუმცა ეს ინფორმაცია არ დასტურდება).

**"ელდარ კახნიაშვილი ამ დრომდე კვლავ ტყვეობაში რჩება. გატაცებული ახალგაზრდის ადგილ-სამყოფელის დასადგენად, დღეს, დილის რვა საათიდან, შერეული ქართულ-რუსულ-ოსური ჯგუფები, გამნაღმველებთან ერთად, ქართული და ოსური მხარეების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე სამძებრო სამუშაოებს დაიწყებენ"** , - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა. როგორ განვითარდება მოვლენები და რა გახდება ცნობილი გატაცებული ქართველის შესახებ, წინასწარ ძნელი სათქმელია. ადგილობრივი მოსახლეობა კი კვლავ კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისგან, სამხრეთ ოსეთის დეფაქტო მთავრობის პირველი პირებისგან და შერეული სამშვიდობო ძალების სარდლობისგან ყველა ღონისძიების გატარებას 22 წლის ქართველი მძევლის ადგილ-სამყოფელის დასადგენად და გასათავისუფლებლად. ვადა, რომელიც ქართულმა მხარემ სამშვიდობო ძალების სარდლობას და ოსურ მხარეს კახნიაშვილის გათავისუფლებისთვის მისცა, უკვე ამოწურულია.

**"არ აჰყვეთ პროვოკაციებს, რომლებსაც გარკვეული ძალები გეგმავენ, რათა არ გავხდეთ უნებლიე მონაწილეები იმ მოვლენებისა, რომლებმაც, შესაძლოა, საქართველო გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს"** , - ასეთი გახლავთ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ქართველების მისამართით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება-გაფრთხილება.

## მოკლედ

### უშიშროება იმუქრება, მართლმსაჯულება კი მკაცრია

ქვეყნის უშიშროების სამსახურის მიერ გაცემული გაფრთხილება-მუქარა, რომ სატელეფონო ტერორისტები, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში განხორციელებული ცრუ ზარების ავტორები მკაცრად დაისჯებიან, გუშინ უზენაესმა სასამართლომ სისრულეში მოიყვანა. კახა ხუხუნაიშვილის დაკავება-დაპატიმრება, რომლის ცრუ ინფორმაციამაც შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ რამდენიმე დღის წინ სამხატვრო აკადემიში განგაში ატეხა და სასწავლო პროცესი ჩაშალა, ალბათ მაგალითი იქნება მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ უშიშროების სამსახურს მართლაც აქვს საშუალება, დაადგინოს ცრუ ზარების ავტორები და მათ მიმართ მკაცრი ღონისძიებები გაატაროს. უზენაესმა სასამართლომ დახურულ კარს მიღმა რამდენიმესაათიანი მსჯელობის ბოლოს ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის კახა ხუხუნაიშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა და ბრალდებული საპყრობილეში გაისტუმრა. მართალია, უზენაესი სასამართლოს გუშინდელი გადაწყვეტილება გასაჩივრებას ექვემდებარება და ბრალდებულის ადვოკატი საკასაციო საჩივრით მის გაუქმებას უახლოეს დღეებში აუცილებლად მოითხოვს, ნაკლებად სავარაუდოა, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მაგალითისთვის მიღებული გადაწყვეტილება შეცვალოს. მით უმეტეს, რომ როგორც უშიშროების სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულმა დანაშაული აღიარა. ერთი სიტყვით, მეგობარი გოგონას შენობიდან გამოყვანის მიზნით სამხატვრო აკადემიაში ცრუ განგაშის ატეხვისთვის კახა ხუხუნაიშვილს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. შესაძლოა, მასვე დაეკისროს იმ თანხის ანაზღაურება, რაც უშიშროების სამინისტროს გამმნაღმველ ჯგუფს ნაღმის აღმოსაჩენად სამხატვრო აკადემიაში ჩატარებული რამდენიმესაათიანი ოპერაციის დროს დასჭირდა. *24 საათი*

### ნაპოლეონ ქარქაშაძის ქონების კონფისკაციის საკითხი საპყრობილეში გადაწყდება

დღეს თბილისის N1 საპყრობილეს საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგია ეწვევა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დაკავებულ-დაპატიმრებული საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის ნაპოლეონ ქარქაშაძის ქონების კონფისკაციის საკითხს განიხილავს. პროცესის "ციხეში ჩატარების მიზეზი ქარქაშაძის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაა",- განგვიცხადეს გენერალურ პროკურატურაში. ქონების ნაწილი, რომელსაც გამოძიება ბრალდებულ ყოფილ რექტორს ედავება, კარგა ხნის წინ დააყადაღეს იუსტიციის სამინისტროს აღმასრულებლებმა. სასამართლო კოლეგიამ წინა სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის არგუმენტებიც მოისმინა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ქონება ქარქაშაძეს უკანონოდ და დაუსაბუთებლად აქვს შეძენილი და დაცვის მხარის არგუმენტებზეც იმსჯელა. სავარაუდოდ, მართლმსაჯულება სწორედ დღეს, საპყრობილეში გამიტანს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, უნდა ჩამოერთვას თუ არა გამოძიებისთვის სადავო ქონება ნაპოლეონ ქარქაშაძეს. საუბარია ქარქაშაძისა და მისი ოჯახის წევრების კუთვნილებაში არსებულ რამდენიმე საცხოვრებელ ბინაზე, მიწის ნაკვეთსა და ავტომანქანაზე. *24 საათი*

### იუსტიციის სამინისტრო ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსს გამოაცხადებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებამდე, ამ თანამდებობებზე მოვალეობის შემსრულებლების კანდიდატურებს შეარჩევს. საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის, უფროსის მოადგილის, საერთაშორისოს ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინაციის სამმართველოს მრჩეველის, ხელშეკრულებათა ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის, ევროპის სასამართლოში ადამიანის უფლებათა სახელმწიფო წარმომადგენლის სამსახურის მრჩეველის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობებზე მოვალეობის შემსრულებლად დასანიშნად გასაუბრება 1 დეკემბერს სამინისტროში ჩატარდება. შერჩევაში მონაწილეობის მსურველებმა, იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტს 23 ნოემბრის ჩათვლით 11 საათიდან 13 საათამდე უნდა მიმართონ. *მედია-ნიუსი*

# რა ბედი ეწია საქართველოში მოპარულ რადიოაქტიურ ნივთიერებას

*გაზეთ "Times"-ის ინფორმაციით, ციმბირელმა ფიზიკოსმა მილიციას ჩააბარა რვა კონტეინერი რადიაქტიური ნივთიერება პლუტონი, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებლად გამოიყენება და რომელსაც ციმბირელი ფიზიკოსი ექვსი წლის მანძილზე საკუთარ ავტოფარეხში ინახავდა.*

"ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში არსებულ ცუდად დაცულ ობიექტებში ტერორისტებს თავისუფლად მიუწვდებათ ხელი რადიოაქტიურ ნივთიერებებზე, რომლითაც ისინი შემდეგ "ჭუჭყიან ატომურ ბომბებს" ამზადებენ," - წერს გაზეთი "Times"-ი, რომლის ინფორმაციითაც, ფიზიკოსმა ლეონიდ გრიგოროვმა 400 გრამი პლუტონი-238 ალტაის ერთ-ერთი ქარხნის ლაბორატორიიდან, სადაც ის ინჟინრად მუშაობდა, წამოიღო. გრიგოროვის განცხადებით, ქარხანა 1992 წელს დაიკეტა, მაგრამ ლაბორატორიაში არსებული რადიოაქტიური ნივთიერებების შენახვაზე არავის უზრუნია. ამიტომაც მან პლუტონი სახლში წამოიღო და ავტოფარეხში შეინახა, რათა ნივთიერება უცხო ადამიანის ხელში არ მოხვედრილიყო. ფიზიკოსმა რადიოაქტიური ნივთიერების ჩაბარება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც წაიკითხა მილიციის მიერ გავრცელებული განცხადება, რომ მოსახლეობას უკანონოდ შენახული იარაღი ჩაებარებინა სამართალდამცველებისთვის, რის სანაცვლოდაც დაწესდა სოლიდური ფულადი ჯილდოც. გრიგოროვი ფიქრობდა, რომ ჩაბარებული პლუტონის სანაცვლოდ იგი 3 მილიონ დოლარს მიიღებდა - მილიგრამ პლუტონში 8,25 დოლარს. თუმცა, ჯილდოს ნაცვლად ფიზიკოსი რადიოაქტიური ნივთიერების უკანონო შენახვაში დაადანაშაულეს და დააპატიმრეს კიდეც.

"Times"-ის ინფორმაციით, დასავლეთი სამართლიან შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში ინახება უზარმაზარი რაოდენობის რადიოაქტიური ნივთიერებები და, ძირითადად, ისინი უმუშევრად დარჩენილი მეცნიერების ხელშია. ეკოლოგიის დარგში მომუშავე ორგანიზაცია "ეკოდეფენის" ექსპერტთა მონაცემებით, საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით გადმოცემულ სამხედრო ობიექტებში ინახება 16 ათასი ტონა რადიოაქტიური ნივთიერება, რასაც ფაქტობრივად უხელფასოდ დარჩენილი თანამშრომლები ყიდიან.

რუსეთის სპეცსამსახურებმა ოქტომბრის თვეში რადიოაქტიური ნივთიერებების კონტრაბანდის წინააღმდეგ სპეცოპერაციები ჩაატარეს და დააკავეს ორი კონტეინერი ურანი-238, რამდენიმე დღის შემდეგ კი, სატვირთო მანქანა, რომლითაც სოლიდური რაოდენობა ურანისა გადაჰქონდა. გარდა ამისა, სპეცსამსახურების თანამშრომლებმა დააკავეს კონტრაბანდისტები, რომლებიც "ჭუჭყიანი ბომბის" დასამზადებლად ვარგის პლუტონს ყიდდნენ. საერთაშორისო ექსპერტთა მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე რუსული სამხედრო ობიექტებიდან მოიპარეს 40 კილოგრამი ურანი, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებლად გამოიყენებოდა. გაზეთ "Times"-ის ინფორმაციით, მოგვიანებით, 38 კილოგრამი ურანის ადგილსამყოფელი დადგინდა, თუმცა, დღემდე უცნობია რა ბედი ეწია საქართველოში არსებული სამხედრო საწყობიდან მოპარულ 2 კგ ურანს.

საუბარია, აფხაზეთის ლაბორატორიიდან მოპარული ურანის სოლიდურ პარტიაზე. რუსეთის ჯარის ნაწილების უდიდესი ნაწილის გასვლისა და ბირთვული იარაღის გატანის შემდეგ აღნუსხულია რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში დატოვებული რადიაქტიური მასალების აღმოჩენის 197 შემთხვევა. ეს მასალები წარმოადგენდა რადიაციის როგორც სუსტ, ისე ძლიერ წყაროებს. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას რეალური საფრთხე დაემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ამ რადიაქტიური მასალების კონტრაბანდული გზით გატანა მოხდებოდა, რადგან ეს ნივთიერებები "ჭუჭყიანი ბომბის" დასამზადებლად ვარგისია. კონტრაბანდისტებმა აფხაზეთში მდებარე ლაბორატორიებიდან რადიაქტიური ნივთიერების - ურანის პირველი პარტია - 2 კგ ურანი წლების წინ გაიტანეს. საქართველოს სპეცსამსახურებში არსებული ინფორმაციით, რადიაქტიური მასალების 244-მდე სახეობა, გამდიდრებული ურანის ჩათვლით, სოხუმის ინსტიტუტში ინახებოდა და ისინი ერაყში ტერორისტებს მიჰყიდეს. სხვადასხვა წყაროები მიუთითებენ, რომ კონტრაბანდისტები მოგვიანებით, პოლონეთში დააკავეს. კიდევ ერთი ვერსიით, ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო ბელორუსში გამდიდრებული ურანის გადამტანი პირების დაკავება. ქართველი და რუსი ოფიციალური პირების მტკიცებით, მათ ურანი სოხუმის ინსტიტუტიდან ჰქონდათ წაღებული. სხვათა შორის, ინსტიტუტში აღწერის ჩასატარებლად შესულ "მინატომის" ჯგუფს გამდიდრებული ურანის საცავი ცარიელი დახვდა. თუმცა, ურანის კვალს, ჯერჯერობით, ვერსად მიაგნეს.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ...........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი...........................................

საკონტაქტო ტელეფონი ...........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

*ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს "ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ "ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. ამ მასალების შინაარსზე პასუხს მხოლოდ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.*

*შეგახსენებთ, რომ გაზეთი "24 საათი", "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ "24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

# სად წავიდა ენერგეტიკისთვის გამოყოფილი მილიონები

*საქართველოს ენერგეტიკაში 1994 წლიდან დღემდე მილიონობით ლარი ჩაიდო. თუმცა, თავად დარგს, ჯერჯერობით, არაფერი ეშველა. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" შეაგროვა ინფორმაცია ელექტროენერგეტიკულ სექტორში დონორების მიერ ინვესტირებული თანხების შესახებ. აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა განაკვეთის კრედიტების სახით, 1994 წლიდან დღემდე საქართველოს ენერგეტიკამ 270 მილიონ დოლარამდე მიიღო. გარდა ამისა, დარგში ათვისებულ იქნა სხვადასხვა დონორების მიერ გამოყოფილი გრანტები. გთავაზობთ დაწვრილებით ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რომელმა დონორმა ორგანიზაციამ რამდენი და რა მიზნით გაიღო საქართველოს ენერგეტიკისთვის.*

## მსოფლიო ბანკი:

**1. ელექტროენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტი 52 მილიონ 300 ათასი დოლარი. 1997-2000.**

ამ სამწლიანი პროექტის მიზანი ენერგეტიკის დარგში სიმძლავრეებისა და ელექტროენერგიის გენერაციის ზრდა, ენერგოდეფიციტის შემცირება, დენის მიწოდების გაუმჯობესება, მიწოდების სტაბილიზაცია იყო, რაც "თბილსრესში" საწვავის მარაგის ზრდის ხარჯზე დაიგეგმა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა "ეი-ი-ეს მტკვრის" მმართველობის პერიოდში აფეთქებული "თბილსრესის" მე-10 ენერგობლოკის ძალოვანი მოწყობილობის და სამშენებლო ნაწილის რეაბილიტაცია. შემსრულებელი იყო გერმანული KAB, საკონსულტაციო მომსახურება და საინჟინრო ზედამხედველობა კი ასევე გერმანულმა IFK-მ გასწია. სამუშაოების განხორციელებაზე დაიხარჯა 39 300 000 აშშ დოლარი.

გარდა ამისა, შეძენილ იქნა საწვავი (გაზი) "თბილსრესისათვის" (13 000 000 აშშ დოლარი). გაზის მომწოდებელი იყო ორი კომპანია – აშშ-ში რეგისტრირებულმა კომპანია DAV Business Int.-მა და ITERA-მ.

**2. ენერგეტიკის სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტი (ESAC) 25 მილიონი დოლარი. 1999-2002.**

კრედიტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურული გარდაქმნის გაფართოებული მექანიზმის პროგრამითა და მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნის მესამე კრედიტით გათვალისწინებული სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების პარალელურად შემუშავდა. მისი მიზანი იყო, ხელი შეეწყო ენერგეტიკის სფეროს რეფორმირებისათვის და უზრუნველეყო სახსრების გამოყოფა ამ პროგრამით სოციალურად დაუცველი ფენების მიმართ გამოწვეული სოციალური შედეგების შესამსუბუქებლად. რეფორმებში კი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, გარემოსათვის მიყენებული ზიანის შემცირება და ენერგოინფრასტრუქტურაში კერძო სექტორის მონაწილეობის პერსპექტივების გაზრდა იგულისხმებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტის ფარგლებში მიღებული თანხა უშუალოდ ენერგეტიკის დარგის რეაბილიტირებას არ მოხმარებია: რადგან კრედიტი სოციალური დახმარებისთვის იყო განკუთვნილი, ფული პირდაპირ ქვეყნის ბიუჯეტში ჩაირიცხა. თუმცა, ამ პროექტის ფარგლებშივე დაფინანსდა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის კანონმდებლობის დახვეწა და დარგის თანამშრომელთა ტრეინინგების პროგრამა.

**3. ელექტროენერგიის ბაზრის მხარდამჭერი პროექტი – 27 მილიონ 400 ათასი დოლარი (პროექტის სრული ღირებულება 56 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს). 2001-2006.**

პროექტი ახლაც მიმდინარეობს. თანხების ათვისება მხოლოდ წელს, ანუ მას შემდეგ დაიწყო, რაც "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" ირლანდიური მენეჯმენტი შევიდა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ელექტროენერგეტიკული სექტორის ურთიერთდამაკავშირებელი კომპლექსური საკითხების მოგვარებას, როგორებიცაა: ენერგიის გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, განაწილება და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარზე გამავალი ნაკადების მართვის გაუმჯობესება. ამ მიზნით პროექტი ახორციელებს პრიორიტეტულ ინვესტიციებს გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და განაწილების სფეროში, დახმარებას უწევს საწარმოებსა და მარეგულირებელ სტრუქტურებს საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის მუშაობასა და რეგულირებაში. პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი სარეაბილიტაციო კომპონენტების განხორციელება: დისპეტჩერული მართვის ავტომატიზებული სისტემა, საკომუნიკაციო მოწყობილობა, მრიცხველების და აღრიცხვიანობის სისტემის მოწესრიგება, გადამცემი ქსელის რეაბილიტაცია და ტექნიკური დახმარება ისეთ საკითხებში, როგორიცაა გადაცემა/დისპეტჩერიზაციის კომპანიების და საბითუმო ბაზრის ხუთწლიანი მენეჯმენტი, ინსტიტუციონალური განვითარება და რეგულირება.

პროექტის ფარგლებში მრიცხველები უნდა დამონტაჟდეს "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემას", აგრეთვე, "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და ელექტროსადგურებს შორის. კომპანიების არეალის გამყოფი წერტილების დაზუსტება, ჯერჯერობით, არ დასრულებულა. ბოლომდე გაურკვეველია გადსამრიცხველიანებელი წერტილების ზუსტი ოდენობაც, მით უმეტეს, რომ ახლა "სახელმწიფო ელექტროსისტემა" "საქართველოს გერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" თავისი აქტივების ნაწილის (35-კილოვოლტიანი ქსელი მთლიანად და 110-კილოვოლტიანი ქსელის ნაწილი) გადაცემას გეგმავს.

ამჟამად მიმდინარეობს პროექტის სარეაბილტაციო ნაწილის შემსრულებლების შერჩევა, რაც მომავალი წლის დასაწყისში უნდა დასრულდეს.

იმის გამო, რომ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" ირლანდიელი მმართველების ("ი-ეს-ბი-აი") შესვლა შეფერხდა, პროექტის დასრულების ვადამ გადაიწია და, ამ ეტაპზე, პროექტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ბოლომდე შესრულება 2007 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

## გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP):

**1. მზის ენერგიის სისტემები – 55 ათასი აშშ დოლარი. 1996-1998.**

პროექტის მიზანი იყო საქართველოში მზის სისტემების გამოყენების დემონსტრირება როგორც აქტიური, ისე პასიური სისტემების დანადგარების დამონტაჟების, გამოყენებისა და შეფასების მეშვეობით წინასწარ შერჩეულ ადგილებში.

**2 დაბრკოლებების მოხსნა მცირე ჰესების განვითარებაში და გარემოში სათბური გაზების ემისიის შემცირება – 25 ათასი დოლარი (მოსამზადებელი ეტაპი) 1999.**

პროექტის მიზანი იყო რესურსების მოძიება იმ დაბრკოლებათა მოხსნისათვის, რაც ხელს უშლიდა მცირე ჰესების სექტორის განვითარებას. პროექტი მიზნად ისახავდა თვითრეგულირებადი ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობას მცირე ჰესებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების მიზნით.

**3. განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისების ხელშეწყობა ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით. 12 მილიონ 500 ათასი დოლარი. 2002.**

პროექტის მიზანი იყო განახლებადი ენერგიის მზარდი გამოყენების გზაზე არსებული ძირითადი ბარიერების მოშლა ადგილობრივი ენერგომომარაგების მიზნით. ამ პროექტის, მისი განხორციელებისა თუ შესრულების თაობაზე დაწვრილებით მასალებს ცენტრი უახლოესი მომავლისთვის ელის.

## ევროკავშირი:

**1. "რეაბილიტაცია"** – 1997-98 წლებში ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის (ევრობანკის 44 მილიონ 500 ათასი ევროს ოდენობის კრედიტის პარალელურად) გამოიყო 10 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი.

**2. ენერგეტიკის სექტორის სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერა** – 1 მილიონ 430 ათას 632 ევრო. 2000-2002-ში დასრულდა. პროექტის მიზანი იყო სექტორის რეფორმა, მისი რეაბილიტაციისა და რესტრუქტურიზაციის მხარდაჭერა, ამ სექტორისათვის საინვესტიციო პროექტების საინფორმაციო ცენტრის დაარსება.

**3. "საქენერგოს" მართვის სისტემების რეორგანიზაცია** – 399 ათასი ევრო, 1993-1994 დასრულდა.

**4. ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავება** – 500 ათასი ევრო, 1994-1995 დასრულდა.

**5. თბოელექტროსადგურის შეძენისა და მონტაჟის დაფინანსების შესაძლებლობათა შესწავლა** – 27 ათას 120 ევრო, 1994 წლის მარტში დაიწყო და სექტემბერში დასრულდა.

**6. ამიერკავკასიისა და თურქეთის ელექტროქსელების პარალელური მუშაობის შესაძლებლობების შესწავლა** – 498 ათას 472 ევრო. 1996-1998 დასრულდა. ბუნებრივია, ამ თანხიდან საქართველოში მხოლოდ ნაწილი დაიხარჯა.

**7. სისტემების ოპერატიული დაგეგმვის, ფუნქციონირებისა და კონტროლის სრულყოფა ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში** – 1 მილიონ 100 ათასი ევრო. 195-1997 დასრულდა. ბუნებრივია, ამ თანხიდან საქართველოში მხოლოდ ნაწილი დაიხარჯა.

**8. ზოგადი ტექნიკური და ორგანიზაციული მოთხოვნები ენერგოსისტემების საიმედოობისა და ეკონომიკურობის გაუმჯობესების მიზნით დსთ-ს ქვეყნებში** – 1 მილიონ 639 ათას 800 ევრო. 1996-1997 წელს დასრულდა. ბუნებრივია, ამ თანხიდან საქართველოში მხოლოდ ნაწილი დაიხარჯა.

**9. ტექნიკური დახმარება მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეზე** – 1 მილიონი ევრო. 1997-1998 დასრულდა.

**10. დახმარება საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს** – 1 მილიონ 300 ათასი ევრო. 1997-1999 დასრულდა.

**11. ენერგოეფექტურობის ცენტრის შექმნა და ბუნებრივი ენერგორესურსების შესწავლა** – 2 მილიონი ევრო. 1998-2000 დასრულდა.

## ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი:

**1. ენერგეტიკის რეაბილიტაცია – 18 მილიონ 100 ათასი აშშ დოლარი. 1994-1997.**

სესხი თავიდან გათვალისწინებული იყო რიონის ჰიდროკასკადისა და გარდაბნის თბოსადგურის სამი 300-მეგავატიანი ენერგობლოკის (მე-9, მე-10 და მე-11) რეაბილიტაციისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაირკვა (!!!), რომ მე-11 ბლოკი, ფაქტობრივად, აშენებულიც არ იყო, კრედიტის კომპონენტები შეიცვალა და მისი ნაწილი სპეციალური ელექტრომრიცხველების დამონტაჟებას მოხმარდა.

ამ თანხით თბილსრესზე შეიცვალა მე-9 ენერგობლოკის ხანძრის შემდეგ დაზიანებული თბოიზოლაცია (610 000 აშშ დოლარი. შემსრულებელი – გერმანული SIEMENS); მე-9 და მე-10 ენერგობლოკებზე დამონტაჟდა სარეზერვო სისტემები (74 000 აშშ დოლარი. შემსრულებელი – ჩეხური SKODA); აშენდა ქიმიური საამქრო (5 800 000 აშშ დოლარი. შემსრულებელი გერმანული KAB); დამონტაჟდა მე-9 და მე-10 ენერგობლოკების გამწმენდი მოწყობილობა (3 400 000 აშშ დოლარი. შემსრულებელი – გერმანული SIEMENS); დაქირავებულ იქნა მობილური ქიმიური საამქრო 1 200 000 აშშ დოლარი. დაქირავებული იყო ბრიტანული ECOLOCHEM).

რიონჰესზე დამონტაჟდა ორი ახალი ტურბინა (1 010 000 აშშ დოლარი. შემსრულებელი – რუსული LMZ); შეიცვალა ორივე აგრეგატის აგზნების სისტემა (2 800 000 ფრანგული ფრანკი. შემსრულებელი ფრანგული SEG-ELEC); პროექტის საკონსულტაციო მომსახურება (1 800 000 აშშ დოლარი. გასწია ბელგიურმა COYNE ET BELLIER – IPM); შეიქმნა ერთჯერადი კომისია (181 000 აშშ დოლარი).

პროექტის განხორციელების შედეგად გადასახადების სახით დარიცხულმა თანხამ 2 000 000 აშშ დოლარი შეადგინა. კრედიტით გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი დარჩა 1 360 000 აშშ დოლარი, რომელიც მსოფლიო ბანკს დაუბრუნდა.

ეს გახლდათ პირველი კრედიტი, რომელიც საქართველომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან მიიღო. სპეციალისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ კრედიტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების შედეგად საქართველოს ენერგეტიკა თავისი თავის შენახვასაც მოახერხებდა და სოლიდურ მოგებასაც მოიტანდა. სესხის გაცემის უმთავრესი წინაპირობა მაშინდაც და შემდეგაც დარგში აღრიცხვიანობის მოწესრიგება იყო, რაც პრინციპში, დღემდე ვერ მოხერხდა და სექტორის კურატორები ამ პროცესით დღემდე არიან დაკავებულნი.

**2. ენგურის კაშხლისა და ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი – 38 მილიონ 750 ათასი აშშ დოლარი. 1998-2002.**

ამ სამთავრობო გარანტიით აღებული სესხის მიზანი იყო, დახმარებოდა ენერგეტიკის სექტორს ელექტროენერგიის გამომუშავების გაზრდაში და გაეუმჯობესებინა ენგურის კაშხლის უსაფრთხოება.

**3. "ეი-ი-ეს თელასი" – 30 მილიონი აშშ დოლარი – 1999 წლის 30 დეკემბერს დაიწყო და ახლაც გრძელდება.**

ეს თანხა ჯერ კიდევ "ეი-ი-ეს" კორპორაციის კუთვნილებაში მყოფ "თელასს" ენერგოგანაწილების ქსელის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისთვის გამოეყო (ამავე მიზნით, "თელასს" ამავე ოდენობის პარალელური სესხი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამაც გამოუყო. გარდა დონორთა მიერ გამოყოფილი თანხებისა, გამრიცხველიანეის მიზნით, ამერიკულმა კომპანიამ პროცენტიანი სესხი საკუთარი სათაო ოფისიდანაც აიღო).

კრედიტის ფარგლებში ამერიკულ კომპანიას თბილისში უნდა დაემონტაჟებინა ახალი ტიპის მრიცხველები და, დენის დანაკარგების აღმოფხვრის გზით, მნიშვნელოვნად გაეზარდა ენერგოეფექტურობა.

სამუშაოების ნაწილს "ეი-ი-ესმა" თავი გაართვა, თუმცა თბლისში დღემდე დარჩენილია გაუმრიცხველიანებელი უბნები, საიდანაც დენის საკმაოდ დიდი ნაწილი "ჰაერში გაედინება".

## საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია:

**1. "ეი-ი-ეს თელასი" – 30 მილიონი აშშ დოლარი.**

პროექტი დაიწყო 1999 წელს. მისი მიზანი – თბილისის ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიის რეფორმირება, გაცვეთილი ფიზიკური აქტივების რეაბილიტაცია, მრიცხველების დამონტაჟება, ანგარიშ-ფაქტურების სისტემების თანამედროვე წარმოება, მართვის და კადრების სტრუქტურის რეფორმირება იყო (პროექტი, ნაწილობრივ, ევრობანკის მიერ ამავე ოდენობის კრედიტით დაფინანსდა).

**2. კონსულტაციები ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების პრივატიზებისთვის – 2001. პროექტის მთლიანი ღირებულება უცნობია.**

პროექტის მიმღები ქონების მართვის მაშინდელი სამინისტრო იყო. მისი მიზანი კი თბილისის გარეთ ელექტროენერგიის გამანაწილებელი და გენერაციის კომპანიების პრივატიზებისთვის, კერძო ფირმების დაქირავება გადაცემის, სისტემის დისპეტჩერიზაციის და ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მართვის მიზნით საკონსულტაციო მომსახურების გაწევა იყო.

## გერმანია:

**1. გადაუდებელი დახმარების პროგრამა – ენერგეტიკა-1 (ორ ნაწილად). პირველი ნაწილი – 20 მილიონი გერმანული მარკა (1995-1996), მეორე – 10 მილიონი გერმანული მარკა (1996-1998).**

პროექტის ფარგლებში განხორციელდა "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკის მართვისა და ავტომატიზაციის სისტემის რეაბილიტაცია. შემსრულებელი – "სიმენსი".

**2. გადაუდებელი დახმარების პროგრამა – ენერგეტიკა-2 – 13 მილიონი გერმანული მარკა (1996-2002).**

პროექტის ფარგლებში განხორციელდა განხორციელდა თბილისისა და თბილისის მიმდებარე ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებშივე, მოხდა "თბილსრესის" და "ჟინვალჰესის" გამანაწილებელი მოწყობილობების ნაწილის რეაბილიტაცია, გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების "ქსანი-500"-ის, "ლისი-200"-ის, "რუსთავი-220"-ის ნაწილის რეაბილიტაცია, სათადარიგო ნაწილების შეძენა და მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

**3. გადაუდებელი დახმარების პროგრამა – ენერგეტიკა-3 (1996-2002) – 40 მილიონი გერმანული მარკა.**

პროექტის ფარგლებში განხორციელდა "თბილსრესის" მეათე ენერგობლოკის ავტომატიზებული საკონტროლო სისტემის რეაბილიტაცია, გადამცემი ქსელების გაუმჯობესება, "ენერგეტიკა-2"-ის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების გაფართოება. ასევე, მოხდა "თბილსრესის" გარდაქმნა კომერციულად და ფინანსურად დამოუკიდებელ საწარმოდ, ადგილობრივი ენერგოწარმოების დახმარება პროექტის მართვაში, საწარმოს მართვასა და კომერციალიზაციაში და პრივატიზაციაში. კერძოდ: თბილსრესის მე-10 ენერგობლოკზე მართვისა და ავტომატიკის სისტემა დამონტაჟდა (22,25 მლნ. გერმანული მარკა - ფირმა "სიმენსი"); მოხდა ელექტროქსელებისა და ქვესადგურების რეკონსტრუქცია (10,0 მლნ. გერმანული მარკა - ფირმა AEG); გაწეულ იქნა საკონსულტაციო მომსახურება (4,5 მლნ. გერმანული მარკა – გერმანული ფირმა IFK); თბილსრესის ხელმძღვანელ აპარატს კი ჩაუტარდა ტრენინგი (1,8 მლნ. გერმანული მარკა - გერმანული ფირმა IFK);

პროექტისთვის თავიდან გამოყოფილი იყო გაუთვალისწინებელი ხარჯები 1,45 მლნ. გერმანული მარკა, რომელიც, მოგვიანებით, ყველა ზემოთჩამოთვლილ სამუშაოებზე გადანაწილდა.

**4. ენერგოსისტემაში მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების პროექტი – 3 მილიონ 500 ათასი გერმანული მარკა (1997-2002).**

ამ პროექტის ფარგლებში ქართველ ენერგეტიკოსებს საშუალება მიეცათ, კვალიფიკაცია გერმანიაში აემაღლებინათ.

**5. გადაუდებელი დახმარების პროგრამა – ენერგეტიკა-4 (1998-1999) – 14 მილიონ 500 ათასი გერმანული მარკა.**

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ენერგიის გადამცემი ქსელის, "თბილსრესის", ქვესადგურ "აჯამეთის", "დიდი ზესტაფონის" და "დიდი ქუთაისის" რეაბილიტაცია.

**6. გადაუდებელი დახმარების პროგრამა – ენერგეტიკა-5 (2004 წლიდან დაიწყო) – 25 მილიონი გერმანული მარკა.**

პროგრამა ამჟამადაც მიმდინარეობს და ითვალისწინებს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გათვალისწინებული საქართველოს ენერგობაზრის ხელშეწყობის პროექტის თანადაფინანსებას. მისი მიზანია "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მენეჯმენტ-კონტრაქტის თანადაფინანსება და "ენერგეტიკა-4"-ის ფარგლებში დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელება. კერძოდ, სარემონტო სამუშაოების განხორციელება ქვესადგურზე "დიდი ზესტაფონი" და "ქსანი-500".

**7. განახლებადი ენერგეტიკის მხარდაჭერა – 5,1 მილიონი ევრო.**

ეს პროექტი მხოლოდ იგეგმება. თავიდან KFW-ს მიერ მისთვის 10 მილიონი გერმანული მარკის გამოყოფა იგეგმებოდა. მოგვიანებით კი გადაწყდა, რომ იგი დაფინანსდება UNDP-სთან ერთობლივად და მისი ღირებულება 5,1 მილიონი ევროთი განისაზღვრება. გათვალისწინებულია ამ თანხის გრანტის სახით გადაცემა ტენდერში გამარჯვებული საქართველოს კომერციული ბანკებისთვის, რომლებიც მოგვიანებით ენერგეტიკული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერის, დარგის განვითარების მიზნით, შედარებით შეღავათიან სესხებს გასცემენ. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში განახლებადი ენერგიის წყაროების გამოვლენას და მათ გამოყენებას.

**8. ვარციხეჰესის მე-4 კასკადი – 63 მილიონ 500 ათასი გერმანული მარკა.**

ამ კრედიტის გამოყოფის საკითხი დიდხანს ეჭვქვეშ იდგა, რადგან ვარციხეჰესის მმართველმა "ტერნამ" საქართველოს მთავრობის წინაშე აღებული ვალდებულება ვერ შეასრულა, გერმანულმა ბანკმა კი გაურკვეველ ვითარებაში დარჩენილი სადგურის დაკრედიტება არ მოისურვა და კრედიტის გამოყოფაზე საერთოდ უარი განაცხადა. ამ ვითარებაში, გამოსავალის სახით, საქართველოს ენერგეტიკული კომპლექსის ხელმძღვანელებმა ბანკს კრედიტს გადამისამართება შესთავაზეს, რაც ამ თანხის რამდენიმე კომპონენტად დაყოფას ითვალისწინებდა და ბანკის თანხმობაც მიიღეს. შედეგად, ბანკმა ამ თანხიდან ვარციხეჰესების კასკადის რეაბილიტაციისა და სომხეთ-საქართველოს მაკავშირებელი ხაზის აღდგენის (წინასწარი მონაცემებით, 12-12 მილიონ ევროდ შეფასებული) სამუშაოები, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა" და "სახელმწიფო ეექტროსისტემის" ტექნიკური რეაბილიტაციის 3-3 მილიონ ევროდ შეფასებული სამუშაოები და 12 მილიონი ევროს ღირებულების თბილსრესის "სასაქონლო დახმარება" დააფინანსა. მოგვიანებით კი, ბანკთან არსებულ შეთანხმებაში კიდევ ერთი კორექტივა შევიდა და თბილსრესისათვის განკუთვნილი 12 მილიონი ევრო მიმდინარე წლის დასაწყისში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტისთვის წარიმართა.

## იაპონია:

**იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდის (OECF) ენერგოსისტემის რეაბილიტაციის პროექტი – 5 მილიარდ 332 მილიონი იენი (დაახლოებით 40-45 მილიონი აშშ დოლარი) – 1998-2005.**

პროექტი ითვალისწინებს "ლაჯანურჰესის" და "ხრამი-2"-ის რეაბილიტაციას. მისი მიზანია, გაზარდოს ელექტროენერგიის გამომუშავება და შესაძლებელი გახადოს დენით სტაბილური მომარაგება არსებული ელექტროსადგურების რეაბილიტაციის გზით. პროექტი ითვალისწინებს სააარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურზე და მის ქვესადგურზე, "ხრამჰესზე" და მის ქვესადგურზე, ასევე, საკონსულტაციო მომსახურებას.

"ლაჯანურჰესის" სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებლად ALSTOM-ის ფრანგული ჯგუფი შეირჩა. სამუშაოები ჯერ ისევ მიმდინარეობს. მათი დასრულება 2005 წლის ივლის-აგვისტოსთვის იგეგმება.

რაც შეეხება "ხრამი-2"-ის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მათი შემსრულებელი იტალიური ANSALDO გახლავთ. სამუშაოები თითქმის დასრულებულია. თუმცა, ამ პროექტის განხორციელება ეჭვქვეშ იმის გამო დადგა, რომ ხელშეკრულების რატიფიცირებისას სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი "ხრამი-2"-ის მართვა კრედიტის გამოყოფის შემდეგ "ეი-ი-ესს" გადაეცა, იაპონური კრედიტის გადასახება კი ამერიკულმა კომპანიამ არ ისურვა. ამის გამო, კრედიტის ათვისება შეფერხდა: ფაქტობრივად, სადგურში ჩატარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, დანადგარების მონტაჟი კი დღემდე არ არის შესრულებული. თუმცა, მიმდინარე წლის ბოლოსთვის მისი ექსპლუატაციაში შეყვანა იგეგმება.

## თურქეთი:

1992-1996 წლებში თურქეთმა საქართველოს, ზამთრის ელექტროდეფიციტის დასაფარად, ე.წ. შეღავათიანი პირობებით, 60 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია მიაწოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ ვალის გასტუმრებისთვის საქართველოს თურქეთისთვის, თუნდაც ზაფხულის ჭარბწყლიანობისას, რამდენიმეჯერ მეტი ენერგიის დაბრუნება მოუწევდა. აქედან გამომდინარე, ეს ვალი დღემდე გაუსტუმრებელია.

## სავალუტო ფონდი:

საქართველოს დონორებს შორისაა სავალუტო ფონდიც, რომელსაც ქვეყნის საკვანძოდ მნიშვნელოვან დარგების განვითარებისთვის სოლიდური თანხები აქვს გაღებული. თუმცა, ენერგოსექტორის დონორთა ნუსხაში სავალუტო ფონდი არ ფიგურირებს, რადგან მას საქართველოს ენერგეტიკის პირდაპირი ინვესტირება არასოდეს განუხორციელებია.

## აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო:

სააგენტო საქართველოს ენერგოსექტორს 1997 წლიდან აფინანსებს. მის მიერ თანხების გამოყოფა, როგორც წესი, გრანტების სახით ხდება. სააგენტოს მიერ ენერგოსექტორში განხორციელებულ პროექტებს შორისაა ენერგოსექტორის რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზაციის პროექტი (საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმის ჩათვლით), ენერგიის მიწოდების სისტემის რესტრუქტურიზაცია, სისტემური ეკონონიკური რეფორმის მხარდაჭერა. სააგენტოს რესურსები გამოიყენებოდა ელექტროენერგეტიკის, გაზისა და ნავთობის ქვესექტორებში სახელმწიფო და კერძო კორპორაციების დაფუძნებისა და რესტრუქტურიზაციის ხელშესაწყობად. დაფინანსდა დარგში ისეთი კლიმატის შექმნა, რომელიც მოიზიდავდა კერძო სექტორს როგორც მონაწილეობის, ასევე მფლობელობის ფორმითაც რესურსების მართვისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებით. ჩატარდა ზუგდიდის გეოთერმული აუზის რეაბილიტაციის პროექტის ანალიზი. აგრეთვე, რუსთავის ელექტროგამანაწილებელი საწარმოს მომსახურების სფეროში დაიწყო პილოტ-პროექტი. ჩატარდა არსებული ელექტრომრიცხველების განახლებისა და ახალი მრიცხველების დამონტაჟების სამუშაოები. სააგენტომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთვის დააფინანსა "უმცირესი დანახარჯების გეგმა" ენერგოგენერაციის ახალი წყაროებისა და არსებული წყაროების უმცირესი დანახარჯებით განახლების ხელშესაწყობად.

სააგენტო ექვსი წელია, ახორციელებს "ზამთრის გათბობის პროგრამას", რომლის მიზანიც სოციალურად დაუცველი ფენებისთვის ზამთარში გათბობაზე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაა.

2001 წლიდან სააგენტომ ორიენტაცია საქართველოს ენერგეტიკაში აღრიცხვიანობის მოწესრიგებაზე აიღო. სააგენტოს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მენეჯმენტი ხორციელდება. დაიწყო და 2003 წლამდე გასტანა "თბილგაზის" პრივატიზაციის ხელშეწყობის პროექტმა. 2002-დან 2003 წლის ნოემბრამდე ხორციელდებოდა ენერგოსექტორის რეფორმირების პროექტი. "ენერგოეფექტურობის პროექტის" ფარგლებში მოხდა "ნოუჰაუს" გადაცემა ენერგორესურსების დაზოგვის საკითხებში. 2003 წლის თებერვალში რატიფიცირებულია 4-წლიანი "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის პროგრამა", რომლის ფარგლებშიც იმერეთის 5 ჰესის რეაბილიტაციაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ იმერეთის რეგიონში სადისტრიბუციო სექტორზე პოლიტიკური ზეწოლის გააქტიურების შემდეგ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ პროგრამის ეს პროექტი შეაჩერა. ამ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დანარჩენი პროექტები კი ახლაც ხორციელდება. მაგალითად, თემთა მობილიზების პროექტი, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე სოფელში მიმდინარეობს მუშაობა განახლებადი ენერგიის წყაროების დაგეგმვა-ათვისებისთვის. USAID ენერგეტიკის მინისტრისთვის მრჩეველი ორგანიზაციის დაფინანსებასაც თაობს. მრჩევლის რანგში შერჩეულია ამერიკული კომპანია "ქორ-ინტერნეიშენალი". რამდენიმე დღის წინ კი, საქართველოს ბანკთან ერთად, ხელი მოეწერა პროექტს "საფინანსო-საკრედიტო სისტემის განვითარება ენერგოსექტორის დაკრედიტების მიზნით".

სააგენტოს მიერ დარგისთვის დახარჯული თანხების მიმართულებისა და ოდენობის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას მომავალ მიმოხილვაში მოგაწვდით.

## ახალი ერა ქართულ ბალეტში



B2

## თბილისური ჯენტლმენობა და ბათუმელთა ბოდიში



B4

## რა დააშავა წიგნმა?



B6


# მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

*კეხვის ინციდენტი დასრულებულია* — სიხარულით გვამცნო 3 ნოემბრის "24 საათმა". დავიჯეროთ? აი, **დავით დარჩიაშვილმა** არ დაიჯერა და არც მე მჯერა. დავით დარჩიაშვილმა თითქმის იმავე სიტყვებით დაიწყო თავისი 4 ნოემბერს გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც მეთოდურად აუხსნა ხელისუფლებას, თუ სად უნდა წაიკითხოს იმის შესახებ, რომ საკუთარი ქვეყნის ფარგლებში მოქალაქეების გადაადგილებას არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეექმნას. ეს ტექსტი სულაც არ არის ბიბლიოგრაფიული იშვიათობა, ეს ტექსტი საქართველოს კონსტიტუციაა...

მკითხველს ალბათ ახსოვს ის უცნაური ვითარება, რომელიც კეხვის მიდამოებში რუსეთიდან დეპორტირებული ქართველების შეჩერების გამო შეიქმნა. 2 ნოემბერს ამაზე **გიორგი ასანიშვილი** მოგვითხრობდა თავის მასალაში *კეხვთან "გაკვეხილების" სევდიანი ოდისეა*. აქ ვიგებთ, რომ შიდა ქართლის გუბერნატორის ბრძანებით მოქალაქეთა დასახმარებლად და კანონიერების აღსადგენად გამოშურებული სახალხო დამცველის, **სოზარ სუბარის** მანქანაც გაჩხრიკეს, ვაითუ იქ ჟურნალისტები იმალებიანო!

დიახ, დავით დარჩიაშვილმა მართლაც მეთოდურად აუხსნა ხელისუფლებას, რომ კონსტიტუციის დარღვევა არ შეიძლება. მაგრამ დავით დარჩიაშვილი რბილი და ლმობიერი ადამიანია. მე ეს ღირსებები არ გამაჩნია. მე, უბრალოდ, ნერვები მეშლება, როცა ჯერ კიდევ ვხედავ **მიხეილ ქარელს** შიდა ქართლის გუბერნატორის ხარისხში — ჩემთვის ეს მხოლოდ ერთს ნიშნავს: ჩვენი ქვეყნის სათავეში მყოფ პირებს არაფრად მიაჩნიათ ქვეყნის ძირითადი კანონი. აქ საქმე უკვე დემოკრატიას კი არ ეხება, არამედ ცივილიზებულობის ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნებს. ცივილიზაციის ოდნავ უფრო მაღალ დონეზე კონსტიტუციის დარღვევა კი არა, გუბერნატორის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირების უნარი კმაროდა მის მოსახსნელად.

თურმე მოქალაქეთა საშველად მოსულ სოზარ სუბარსა და ვასილ მაღლაფერიძეს კერძო ინტერესები ამოძრავებდა! — ასეც რომ ყოფილიყო და ის ავტობუსები სულ სუბარებითა და მაღლაფერიძეებით ყოფილიყო სავსე, ომბუდსმენი და დეპუტატი მაინც ცამდე მართალი იქნებოდნენ. მაგრამ, როგორც ეტყობა, შიდა ქართლის გუბერნატორმა სამიოდე კვირით ადრე ნახა გადაცემა "ღამის შოუ", საიდანაც შეითვისა, რომ ნეპოტიზმი ცუდი რამაა და მის განკარგულებაში მყოფი ამ ერთადერთი სასარგებლო ინფორმაციით შეაკოწიწა ეს არგუმენტი.

არა, სულ ტყუილად დავიბრალე ლმობიერების ნაკლებობა: უკვე ყველა ხვდება, რომ ახალგაზრდა გუბერნატორის არგუმენტაცია გაცილებით უფრო მარტივ და უკვე ანდაზად ქცეულ საფუძველს ემყარება. რომელს? — აი, იმას, რომელსაც ქართველები "ჩემი შენ გითხარი"-ს უწოდებენ. გიორგი ასანიშვილის მასალაშიც ხომ არაერთხელ გაკრთა მინიშნება ცხინვალის გზაზე გაცხოველებული ავტომოძრაობის შესახებ. ჰოდა, მიხეილ ქარელიც რა ჯადოსნური კოკაა, რომ სხვა რამე წარმოსდინდეს, რაც თვითონ არა აქვს შიგნით? — ჩვენ გვესმოდა მისი ნაბდზოროვთან საუბრის დონე, ჩვენ უკვე ძალიან, ძალიან დიდი ხანია ვხედავთ ეკრანზე ამ სულ ერთსა და იმავე გამომეტყველების მქონე სახეს და ახლა უკვე საკმაო საბაბი, საბაბი კი არა სწორედ რომ მიზეზი შეგვექმნა იმისთვის, რომ ვთქვათ: კმარა!

სახელდობრ რა კმარა? მიხეილ ქარელი? არა, ეს თავისთავად, მაგრამ ცოტა ღრმად ჩახედვაც ღირს. მით უმეტეს, რომ სიღრმეში ნამდვილი ფენოვანი ნამცხვარი გველის. აი, პირველი ფენა: გამოდის, რომ საქართველოში მხოლოდ ორ დანაშაულს აქვს მნიშვნელობა — ეკონომიკურსა და "ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ მიმართულს. ამავე დროს, პირველი განიხილება არა როგორც დანაშაული, არამედ როგორც ბიუჯეტის შევსების საბაბი. თვით ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონპროექტის ერთადერთ მოტივაციად მისი ზოგადი "რენტაბელობა" გვევლინება და არა სამართლიანობა. მეორე — კობა ნარჩემაშვილსაც საეჭვო ეკონომიკურ საქმიანობასთან ერთად მხოლოდ "ვარდების რევოლუციის" დღეებში ჩადენილი ქმედებები ჩაუთვალეს დანაშაულად.

არის კიდევ ერთი ფენაც. 2 ნოემბერს "24 საათმა" გამოაქვეყნა **ზურაბ ჭიაბერაშვილის** საუბარი სკოლის მოსწავლეებთან. ეს საუბარი ჯერ კიდევ მაშინ გაიმართა, როცა თბილისის მერი **ივანე ზოდელავა** იყო. ახლა კი მაპატიოს მკითხველმა, მაგრამ მსურს მოვიყვანო ერთი ვრცელი ციტატა საუბრიდან. ზურაბ ჭიაბერაშვილმა დასვა შეკითხვა:

"**თქვენი ოჯახის წევრმა, მაღალი თანამდებობის პირმა მოიპარა ათი მილიონი დოლარი ... მან ამ ფულით "მაიბახიც" იყიდა. რას იზამთ, ჩაუშვებთ?**"

ამას მოსდევს ბავშვების პასუხები:

"**ვაიძულებ, რომ დააბრუნოს... ვერ ჩავუშვებ.**

**რა თქმა უნდა, ვიფიქრებ, რომ ფული მოპარულია, მაგრამ ვერ ჩავუშვებ.**

**როცა საქმე შენ გეხება, ყველა თვალებს ხუჭავს. მეც დავხუჭავდი...**

**ჯერ ვურჩევდი და თუ არ გაიგებდა, მერე ჩავუშვებდი**".

ბოლოს, ზურაბ ჭიაბერაშვილის რეზიუმე:

"**თქვენ შორის ერთადერთი ადამიანი, ვისაც უკვე შეუძლია ნორმალურ საზოგადოებაში ცხოვრება, ის არის, ვინც ორივე შემთხვევაში თქვა, ჩავუშვებო**".

რაღაცას მაგონებს ეს დიალოგი. ჰო, გამახსენდა — პოლიციელების გამოცდაზე მიხეილ სააკაშვილმა ასეთი შეკითხვით მიმართა ერთ-ერთ კანდიდატს: წარმოვიდგინოთ, რომ დედაშენი სიკვდილის პირასაა და სამკურნალო ფული არა გაქვს; ამ დროს შემოგთავაზეს დიდი ქრთამი; აიღებდი?

ნუთუ კანონიერების კულტურის დანერგვა საქართველოში მაინცდამაინც ამგვარ ცინიზმთან უნდა იყოს დაკავშირებული? როცა XVI საუკუნეში ეგნატე ლოიოლამ იესოს საზოგადოება დააფუძნა, წესდებაში დაწერა, რომ ყოველ ახალმოსულს სამი დღის განმავლობაში ევალებოდა ქალაქის მთავარ მოედანზე ან კარიბჭესთან მათხოვრობა. იეზუიტთა ორდენის პირველი წევრები ესპანელი აზნაურები იყვნენ და ლოიოლაც ასე ანგრევდა, წელში ტეხდა მათ მიერ ლამის დედის რძესთან ერთად შეთვისებულ ამპარტავნებას. შემდეგ კი წელში გატეხილ ადამიანებს მართავდა per inde ac cadavera — "ვითარცა უსულო გვამებს". ნუთუ ისე გვეჩქარება, ნუთუ ისე დაგვიბინდა გონება მოუთმენლობამ (ნეტა რის გამო?), რომ წელში გატეხილ ადამიანებზე ვაფუძნებთ ჩვენს მომავალს? მით უმეტეს, რომ წელში მაინცდამაინც არავინ გატყდება, უბრალოდ, მიხეილ ქარელისთანა ერთდროულად უპრინციპო და თავგანწირული კაცებითა და ქალებით აივსება ჩვენი მმართველი ელიტა. რატომ? — იმიტომ რომ ოდესღაც არ გვეყო ჭკუა ან გემოვნება, დაგვენახა, რომ მოსწავლის პასუხში — "ვერ ჩავუშვებ" — იმ უბრალო ადამიანური პატიოსნების ნაპერწკალი ღვივის, რომელმაც მომავალში ნამდვილად შეიძლება კვებოს კანონიერების ცეცხლი, თუ თავიდანვე უხეშად კი არ დავასხამთ ცივ წყალს, არამედ ხელისგულს მოვაფარებთ, ნაზად, ნაზად შევუბერავთ და ნელ-ნელა გავზრდით.

მაგრამ ფენოვანი ნამცხვარი ჯერ სულ არ შეგვიჭამია. უფრო ქვევით ჩავიხედოთ. 1 ნოემბრის "24 საათში" ერთი მხიარული წერილი დაიბეჭდა. ავტორი გვარწმუნებდა, რომ რახან თეატრს ოპერისა და ბალეტისა ჰქვია, იგი არა მარტო ფალიაშვილის, არამედ ფალიაშვილისა და ჭაბუკიანის სახელობის უნდა იყოსო. წერილმა იმდენი მაცინა, რომ გადავწყვიტე, მისი ავტორის ვინაობა ზედმეტად არ დამესახელებინა. კაცმა რომ თქვას, ამ არარსებული პრობლემის ყველაზე კარგი გადაწყვეტა იქნებოდა, საერთოდ რომ მოიხსნას ყოველგვარი სახელობა და, უბრალოდ, **ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი** იყოს. მაგრამ ამ შემთხვევაში მე სხვა რამ მაინტერესებს. როგორც ეტყობა, ჩვენი დროის უმთავრეს ნიშნად შეუსაბამობა იქცა, ან, გნებავთ, შეუთავსებლობა. თანაც, ამ შეუსაბამობას თუ შეუთავსებლობას ყველგან ერთი თვისება აქვს: ერთი შეხედვით, აშკარაა, მეორე მხრივ, კი გამართლებული. ზაქარია ფალიაშვილი და ვახტანგ ჭაბუკიანი — ხომ აშკარა შეუთავსებლობაა. მაგრამ ამავე დროს ამ ორი გვარის შეერთება თითქოს გამართლებულიცაა. როგორ? — ერთი ხომ საოპერო ხელოვნების დამფუძნებელია, მეორე კი საბალეტო ხელოვნებისა! სიტყვა "დამფუძნებელს" ქვეშ რომ ერთ შემთხვევაში ერთი რამ იგულისხმება, მეორეში კი სულ სხვა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

ასეთივე შეუსაბამობა-შეუთავსებლობის სხვა მაგალითიც გვამცნო "24 საათმა" სტატიაში *ეკონომისტი მთავარ არქიტექტორად* (**თამარ დვალი**, 5 ნოემბერი). ერთი მხრივ, შეუსაბამობა აშკარაა. იტალიაში, მაგალითად, ტერმინით architetto (არქიტექტორო) პირდაპირ მიმართავენ ამ პროფესიის მქონე ადამიანებს პატივისცემისა და აღიარების ნიშნად. ისევე, როგორც ქართულად იტყვიან "ექიმო" და არასოდეს იტყვიან "ფიზიკოსო" (ეს უკანასკნელი ლამის გინებასავით ჟღერს). ერთი სიტყვით, ამ წოდების დამსახურებას დიდი შრომა სჭირდება. რატომ უნდა მიიღოს ის ადამიანმა, რომელსაც ეს შრომა არ გაუწევია? მაგრამ არის გამართლებაც: თბილისის მთავარი არქიტექტორის თანამდებობა შეცვალა **ქალაქგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის** საქალაქო სამსახურმა. "ქალაქგეგმარება" — მართლაც რევოლუციური ნეოლოგიზმია. რა უნდა ვიფიქროთ, თუ სპილო ხეზე აძრომას ლამობს? — ეს ხომ ყველა ბავშვმა იცის საქართველოში: ზნაჩიტ, ბუდე აქვს. ჰოდა, ჩვენი საკრებულოს წევრებმაც, თუმცა კი აშკარად ვერ მომწიფებულან იმისათვის, რომ წაიკითხონ ხუთიოდე წლის წინათ გამოშვებული ჟურნალი "ახალი პარადიგმები", ამ საქმეში უცებ იგრძნეს დამწვრის სუნი. დედა და მამაც კი დააფიცეს განათლებით ეკონომისტსა და პროფესიით ბიზნესმენს, მიხეილ სვიმონიშვილს, რომ მთავარი არქიტექტორის გაუქმებულ თანამდებობას არ დაიკავებდა.

სპილოს ბუდე მართლაც აქვს, მაგრამ სულაც არაა იქ, სადაც პატივცემული საკრებულოს წევრები ფიქრობენ. არც მე ვიცი ზუსტად, მაგრამ ჩემი მწირი გამოცდილება შემდეგს მკარნახობს: არც არავინ არსებობს ისეთი, რომ ეს შეუსაბამობა-შეუთავსებლობა თავიდან აგვაცილოს.

მართალია, არქიტექტურა მარტო თანხების მოზიდვა არაა. არქიტექტურა იდეოლოგიაცაა, როგორც ამტკიცებს ჩვენი არქიტექტორების უზომოდ გაზრდილი და ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ამბიციები. თუ ასეა, ბატონებო, რატომ არ მოიძებნა არც ერთი არქიტექტორი, ვინც ხმამაღლა იტყოდა, სადაც საჭირო იყო, რომ სამების საკათედრო ტაძარი, რომელსაც 23 ნოემბერს ხსნიან, არქიტექტურული თვალსაზრისით ურჩხული თუ მუტანტია და მეტი არაფერი. საკუთარ სამზარეულოში ხომ ყველა ასე ლაპარაკობს და გულშიც ხომ ყველა ასე ფიქრობს. ამ ბოლო თვეების განმავლობაში ის ვერ დაადგინეს, "სამკუთხედის" გამო მოხსნეს თუ სხვა რამისთვის **გოგი სულაბერიძე**. ჰოდა, რატომ უკვირთ, რომ "ქალაქგეგმარებისა და სივრცული მოწყობის" სამსახურს ახლა ეს პატიოსანი კაცი უხელმძღვანელებს? — მით უმეტეს, რომ აქედან უფრო მალე და ადვილად ავარდება იქ, სადაც, შესაძლოა, უკვე უმზადებენ ხელგაშლილ დახვედრას. მაგრამ მოვთოკოთ ფანტაზიები და პასუხი გავცეთ ერთ მარტივ კითხვას: რატომ ხდება, რომ ადამიანი, რომელიც არ მოერიდა ნაჩუქარი საათის საჯაროდ დაბრუნებას, ვერ ამბობს ასევე საჯაროდ, რომ საქართველოში მოქმედი არქიტექტურული "მაფიისა" და მის შიგნით არსებული ერთმანეთს გადამტერებული ჯგუფების გამო შეუძლებელია სხვანაირი არჩევანი? პასუხი აშკარაა: ნაჩუქარი საათი არის corpus delicti, ანუ, როგორც დავით აღმაშენებელი ამბობდა, "ნივთი შეცოდებისა". როგორ უნდა ამხილო მტერი, რომელსაც "ნივთი შეცოდებისა" არ დაუტოვებია? ესეც ჩვენი ნამცხვრის კიდევ ერთი ფენა: ჩვენი დანაშაულებრივი რეალობის მოუხელთებლობა, ბოროტება ისეა შერწყმული ჩვენი ცხოვრებისეული სინამდვილის ფესვებთან, რომ მისი არა მარტო მოსპობა, დანახვაც კი ძნელია უმტკივნეულოდ.

ბავშვებთან და პოლიციელებთან სათამაშო სიტუაციების მოდელირება გაცილებით უფრო ადვილია. ამგვარ სათამაშო სიტუაციებს სხვებიც აწყობენ, მაგალითად, "ახალი მემარჯვენეები". აი, თამარ დვალის კიდევ ერთი მასალა: *"ახლები" უშიშროების სამსახურის უნივერსიტეტში ვიზიტებზე ალაპარაკდნენ* (6 ნოემბერი). ისევ ეს ყბადაღებული კამათი ჰაგიოგრაფიაზე და თითიდან გამოწოვილი სხვა ბრალდებები — ბავშვებმა გამრავლების ტაბულა არ იციან, ესენი კიდევ რაღაც "სექსოლოგიის" აჩრდილით გვაშინებენ. მაგრამ აქ დაისვა კითხვა: **რა ესაქმებათ უშიშროების თანამშრომლებს საგანმანათლებლო დაწესებულებაში?** უშიშროების სამინისტროში კომენტირება არ მოუხდენიათ. ჩვენ შევეცადოთ...

ერთსა და იმავე დროს, სამხატვრო აკადემიაში, თსუ მაღლივ კორპუსში, 53-ე საშუალო სკოლასა და მე-6 გიმნაზიაში მართლაც მოვარდნენ უშიშროების რაზმები არარსებული ნაღმების უვნებელსაყოფად. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ცრუ ზარები იყო. თუ განათლების რეფორმის მოწინააღმდეგენი ასე შორსმჭვრეტელნი არიან, რომ ყველაფერში დასავლეთის შეთქმულებას ხედავენ, რატომ არ დაფიქრდებიან იმაზე, რომ ცრუ ზარების ერთდროულობა და სასწავლებელთა არჩევანი უფრო საბოტაჟის მცდელობაზე ან რეპეტიციაზე მიგვანიშნებს? მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი საოცრად დაემთხვა თბილისის ქუჩებში უნიჭო პლაკატების გამოკვრას ილია ჭავჭავაძის გაყალბებული ტექსტით...

მაგრამ ახლა სხვა ვთქვათ: რატომ დებენ დაპყრობილ ქვეყნებში სათამაშოებად შენიღბულ ბომბებს? თანაც ისეთებს, რომ მათი ამღები ბავშვი კი არ დაიღუპოს, არამედ დასახიჩრდეს? ნუთუ ეს ყველაფერი მხოლოდ რაღაც ირაციონალური სისასტიკით აიხსნება? არა, ახსნა გაცილებით უფრო რაციონალური და, შესაბამისად, უფრო საშინელია. საქმე ისაა, რომ გვამი სახელმწიფოს გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე ბავშვობიდან დახეიბრებული ცოცხალი ადამიანი. ხეიბართა თაობას დიდი ხნის განმავლობაში მწყობრიდან გამოჰყავს სახელმწიფო. ზუსტად ასეთი გათვლაა აქაც: ძველი ქართულის უცოდინარობა ვერაფერს დააკლებს საქართველოს ხვალინდელ ძლიერებას, რეფორმირების გარეშე დარჩენილი განათლება კი მრავალი წლით მოგვწყვეტს სანუკვარ მომავალს. დღეს ეს დიპლომია, რომელსაც არსად არ ცნობენ საქართველოს გარდა, ხვალ — კაცთა მოდგმიდან საბოლოო გამორიცხვა.

იმავე 6 ნოემბრის ნომერში ამის პირველი ნიშანიც მოიპოვება. **ნინო ცინცაძის** სტატია *შეეწიეთ და ღმერთი შეგეწევათ*. დოკუმენტები, რომლებსაც ეს ტექსტი ეყრდნობა და რომლებიც საპატრიარქოს ბიზნეს-მოღვაწეობას ასახავდა ბოლო ათი წლის განმავლობაში, ჩემთვის მანამდეც ცნობილი იყო. მაგრამ სტატია რომ წავიკითხე, მან ნამდვილად მოულოდნელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ეს უკვე ცალკეული ადამიანების წელში გატეხვა კი არა, მთელი ერის გათელვაა: "**საპატრიარქო ყაზბეგში წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის მშენებლობას აპირებს და ამ საქმის განსახორციელებლად განსაკუთრებით შვილგარდაცვლილ მშობლებს მიმართავს, რათა ისინი ამ საქმეში ფულის ჩადებით თავიანთი შვილების სულებს შეეწიონ**". დედის ცრემლიდან თუ ოქროს გამოწურვა შეიძლებოდა, არ მეგონა. რაც შეეხება ტაძარს, მისი ბედი ისევ ეკლესიის ისტორიაში შეიძლება ვიპოვნოთ. დასამშვიდობებლად ერთ ნამდვილ ამბავს მოგითხრობთ: 1042 წლის ვნების პარასკევს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ალექსი, სასახლეში გამოიძახეს. დიდ ხუთშაბათს იმპერატრიცა ზოიამ ქმარი მოაკვლევინა და ახლა მკვლელზე დაქორწინება სურდა. პატრიარქმა ჯერ უარი განაცხადა: ვის გაუგონია ვნების პარასკევს ჯვრისწერაო. მაგრამ იმპერატრიცამ დიდძალი ოქრო შესთავაზა (გვიანდელი გაანგარიშებით რამდენიმე ასეული კილოგრამი). ამ ოქროთი ალექსიმ მონასტერი ააგო და ტიპოკონში ბერებს მისი მარადიული მოხსენიება დააბარა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ალექსი ცოცხალი აღარ იყო, მონასტერში კონფლიქტი მოხდა და ვიღაც უკმაყოფილომ იღუმენი ახალ პატრიარქთან, მიქაელ კერულარიოსთან დააბეზღა. მიქაელმა მონასტერში სპეცრაზმი გააგზავნა, ჩხრეკა ჩაატარებინა და დარჩენილი ოქროს კონფისკაცია მოახდინა. რადგან ალექსის მიერ აწყობილ მანქანას საწვავი გაუთავდა, მონასტერიც მოიშალა და დღეს მისი ადგილმდებარეობის ირგვლივ თავს იმტვრევენ ეკლესიის ისტორიკოსები...



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ნესტან კვინიკაძის სვეტი

## თევზები და ფხები



თავიდან არავინ იცოდა “ალაფურშეტზე” მოქცევა, თუმცა ძალიან მალე საუკეთესოდ სწორედ “ალაფურშეტი” ავითვისეთ. ამას “ჯემსეიშენები” მოჰყვა. ნელ-ნელა ცნობიერებაზე რეკლამამაც იწყო მუშაობა. ერთ დროს მხოლოდ უცხოეთში ნანახი, მაღაზიის მინაზე მიწერილი SALE, აქაც გაჩნდა და ჩვენც თამამად ვითხოვთ კაფეებში, გნებავთ, ესპრესოს, გნებავთ, ჩისქეიქს. ნელ-ნელა “უხეში გამყიდველების” თაობაც დაასრულებს ეპოქალურ მოღვაწეობას და სადაც არის, ცენტრალურ ქუჩებში ისეთი გოგონებიც გამოჩნდებიან, თამამად რომ გააბოლებენ “იოლად მისაჩვევ თამბაქოს.”

რა არის ალტერნატივა? დღესდღეისობით შარდენისა და ერეკლე მეორეს ქუჩების მიმდებარე ტერიტორია - გამოფენები გამოფენებზე და საუბარი კონცეპტუალურ ხელოვნებაზე. ისევ ნაცნობი სახეები, ხელში ჭიქა ღვინო და “ფრანგული ქათინაური.”

მახსენდება სადღაც ამოკითხული, ცნობილ ფოტოგრაფს კარტიე ბრესონს ჰკითხეს რა აზრის ხართ კონცეპტუალურ ხელოვნებაზეო, - ეს იგივეა, - პასუხობს ბრესონი, რომ დღეს ჩემმა მეგობრებმა სადილზე დამპატიჟონ და თევზი მომართვან, მეორე დღეს ისევ მიმიწვიონ და ფხებით გამიმასპინძლდნენო.

რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება კამათის საბაბს და უტრირების შეგრძნებას ერთდროულად ბადებს, რადგან პირველ რიგში ჩვენ ყველანი თავისუფლები ვართ არჩევანში, და მეორე - კონცეპტუალურ ხელოვნებას ნამდვილად აქვს დადებითი მხარე, რასაც არაერთხელ მოვუყვანივართ აღფრთოვანებაში. თუმცა, ბოლო წლების მანძილზე, თითქმის ყველგან, სადაც სასწაულის მოლოდინში სულმოუთქმელად მივრბოდით ძირითადად “ფხებს” გვახვედრებდნენ, ამას კი ვერც რეჟიმს და ვერც კორუფციას დააბრალებ. გამართლებით კი ბატონო, აქ ერთი სიტყვაა და მას უნიჭობა ჰქვია.

ხშირად ვფიქრობ, რა დროული იყო მაშინ რობერტ სტურუას “გოდოს მოლოდინში” (სემიუელ ბეკეტის პიესა): ფეხზე წამოდგომა გინდებოდა გადამეტებული ემოციისაგან. იმ დღესაც პრემიერაზე, ზუსტად ვიცოდი საზოგადოების რომელი ნაწილი მოიყრიდა თავს დარბაზში. საუკეთესო დეგუსტატორები თეატრმცოდნეების სახით, - სპექტაკლის დასასრულს ხმამაღლა რომ ცვლიდნენ მოსაზრებებს. ქება თავშეკავებული და კრიტიკა გაბედული, მაგრამ აღფრთოვანებულები - მათ ხომ ჩვენზე დიდხანს გაუგრძელდათ “გოდოს მოლოდინი.”

და რადგან ქალური (თუ რაღაც ამის მსგავსი) ინტუიცია არასოდეს მღალატობს, პირველ ნოემბერს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ბრამსისა და ბეთჰოვენის მოსასმენად მისულს, მაყურებლის სწორედ ის შემადგენლობა დამხვდა, რასაც ველოდი.

ასაკოვანი ქალბატონები. ერთ დროს “გიგანტური” პრემიერებისთვის ძვირფასი ნაჭრებისაგან შეკერილი ხავერდის კაბები, ფრანგული მაქმანებით და საუცხოო ღილებით, საგულდაგულოდ შემონახული ქუსლიანი ფეხსაცმელები, და რაც ყველაზე მეტად იგრძნობა ხოლმე ასეთ კონცერტებზე, ეს ძველი ფრანგული სუნამოების სურნელი გახლავთ. იარუსებამდეც აღწევს და უნებლიეთ სევდასაც გგვრის, მით უმეტეს, როცა ფონად არის სიმფონიური ორკესტრი, სოლისტები კი, ამ შემთხვევაში, მარინე იაშვილი (ვიოლინო) და თამარ გაბარაშვილი (ჩელო) არიან.

ისიც ვიცი, მოდაში სულ ახლახან შემოსულ ლიტერატურულ კაფეებში რომელი შემადგენლობა იყრის თავს. გნებავთ, პანაშვიდებზე, თქვენ ოღონდ მიცვალებული დაასახელეთ.

მაგრამ, მე მართლა არ ვიცი, ვინ არიან ისინი, ტელეეკრანებიდან ყოველ საღამოს უცერემონიოდ რომ შემოცვივდებიან ხოლმე ჩვენს ოთახებში. ასეთ დროს, შეშინებული, თაროდან ვიღებ წიგნს და რატომღაც კურტ ვონეგუტთან ვკითხულობ: “აი, რა უნდა გავაკეთოთ, იმათი მომხიბვლელობა რომ აღვადგინოთ, ვინც კატასტროფისკენ მიგვიძღვის, მერე უკან კატასტროფიდან და ისევ კატასტროფაში: კანონგარეშე უნდა გამოვაცხადოთ ტელევიზია და ჩვენს ბავშვებს მაგალითი უნდა ვუჩვენოთ, თუ ყოველ კვირა როგორ ვცემთ თაყვანს ეკრანს კინოდარბაზებში.

ლიდერების მოძრავი და მოლაპარაკე სახეები ჩვენ მხოლოდ კვირაში ერთხელ უნდა ვნახოთ კინოქრონიკებში. ეს არის ერთადერთი გზა, რომლითაც შევძლებთ ყველა ლიდერის თავმოყრას ჩვენს თავებში კინოვარსკვლავებთან ერთად.”

აი, ასეთ შემთხვევაში კი, ჩემი ინტუიცია უსუსურობას განიცდის - მე წარმოდგენა არ მაქვს საზოგადოების რომელი ნაწილი მოიყრის თავს ასეთ ჩვენებაზე. ყველა ზემოთ ხსენებული ხომ საღამოს სახლში (ნაჭუჭში) ბრუნდება და რატომღაც მაინც ტელეეკრანს უძღვნის მზერას, - ალბათ, ერთი ვნების დასაკმაყოფილებლად - რა ბედნიერები (და ინტელექტით სავსენი) ვართ საერთო უბედურების (და უინტელექტობის) ფონზე.

არსებობს სამი სიღრმე - რელიგია, ხელოვნება და თავისუფლება. აქედან სამი მათგანის დელიკატური ბალანსი თუ არ მოხდა, მაშინ ისევ “გოდოს მოლოდინში” აღმოგვხდება სული. ზემოთ მოყვანილ მაგალითებში (გამოფენებზე, პრემიერებზე და კონცერტებზე თავმოყრილი საზოგადოება იგულისხმება), სამიდან ერთი ყველგან იყო, მაგრამ ეს ხომ ერთობ ზედაპირულია, რადგან არც რელიგია არსებობს ხელოვნების და თავისუფლების გარეშე და ვერც ხელოვნება უძლებს იმ ორის დანაკლისს. რაც შეეხება თავისუფლებას, - ის პირდაპირ კავშირშია, გნებავთ, რელიგიასთან, გნებავთ, ხელოვნებასთან.

ალტერნატიული საზოგადოების მცდარმა კონცეფციებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ გაგვიჩნდა აზრი - საბოლოოდ, ჩვენც ისე მოგვექცევიან, როგორც თავად ვიქცევით, - გიფიქრიათ იმის შესახებ, ფუტკრისა და კრაზანას შორის აშკარად კრაზანას დისკრიმინაციას რატომ ვეწევით? “იმიტომ რომ, პირველის ღირსებებს ვაღიარებთ, და მეორისას არა.” ეს ხომ მხოლოდ ჩვენი ბუნდოვანი აზროვნების შედეგად ხდება?!

ნურავის ეგონება, რომ საკუთარი თავის ალტერნატივად გამოცხადება ცოდვას შეუმსუბუქებს, ან ფუტკრის არ იყოს, ღირსებას გაითვალისწინებს ვინმე, - პირიქით, თქვენ სამუდამოდ დარჩებით ოვალური მაგიდის ირგვლივ შემომსხდარნი თევზის ფხების ამარა, რადგან ალტერნატივის ალტერნატივაც არსებობს, უფრო ზუსტად კი, “მესამე ნაპირი.” რომლის მიგნებაც მხოლოდ რჩეულების ხვედრია, ექსპერიმენტების, ზედმეტი აქსესუარებისა და ფუჭი კონცეფციების გარეშე.

- ერთი Irish coffee, თუ შეიძლება!

# ახალი ერა ქართულ ბალეტში

### იაპონურ ფანტაზიებში გარდასახული ბედნიერების წამი

სოფო კილასონია

"არა, ბალეტი საჩვენო არაა!" - არაერთხელ გაგვიგონია, ან საერთოდაც გვითქვამს ოპერისა და ბალეტის თეატრიდან გამოსულთ და ამ სიტყვებით ხაზი გადაგვისვამს იმ ქართველთა შემოქმედებისთვის, ვისაც მსოფლიო ბალეტში მეტად დიდი წვლილი შეუტანიათ: ვახტანგ ჭაბუკიანს, ყველა მისი უკვე კარგად ცნობილი დამსახურების გარდა, ქორეოგრაფიაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაც უკავშირდება. მან საბალეტო ცეკვაში ერთიორად გაზარდა მამაკაცის როლი, რომელიც მანამდე მხოლოდ ქალის დამხმარედ მოიაზრებოდა. გიორგი ბალანჩივაძემ, ჯორჯ ბალანჩინის სახელით, ჯერ ევროპას, შემდეგ კი აშშ-ს უჩვენა და აჩუქა ის, რითიც დღემდე საზრდოობს თანამედროვე ბალეტი და რაც ასე დააკლდა საბჭოურ, სქელ კედლებში მოქცეულ ქართულ კულტურა-ქორეოგრაფიას - კლასიკური ბალეტის თავისუფალი გააზრება, ახლებური პლასტიკა და ამით გამოწვეული მისი სიცოცხლისუნარიანობა. ეს საკმარისი იქნებოდა, რომც არ ყოფილიყვნენ ჩვენი თანამედროვენი: ქორეოგრაფი გიორგი ალექსიძე და ისეთი სახეები მსოფლიო ბალეტში როგორებიც არიან ნინო ანანიაშვილი, ნიკა ცისკარიძე, ირმა ნიორაძე და თუნდაც იგორ ზელენსკი (რომელიც ასევე ქართულ საბალეტო სკოლის წარმომადგენელია).

"თურმე შესძლებიათ, თურმე ყველაფერი შესაძლებელია" - ეს ის სიტყვებია, რასაც ყოველი მეორე იმეორებდა 6 ნოემბერს, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული საბალეტო პრემიერის შემდეგ. ის, რაც ნინო ანანიაშვილის თბილისში ჩამოსვლიდან ყველას იმედად ექცა, ახლა ხორცშესხმულია. ამ სპექტაკლით ქართული კლასიკური ბალეტის განვითარების მართლაც რომ ახალი ეტაპი დაიწყო. პოლიტიკური გარდაქმნები გახდა საჭირო, რათა გაეაზრებინათ ის, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი ქვეყნის სახეა და გამოეჩინათ ნება, დახმარებოდნენ თეატრს და მის დასს, სადაც წლების განმავლობაში არა ერთი ნიჭიერი მსახიობი მოღვაწეობდა და მეტად საინტერესო დადგმებიც განხორციელებულა, თუმცა ამის დასანახად მაშინ არც პოლიტიკური ნება იყო და არც დახმარების სურვილი. დღეს თეატრს მზრუნველთა საბჭოც ჰყავს, რომელსაც სანდრა ელისაბედ რულოვსი თავმჯდომარეობს, ხელისუფლების აბსოლუტური მხარდაჭერაც და რაც ყველაზე მთავარია, ახალი ხელმძღვანელობა - ახლებური იდეებითა და შთამბეჭდავი გეგმებით.

საბალეტო პრემიერამ წარმატებით ჩაიარა. რიტმის შეგრძნება, ყვითელი, მწვანე და წითელი განცდა და სრულყოფილება - ის ასოციაციებია, რაც მაყურებელმა თეატრიდან გაიყოლა. თუმცა, ნებისმიერი, ვინც სპექტაკლს ესწრებოდა დამეთანხმება, რომ იგი განცდებისა და ზოგადი შთაბეჭდილებების აღნიშვნაზე მეტს იმსახურებს.

მაინც როდის დგება წამი სრული ბედნიერებისა? ამაზე - ყველაზე არარომანტიკული ბუნების ადამიანსაც კი უფიქრია და შესაძლოა, ყველა სხვადასხვაგვარ დასკვნამდე მისულა, თუმცა უწინ, აფრიკაში ამბობდნენ, რომ ეს წამი გარდაცვალება-გარდასახვამდე დგება. მაშინ, როდესაც ადამიანი იხსენებს მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ და მნიშვნელოვან მომენტებს. სწორედ ეს წამი, რომელიც ადამიანის მთელს ცხოვრებას იტევს, გახდა იმის მიზეზი, რომ ამერიკელმა ქორეოგრაფმა - თრეი მაკინტაირმა, 1996 წელს ჰიუსტონის საბალეტო დასისთვის, დადგა ერთმოქმედებიანი ბალეტი "წამი გარდასახვამდე", რომლის მუსიკაც "ქრონოს-კვარტეტს" ეკუთვნის და აფრიკულ მოტივებსა და სიმღერებს აერთიანებს.

მსუბუქი და ხალისიანი დადგმა ასეთსავე განწყობას უქმნის მაყურებელს. ერთი წამი მთელ სამყაროდ ქცეულა, სადაც ყველა ბედნიერი და ხალისიანია, თუმცა ყვითელ, მსუბუქ კოსტიუმებში (რომლებიც გ.ბაბაევასა და ნ.ბაბენკოვას ეკუთვნით) გამოწყობილი გოგო-ბიჭები თითქოს არარეალურნი არიან, ან, უბრალოდ, ათინათებია გაბრწყინებულ სცენაზე. თავდაპირველი ზემოდან დაშვებული სხივი, რომელიც სიბნელეში მხოლოდ ერთ მოცეკვავეს ანათებს, მალე მთელ სივრცეს მოედება, იმ "პირველი ადამიანის" (რომელსაც გია ჩხაიძე ასრულებს) მიერ მსუბუქად და ოსტატურად შესრულებულ ნახტომებს კიდევ ხუთი მოცეკვავე მამაკაცი გაიმეორებს და სპექტაკლიც იწყება.

დადგმა, საერთოდ, დიდ თუ პატარა ხტომებზეა აგებული, რაც აფრიკულ რითმებს ეხმიანება, თუმცა ლირიკულ ჩანართებსაც არ გამორიცხავს. ბალეტი სამი ნაწილისგან შედგება და სათანადოდ სამი სოლისტი წყვილია, რომელიც ერთიმეორეს და კიდევ ხუთ სხვა წყვილს ენაცვლება. მიუხედავად სამივე მათგანის მართლაც დახვეწილი შესრულებისა, უნდა აღინიშნოს, რამდენიმე ახალგაზრდა შემსრულებელი. მაგალითად, ნინო გოგუასა და ლაშა ხოზაშვილის წყვილი, ეს ახალგაზრდა შთამბეჭდავი მონაცემების ბალერინა (ნინო გოგუა) მრავალთათვის აღმოჩენად იქცა. ამას გარდა წყვილი მეტად უხდება ერთმანეთს და საფიქრალია, (ან სასურველი) რომ მათ ერთად კიდევ ხშირად ვნახავთ წამყვან პარტიებში. რაც შეეხება კონკრეტულად ლაშა ხოზაშვილს, იგი უკვე დიდი ხანია მათ იმედად იქცა, ვინც ქართულ ბალეტში მამაკაც - ღირსეულ და ნიჭიერ მოცეკვავეთა სიმცირეს განიცდის. ამ უკანასკნელმა მთელი სპექტაკლის განმავლობაში (სამივე დადგმაში) თავი არ დაავიწყა მაყურებელს და წარმატებით "აღასრულა" თითქმის ყველა წამყვანი როლი. აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ახალგაზრდა მოცეკვავე, ნინო მახაშვილი, რომელმაც სულ ორი წლის წინ დაამთავრა ქორეოგრაფიული სასწავლებელი და, ამის მიუხედავად, საკუთარი ტექნიკური და სახასიათო შესრულებით ტოლს არ უდებს უკვე გამოცდილ მსახიობებს.

მას შემდეგ, რაც წამი გარდასახვისა კვლავ ბრწყინვალე სხივად იქცევა და სცენაზეც მხოლოდ ერთი დარჩება, ანტონიო ვივალდის ჯერი დგება (სავიოლინო კონცერტს თამაზ ჯაფარიძის დირიჟორობით თეატრის ორკესტრი ასრულებს). GREEN - ნეოკლასიკური ბალეტი, რომანტიკული ჰანგები, ვიოლინოს, არფისა და ჩელოს ხმოვანება ისაა, რის ფონზეც, თითქმის სრულიად შავ და ბნელ სივრცეში მწვანით მოსილი სილუეტები იწყებენ დინჯ მონახაზებსა და ალაგ-ალაგ ბაროკალურ მოძრაობებს. სტენონ უელშმა ეს ერთმოქმედებიანი ბალეტი 2000 წელს სპეციალურად ნინო ანანიაშნილისა და ალექსეი ფადეიჩევის დასისათვის დადგა, ამჯერად კი მას თბილისის დასი, ხოლო თავად ნინო ანანიაშვილის როლს, ასევე, ახალგაზრდა ბალერინა თამარ ჯიბუტი ასრულებდა (მას შემდგომ სპექტაკლში ანა მურადელი შეცვლის). "ვერავინ იფიქრებდა, რომ თამარი ამდენს შეძლებდა, მაგრამ შეძლო" - აღნიშნავს ნინო ანანიაშვილი. მართლაც, საკმაოდ რთული როლი ჯერ კიდევ გამოუცდელმა მსახიობმა მეტად წარმატებით შეასრულა.

სპექტაკლის მესამე ნაწილი მისი კულმინაციაა. "სიზმრები იაპონიაზე"- ამ ბალეტმა ჩვენს სცენაზე უკვე მეორედ, თუმცა ამჯერად ქართველთა შემადგენლობით (პირველად რამდენიმე წლის წინ იგი ნინო ანანიაშვილის მორიგ გასტროლებზე შესრულდა) დიდი ოვაციებისა და ემოციების აფეთქება გამოიწვია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დადგმა, რომელიც თავის დროზე ალექსეი რატმანსკიმ ნინო ანანიაშვილისა და დიდი თეატრის სხვა სოლისტებისთვის დადგა, ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე საბალეტო დადგმაა, იმ მცირედს შორის, რაც თბილისის სცენაზე გვინახავს.

ალექსეი რატმანსკი, თანამედროვე ქორეოგრაფიის წარმატებული სახე, 1986-1992 და 1995-1997 წლებში კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო. 1992-1995 წლებში იგი მუშაობდა კანადაში, ვინიპეგის სამეფო ბალეტში. 1997 წლიდან დანიის სამეფო ბალეტის სოლისტია, ამჟამად კი მოსკოვის დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი. რატმანსკი რამდენიმე ათეული ბალეტისა და საკონცერტო ნომრის ავტორია. მან სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის შექმნა კიდევ ორი ბალეტი: "მანიერიზმის მშვენიერებანი" და "ლეა", ხოლო 1999 წელს ჩვენთვის უკვე ახლობელ სპექტაკლს ("სიზმრები იაპონიაზე") მიენიჭა რუსეთის ნაციონალური თეატრალური პრემია "ოქროს ნიღაბი". აღსანიშნავია, რომ ამ ქორეოგრაფის დადგმები ერთი მეორეს არ გავს და ყოველ მათგანს საკუთარი დამახასიათებელი ხიბლი და მანერა გააჩნია, რაც მრავალი სხვა წარმატებული ქორეოგრაფებისთვის ხშირად მიუწვდომელია.

ამ ერთაქტიანი ბალეტის შექმნის იდეა ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის. იგი კაბუკის თეატრის პიესების მიხედვითაა შექმნილი და ოთხ განთქმულ, იაპონური პოეზიის სიუჟეტს ეფუძნება. არაჩვეულებრივ ქორეოგრაფიას ემატება მიხეილ მახარაძის ნაირფეროვანი კოსტიუმებისა და სცენის მხატვრობა, სადაც დიდ როლს განათება ასრულებს. ტამტამები, დაფდაფები, ქსილოფონი, დიდი დოლი, პერკუსიები და ფლეიტა - ინსტრუმენტებია, რომლებზეც მერაბ სანოძე და მისი ჯგუფი იაპონურ "ტაიკოს" ასრულებს, შიგადაშიგ კი საორკესტრო ორმოდან მძაფრი შეძახილებით ეხმიანებიან მოცეკვავეებს. შვიდი გამოცდილი, თუმცა ახლა სულ სხვა მუხტითა და შემართებით მოცეკვავე სოლისტი, სწრაფი ტემპითა და ძლიერი რიტმებით იაპონური ლეგენდების ანარეკლებს თხზავენ. "წერო" (ლაშა ხოზაშვილი) - ფლეიტის თანხლებით და მშვენიერი მოქნილობით საკუთარ სიყვარულს უმღერის. ბოროტი აჩრდილი - ნინო ოჩიაური, სხარტი და რიტმული მოძრაობებით, შურისძიების ნიშნად შეყვარებულ წყვილს (ცისია ჩოლოყაშვილს, რომელიც საკუთარი ქალურობით გვხიბლავს და ერიკ ბაბლიძეს, რომელმაც ამ ბოლო ხანს მკვეთრად დახვეწა ცეკვის მანერა) დაედევნება და სიცოცხლეს მოუსწრაფავს მათ. ამას მოსდევს ყველაზე საინტერესო "დოჯოჯის ტაძრის ქალწულის" ამბავი, სადაც ანანიაშვილის ნაცვლად ლალი კანდელაკს ვხედავთ, სწორედ მას, ვინც საკუთარი ტექნიკითა და ოსტატობით არაერთხელ გააოგნა ქართველი და უცხოელი მაყურებელი. ხოლო ბერს, რომელსაც გველად ქცეული ქალწული სიცოცხლეს გამოასალმებს, მისი დიდი ხნის პარტნიორი ირაკლი ბახტაძე ასრულებს, რომელიც საკუთარი მონაცემებით, ისევე როგორც ვივალდის GEEN-ში აქაც თავს იწონებს. დაბოლოს, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დავით ხოზაშვილი (რომელიც ლომის იძულებით გაშმაგებით ცეკვავს) დასის თაყვანისმცემელთა უკვე "სტაჟიანი ფავორიტი". მან, ალბათ, ყველაზე ნაკლებ გაგვაკვირვა საკუთარი მყარი და დახვეწილი ცეკვით, რადგანაც ამას ისედაც ველოდით, თუმცა დიდი სიამოვნება ბევრს მიანიჭა და როგორც ყოველთვის, დიდი ოვაციებიც დაიმსახურა.

მას შემდეგ, რაც საპრემიერო დადგმაზე საუბარს ვასრულებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთ პრემიერას გულის სიღრმეში, მართლაც, არ მოველოდით და შესაძლოა, ამანაც გამოიწვია წერილის აღფრთოვანებული და ამაღლებული ხასიათი. რაც შეეხება თავად დასის სამხატვრო ხელმძღვანელს ნინო ანანიაშვილს, სპექტაკლის შემდეგ სიხარულს ვერც ის მალავდა. რომ არა ჩვენი "პრიმას", მისი მეგობრების - დამდგმელი ბალეტმეისტერების ალექსეი ფადეიჩევის, ტატიანა რასტორგუევას და თეატრის რეპეტიტორების მარინა ალექსიძესა და სვეტლანა გოჩიაშვილის შრომა და დიდი მონდომება, მიუხედავად მსახიობთა მართლაც თავდადებისა, ჩვენი თეატრის დასი ამ მოკლე ხანში ასეთ დონესა და წარმატებას ვერ მიაღწევდა. წინ რამდენიმე სპექტაკლი და ახალი დადგმებია, რაც შეეხება საოპერო დასს, რომელიც ჯუზეპე ვერდის "აიდას" გვპირდება, ჯერ კიდევ გამოცდა და უკვე მეტად ამბიციური მაყურებლის შეფასება-კრიტიკა ელის.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ტომილენდი



წიგნის მაღაზიებში ტომი ლის ავტობიოგრაფიის "ტომილენდის" გამოჩენიდან სრული 24 საათიც არ იყო გასული, რომ ვარსკვლავი დააკავეს.

ვინ იცის მერამდენედ.

თანაც, ამჯერად ყველაზე უმიზეზო მიზეზით.

შუაში არ ყოფილა არც სანსეტ სტრიპის ღამის კლუბში ატეხილი ჩხუბი; არც ალკოჰოლი და ნარკოტიკი; და არც პაპარაცები და ყოფილი ცოლი, პამელა ანდერსონი ჩანდნენ სადმე. უბრალოდ, ერთ წვიმიან დილას, ჰოლივუდ ჰილზში ტომი ლი მეგობრის მანქანით მეორე მეგობართან მიდიოდა და თეთრი ხაზი გადაკვეთა. აი, ასე - მანქანა შუქნიშანზე გააჩერა, გზას არ დაუკვირდა და ხაზი გადაკვეთა. ლოს ანჯელესის პოლიციამ ის მაშინვე დააკავა და დააჯარიმა.

"ბიჭო, არც ვიცი, რა უნდოდა იმ პოლიციელს", - თქვა ტომიმ, როცა, ბოლოს და ბოლოს, მეგობრამდე მიაღწია. ყველა ელოდა, რომ უსიამოვნო ინციდენტის გამო ლი სალანძღავ სიტყვებად დაიღვრებოდა, მაგრამ სასწაული მოხდა. ტომიმ გაიღიმა, იუბილარს დაბადების დღე მიულოცა, მერე კი უცებ აიწია მაისური და მუცლის პრესი გამოაჩინა ახლად გაკეთებული სვირინგით - Mayhem ("ზიანი").

რატომ "ზიანი"? ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ ეს სვირინგი ძალიანაც ლოგიკურია. რადგან ეს სიტყვა ტომი ლის ბიოგრაფიის ბოლო ოცწლიან მონაკვეთს ყველაზე კარგად ასათაურებს.

17 წლიდან ტომი ლი როკის ერთ-ერთი უცუდესი ბიჭია. მოღვაწეობა ამ "სფეროში" ჰევი მეტალის ჯგუფიდან "მოთლი ქრიუ" დაიწყო, მსახიობ ჰითერ ლოქლეარზე ქორწინებით გააგრძელა, მერე ბედი პამელა ანდერსონს დაუკავშირა და უარესი ქარიშხლები მოაწყო, მერე შვილი საცურაო აუზში დაეხრჩო, ბევრი იჩხუბა, ბევრი ნარკოტიკი გაიკეთა, ბევრი ალკოჰოლი გაანადგურა და ახლა ამ ყველაფრის შესახებ წიგნიც დაწერა.

თუმცა, "ტომილენდის" გამოსვლით ის ცუდ ცხოვრებას ემშვიდობება. ტომი ლიმ გამოსწორება გადაწყვიტა და, როგორც თვითონ ამბობს, ამაში ძალიან ეხმარება "ბრაზის რეგულაციის" ლექციები და დასძენს, რომ აღარც კი ახსოვს, ბოლოს როდის გააფრინა. ბრაზის დარეგულირების გარდა, შვილების ხათრით, ის კონფერენციებსაც ესწრება - მასწავლებლებისა და მშობლებისთვის.

ტომი ლი სწავლა-განათლებასაც დაუბრუნდა. ნებრასკას უნივერსიტეტში ქიმიასა და მებაღეობას ეუფლება. მართალია, მისი სურვილი - ისწავლოს, აბსოლუტურად გულწრფელია, მაგრამ ცოტათი ეს ყველაფერი მაინც შეთხზულია - ტომი ლის სწავლის პროცესს კამერები იღებენ NBC-ის ტელე-სერიალისთვის, რომელიც ეთერში 2005 წლიდან გავა.

მოკლედ, "ტომილენდი" გამოსწორების გზაზე გადადგმული მშვენიერი პირველი ნაბიჯია. სათაურის იდეა იმ იმპროვიზირებული კარნავალის სახელწოდებიდან აიღო, რომელიც პამელამ ტომის ოცდამეათე დაბადების დღეს მოუწყო.

წიგნში ტომი ლი ძალიან გულწრფელია. ის იხსენებს ყველა იმ ეპიზოდს, რომელმაც როკ-ჯგუფის დრამერი ყვითელი პრესის კერპად აქცია: თუ როგორ გაწირა შვიდწლიანი ქორწინება ლოქლეარზე 1993 წელს ვილაც პორნო-ვარსკვლავის გამო; როგორ გაშორდა ცოლს; როგორ შეხვდა 1995 წელს "მაშველების" გადაღებისას პამელა ანდერსონს და როგორ დასრულდა მათი ოთხდღიანი ფლირტი ზედ ოკეანის სანაპიროზე გამართული ქორწილით; მერე ბავშვები, ჯერ ერთი ბიჭი, მერე მეორე; ჩხუბები ფოტოგრაფებთან. სასამართლო პროცესები.

შემდეგ მათი სახლიდან ვილაცამ ვიდეოკასეტა მოიპარა, რომელზეც ტომისა და პამელას სექსი იყო აღბეჭდილი. კასეტა საზოგადოებას უმალ მოედო და ის ლამის კულტად იქცა.

მერე ლისა და ანდერსონის ურთიერთობაც კრიზისში მოექცა. ტომიმ პამელას დაარტყა, მაშინ, როცა მას თოთო დილანი ეჭირა ხელში. ამ ინციდენტის გამო ლი ციხეში ოთხთვიან სასჯელს იხდიდა.

მერე იყო გაყრა, ისევ შერიგება, ისევ გაყრა, ისევ შერიგება, პამელას რომანი ქიდ როკთან, ტომის დანიშვნა პრინცის ყოფილ ცოლზე მეიეტ გარსიაზე...

"მაშინ, როცა ეს ყველაფერი ხდებოდა ჩემს თავს, ჩუმად ვიყავი. ახლა დროა, სათქმელი ვთქვა. მინდა, განვიწმინდო, გული დავიცალო და მერე ყველა დავპატიჟო ისტორიულ ცერემონიალზე - თუ როგორ გადავშლი ახალ ფურცელს ჩემს ცხოვრებაში", - აცხადებს ვარსკვლავი.

თუმცა, არ გეგონოთ, რომ ძველი ცუდი ბიჭისგან აღარაფერი დარჩა. ის კვლავაც ჟარგონით ლაპარაკობს, ძალიან მოსწონს, როცა ეუბნებიან 42 წლის ასაკისთვის შესანიშნავად გამოიყურებიო და ლამაზი ქალებიც მისი ჰორიზონტიდან არასდროს ქრებიან. ამის დასტურად ტომი ლი ერთ სტუდენტურ ეპიზოდს იხსენებს. ერთხელ ნებრასკას უნივერსიტეტში მასთან გოგონები მისულან გასაცნობად; ტომის კი, რომელსაც მეგობარი ახლდა თან, ნაზად უთქვამს, სასიამოვნოა თქვენთან შეხებაო. გოგონები გაგიჟებულან. ტომის ძმაკაცი გაოცებულა. მას მერე სულ ასეა - ლი მას თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით ამდიდრებს, სტუდენტი ბიჭი კი ვარსკვლავს გამოცდების ჩაბარებისას ეხმარება.

ტომი ლი ძალიან ამაყობს თავისი წიგნით და ავტობიოგრაფიის მომავალი მკითხველის - თავისი ორი ვაჟის ბედიც აწუხებს: "ტექსტში გულწრფელად ვიხსენებ ყველაფერს, რაც მათ დედასა და ჩემ შორის მოხდა. მაგრამ იმ ცნობილი ვიდეოკასეტის ინციდენტს, ალბათ, კიდევ უფრო მეტი განმარტება დასჭირდება.

პამელასთან ურთიერთობის შესახებ ის წიგნში წერს: "ჩვენ ორივენი ძალიან ემოციურები ვართ. თუ ორივეს ერთად დაგვაყენებ გზაზე, წინ საოცარი სისწრაფით მივქრით. ჩვენ ერთმანეთს ვაგიჟებთ და როცა კარგად ვართ, ე.ი. ძააააალიან კარგად ვართ და როცა - ცუდად, ე.ი. ყველაფერი საშინლადაა".

საინტერესოა ისიც, რომ წიგნში პამელას კომენტარებიცაა გამოყენებული. მაგალითად, ერთ-ერთ ამგვარ ჩანართში ის წერს: "ბავშვების გაჩენის შემდეგ ტომიმ მიუსაფრად იგძნო თავი. გაგიჟდა, ვეღარ აიტანა... ურთიერთობა ისე აგვერია, რომ ყველაფერს ერთმანეთს ვაბრალებდით. მე საკუთარ თავში ჩავიკეტე და ბავშვებზე გადავერთე. ტომი მარტო დარჩა..."

თუმცა, ახლა თურმე წყვილს ისეთი ჰარმონიული ურთიერთობა აქვს, როგორც არასდროს. "ჩვენ მეგობრობა ვისწავლეთ. ჩვენ ახლა თანა-მშობლები ვართ. ერთად დავდივართ ბავშვების ფეხბურთის მატჩებზე, ვლაპარაკობთ", - აცხადებს ლი. მაგრამ წყვილი ინტუიციურად მაინც სულ გრძნობს ერთმანეთს. ალბათ, ამის ბრალია ის, რომ ისინი მწერლებადაც თითქმის ერთდროულად მოგვევლინნენ. ანდერსონის პირველი რომანი "ვარსკვლავი" ხომ "ტომილენდზე" რამდენიმე თვით ადრე გამოიცა.

ტომი ლი, ჯერჯერობით, დაქორწინებას არ აპირებს. "ხანდახან სერიოზული ურთიერთობა ძალიან მენატრება. მიყვარს შეყვარებულობის პერიოდი, რომანტიკულიც ვარ. მაგრამ ახლა მარტოხელობაც მომწონს, თან ბოლომდე მარტოც არ ვარ. ერთდროულად რამდენიმე გოგოს ვხვდები".

და, როგორც ჩანს, ტომი ლის თავსდამტყდარი ჰარმონია ამით არ მთავრდება. "ტომილენდში" ის მართალია, ნილს ცუდად მოიხსენიებს, მაგრამ თან წერს, რომ "მოთლი ქრიუს" აღდგენის შესაძლებლობაც არსებობს. მათი პროდიუსერი კი დასძენს: "ამ ბიჭებიდან, მართლაც, უზარმაზარი ენერგია მოდის, მაგრამ არის მათ შესახებ რაღაც ცუდიც. ჯგუფის ძველ წევრებთან ერთად უკვე ოთხი სიმღერა ჩავწერეთ. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველანი ერთად ერთ სტუდიაში არ ყოფილან". მოკლედ, მას შემდეგ, რაც "ტომილენდი" გამოვიდა და ტომი ლი აღარ ბრაზობს, ყველაფერია შესაძლებელი.

# გადაფრენა მანთაშევზე და...



თამარ სახიშვილი

ფარაჯანოვს უყვარდა კამერასთან პოზირობა. ეს ფოტო (კარგად ცნობილი სერიდან სერგო ფარაჯანოვზე) იური მეჩითოვმა რეჟისორის ერთ-ერთი სახლდახელო იმპროვიზაციის დროს გადაიღო. ახლახან კი ამ ფოტოს მიხედვით იტალიაში ფარაჯანოვის ძეგლიც ჩამოასხეს. დღეს ფარაჯანოვის ქანდაკების ნახვა უკვე მტკვრის ნაპირას, ჩვენი დედაქალაქის ერთ ძველ უბანში შეგიძლიათ. შაბათს, 2004 წლის 6 ნოემბერს, რეჟისორის გარდაცვალებიდან 14 წლის შემდეგ, მანთაშევზე სერგო ფარაჯანოვის ძეგლი გაიხსნა. ძეგლის ავტორია მოქანდაკე ვაჟა მიქაბერიძე, რომელიც იტალიაში მოღვაწეობს.

გახსნაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. თბილისში კიევიდან რეჟისორის ვაჟი და მეუღლე სვეტლანა ფარაჯანოვაც ჩამოვიდნენ. როცა ქანდაკებას ფარდა ახადეს, ფარაჯანოვის მეუღლეს ცრემლი მოადგა თვალზე: "ბოლოს და ბოლოს ღმერთი არსებობს," - თქვა მან და თითქოს გაეპასუხა ფარაჯანოვის ერთ წერილში დასმულ შეკითხვას, რომელიც რეჟისორს ციხიდან გამოუგზავნია: "Всем поклон! А что если есть бог?.."

"მიხარია, რომ კიდევ ერთი ნამდვილი ხელოვნების ძეგლი და ხელოვნების ნიმუში დაიდგა ჩვენს ქალაქში", - ამბობს მსახიობი სოფიკო ჭიაურელი. ვაჟა მიქაბერიძის ნამუშევარი ორიგინალური გადაწყვეტით გამოირჩევა. ძეგლს არა აქვს კვარცხლბეკი, ქანდაკება ერთი ძველებური სახლის კედელზეა მიმაგრებული, თითქოს ჰაერში აჭრილა და გადაფრენას აპირებსო...

სერგო ფარაჯანოვი 1924 წლის 9 იანვარს დაიბადა თბილისში. 1949 წელს საცხოვრებლად კიევში გადავიდა და დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში დაიწყო მუშაობა, ჯერ რეჟისორის ასისტენტად, მერე - რეჟისორად. 1952 წელს გდთკის სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა. მისმა ფილმმა - "გარდასულ წინაპართა აჩრდილები" ნამდვილი სენსაცია გამოიწვია. მაყურებელიც და კინოკრიტიკოსებიც ოვაციებით შეხვდნენ ფერის, მონტაჟის, მუსიკალური გაფორმების, კადრის აგების რომანტიკულ-ექსპრესიულ გადაწყვეტას. არაოფიციალურ წრეებში კი ამ ფილმის ეკრანებზე გამოსვლისთანავე "ფორმალისტად" მოიხსენიეს. ფილმმა არაერთი პრიზი მიიღო სხვადასხვა ფესტივალებზე. მერე მას მოჰყვა სხვა ფერწერული კინოსურათები: "ბროწეულის ფერი", "ლეგენდა სურამის ციხეზე"... და რეჟისორის ძირითადი სენტენცია, რომ თუ გრძნობ სილამაზეს, ბოლოს მაინც უნდა ზღო ამისათვის... სერგო ფარაჯანოვი 1990 წელს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ ისიც უთქვამს: მე უნდა დავბრუნდე ჩემს ბავშვობაში, რათა ბავშვობაში გარდავიცვალოო...

თბილი და ბავშვივით მხიარული - ასეთია მისი ქანდაკება და ასეთი იყო სერგო ფარაჯანოვი, - ასე გაიხსენეს რეჟისორი გარდაცვალებიდან 14 წლის შემდეგ. თბილი და მხიარული იყო ძეგლის გახსნის ცერემონიალიც. ძველებური ჰანგებით, ჭრელი ხალიჩებით, მოგონებებით, იუმორით... ამინდმაც გაამართლა. შემოდგომის გადაბმული წვიმების მერე მზიანი დღე გამოვიდა.

თბილისში დადგმული ძეგლი კინოხელოვანის მესამე ქანდაკებაა. ერთი ერევანშია, რეჟისორის საფლავზე, მეორე კიევში.

ვიღაცისთვის ფარაჯანოვი რუსი რეჟისორია (ცნობილი რუსი კინორეჟისორი, რომელიც თბილისში დაიბადა - ასე გვაცნობენ ფარაჯანოვს რუსული ინტერნეტსაიტები), ვიღაცისთვის - სომეხი. თავად რეჟისორისთვის რომ გეკითხათ, იტყოდა: ეროვნებით თბილისელი ვარო. როცა ფარაჯანოვი გარდაიცვალა, ჩვენთან უმძიმესი დრო იყო, ოპერატიულად გადაასვენეს ერევანში და იქვე დაკრძალეს; მისი სამუზეუმო ექსპონატების დიდი ნაწილიც თბილისიდან ერევანში გადაიტანეს. მაგრამ მისი სული მაინც თბილისში დარჩა... ასეც სჯერათ ჩვენს დედაქალაქში. და ეს მშვენიერი ქანდაკებაც იმ თავისუფალი სულის გამოხატულებაა, რომელიც ფარაჯანოვის ესთეტიკის განუყოფელი ნაწილია.


ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა ყველაზე ჭკვიანის მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:
შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.
მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, და შემთხვევაში თუ საქართველოს ყველაზე მორჩილ ქვეყანაში ცხოვრობ.

იმისათვის, რომ გაგიადვილდეს გადაცემაში თამაში და კარგად იცნობდე გადაცემის წესებს, უყურე ყოველ ორშაბათს, 9 საათიანი კურიერის შემდეგ, რუსთავი 2-ის ეთერში, გადაცემა ყველაზე ჭკვიანს.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს ! მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

1 სახელი, გვარი და მამის სახელი
4 დაბადების თარიღი
7 მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი
2 მისამართი
5 სკოლა
8 მშობლის ან მეურვის ხელმოწერა
3 საკონტაქტო ტელეფონის ნომრები
6 კლასი
9 დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 იანვრისთვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2, ვაჟა ფშაველას 45, 0177 თბილისი

ფეხბურთი

www.pfl.ge

# თბილისური ჯენტლმენობა და ბათუმელთა ბოდიში

მიხეილ აბაიშვილი



ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-14 ტურის ცენტრალური მატჩი თბილისში, "ოლიმპის" სტადიონზე გაიმართა, სადაც ადგილობრივმა "თბილისმა" ბათუმის "დინამოს" უმასპინძლა. ამ მატჩამდე "თბილისი" სატურნირო ცხრილში მე-3 პოზიციას იკავებდა და ლიდერებს, თბილისის "დინამოსა" და ქუთაისის "ტორპედოს" 2 ქულით ჩამორჩებოდა. თავის მხრივ, არც ზღისპირელები იყვნენ ძალიან შორს. ბათუმელები 22 ქულით მე-4 პოზიციას იკავებდნენ და გუშინდელ მეტოქესთან შედარებით 2 ქულით ნაკლები ჰქონდათ დაგროვილი. წარმატების შემთხვევაში, როგორც მასპინძლები, ისე სტუმრები, არა მხოლოდ იმყარებდნენ პოზიციებს, არამედ, ცხრილში ზედა საფეხურზე ანაცვლების კარგი შანსიც ეძლეოდათ.

შეხვედრამ გულშემატკივრების მოლოდინი ყველა ასპექტში გაამართლა. სწრაფი, კომბინაციური და შედეგიანი თამაში, ერთიმეორეზე უკეთესი ხუთი გოლი, ორივე გუნდის სწრაფვა გამარჯვებისაკენ და, ფეხბურთელთა საკმაოდ კორექტული მოქცევის მიუხედავად, ექვსი ყვითელი ბარათი და ერთი გაძევება. მატჩს ისიც მატებდა ინტერესს, რომ "თბილისს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. გიორგი დევდარიანმა, რომელმაც ბევრი გააკეთა ამ გუნდისთვის, გადაწყვიტა, საკუთარი პროფესიონალიზმი გერმანიაში, კიოლნის ცნობილ სამწვრთნელო სკოლაში აემაღლებინა. ამიტომ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგა. "თბილისის" ხელმძღვანელობას ბევრი არ უფიქრია და ჩვენთვის კარგად ნაცნობ ჩილელ მწვრთნელზე, ბერძნული წარმოშობის ლუის ცაკარიასზე შეაჩერა არჩევანი. "დინამოსთან" მატჩი ცაკარიასისთვის, რომელიც ერთი წლის წინ თბილისის "ლოკომოტივს" ედგა სათავეში, "თბილისის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სადებიუტო იყო. შეგირდებმა ახალ მწვრთნელს ნამდვილად არ გაუცრუეს იმედი.

გუნდებმა ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს თამაში. სულ მალე ანგარიში 1:1 იყო. ჯერ მასპინძლები დაწინაურდნენ გოგიტა გოგუას შორეული დარტყმით. ეს მე-12 წუთზე მოხდა. 3 წუთის შემდეგ სტუმართა ნახევარმცველის, დარჩიძის მიერ განხორციელებულ სოლორეიდს და გამოზომილ პასს მასპინძელთა მეკარე დევაძესთან ყოფილი თბილისელის, ჭელიძის საპასუხო გოლი მოყვა. სხვათა შორის, ამ გუნდების პირველი წრის მატჩშიც ზუსტად ეს ანგარიში - 1:1 დაფიქსირდა, მაგრამ ორივე გუდის ფეხბურთელთა განწყობას ეტყობოდა, რომ ამჯერად ასეთი ანგარიში არათუ თამაშის, არამედ პირველი ტაიმის ბოლომდეც არ შენარჩუნდებოდა.

ასეც მოხდა. ტაიმის მიწურულს, 4-წუთიან მონაკვეთში, ჯერ თორნიკე ფიფიამ, შემდეგ კი სანდრო იაშვილმა, 2 გოლი გაუტანეს გრიშიკაშვილს და შესვენებაზე "თბილისი" სოლიდური ჰანდიკაპით გავიდა.

მეორე ნახევარში გაცილებით მეტს ცაკარიასის გუნდი უტევდა. გამოჩნდა, რომ "თბილისი" ფიზიკურად გაცილებით უკეთ არის მომზადებული. სტუმართა კართან მრავლად შეიქმნა სახიფათო მომენტი, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში ან მასპინძელთა თავდამსხმელები სცოდავდნენ, ან გრიშიკაშვილი იდგა მოწოდების სიმაღლეზე. მეორე ტაიმის ბოლოს ერთი კურიოზიც დაფიქსირდა. 85-ე წუთზე, "თბილისის" შეტევისას, გრიშიკაშვილმა ორიენტაცია დაკარგა და ბურთი საჯარიმო მოედნის გარეთ ხელით მოიგერია, რითაც საგოლე შეტევა ჩაშალა. მსაჯმა, სრულიად სამართლიანად, გრიშიკაშვილს წითელი ბარათი აუფრიალა. ამ დროს ბათუმელებს უკვე სამივე ფეხბურთელი შეცვლილი ჰყავდათ და მათ კარში მინდვრის მოთამაშე მალანია დააყენეს. ამის შემხედვარე მასპინძლებმა ჯენტლმენობა გამოიჩინეს და მეტოქის საჯარიმოს სიახლოვესაც კი არ მიდიოდნენ. თუმცა, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – ბათუმელთა ერთ-ერთი შეტევა ხომერიკის ლამაზი გოლით დასრულდა, გოლით, რომლის გამოც ზღვისპირელთა მთავარმა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბოდიშიც კი მოიხადა. თუმცა, ამ გოლს რეალურად აღარაფერი შეუცვლია: მატჩი დასრულდა მასპინძელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:2. "თბილისმა" მორიგი 3 ქულა ჩაიწერა აქტივში და ქულით გადაუსწრო "დინამოს", რომელიც მე-14 ტურის შეხვედრას დღეს ზესტაფონში გამართავს.

ლუის ცაკარიასი: დღევანდელ თამაშში გამოჩნდა, რომ წინა სეზონთან შედარებით, "ბათუმის "დინამო" გაცილებით უკეთესი გუნდია. ჩანს, რომ ამ გუნდში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. მით უფრო დასაფასებელია ჩვენი დღევანდელი გამარჯვება. ჩემმა ფეხბურთელებმა ზუსტად შეასრულეს თამაშის დაწყებამდე მიცემული მითითებები. პირველ ტაიმში მეტოქეს მთელ მოედანზე პრესინგს ვეთამაშებოდით და დაწინაურებაც მოვახერხეთ. ის, რომ ბოლო წუთზე გოლი გავუშვით, ქართული მენტალიტეტის ბრალია. ჩემებმა ჩათვალეს, რომ 2-ბურთიანი უპირატესობა და ის გარემოება, რომ მეტოქეს ფეხბურთელი გაუძევეს, დამშვიდების კარგი საბაბია. ეს იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ დიდი სამუშაო გვაქვს. თუმცა, ჩემმა წინამორბედმა გიორგი დევდარიანმა ნაყოფიერი საქმიანობა გაწია და კარგი მემკვიდრეობაც დატოვა. ვფიქრობ, "თბილისს" ამ სეზონშივე შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა, რის გაკეთებასაც შევეცდებით."

ამირან გოგიტიძე: "მინდა, ბოდიში მოვიხადო ხომერიკის გოლისთვის და მადლობას ვუხდი მეტოქეს იმის გამო, რომ ჩვენი მეკარის გაძევების შემდეგ ჯენტლმენობა გამოიჩინეს და აღარ შეგვიტიეს. "თბილისმა" დამსახურებულად გაიმარჯვა, რასაც ვულოცავ და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ. მათ თამაშის ყველა კომპონენტში დაგვჯაბნეს. ჩვენ ამ ჩემპიონატში მაღალი მიზნები გვაქვს და ეს მარცხი გუნდში სერიოზული გარჩევის ობიექტი გახდება."

საინტერესო გამოდგა თამაში ქუთაისში, სადაც ლიდერმა "ტორპედომ" აუტსაიდერ "დილას" უმასპინძლა. ამ თამაშსაც საინტერესო წინაისტორია აქვს. გასულ ჩემპიონატში, პირველი ეტაპის ბოლო ტურში, "ტორპედო" სწორედ "დილას" მასპინძლობდა და იმისთვის, რომ ფინალური ექვსეულის საგზური მოეპოვებინა, 2-ბურთიანი სხვაობით გამარჯვება ესაჭიროებოდა. "ტორპედომ" მხოლოდ ერთი ბურთით მოიგო და ზეექვსეულის საგზური "დილას" დაუთმო.

ქუთაისელებს გუშინაც ძალიან გაუჭირდათ. "დილა" შეხვედრის პირველივე წუთებიდან, ძირითადად, მხოლოდ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, რასაც ურიგოდ არ აკეთებდა და ხანდახან მწვავე კონტრშეტევებსაც მიმართავდა. ერთ-ერთი ასეთი იერიში მე-40 წუთზე შატაკიშვილის გოლით დასრულდა. ეს ანგარიში სტუმრებმა ლამის შეხვედრის ბოლომდე შეინარჩუნეს, თუმცა, ბოლო წუთებში "ტორპედომ" იძალა და ჯერ დარსაძემ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 88-ე წუთზე მეგრელაძემ გამარჯვების გოლი გაიტანა და "ტორპედოს" ლიდერობა შეუნარჩუნა.

მე-14 ტური

ტორპედო – დილა 2:1
თბილისი – დინამო (ბთ) 3:2
ვიტ ჯორჯია – სიონი 2:1
ლოკომოტივი – კოლხეთი 2:1

# არ იყიდება!

უკანასკნელ წლებში ტურინის "იუვენტუსმა" მოასწრო და ისეთ ფეხბურთელებს დაემშვიდობა, როგორებიც რობერტო ბაჯო, კრისტიან ვიერი, ტიერი ანრი, ფილიპო ინძაგი, ზინედინ ზიდანი და ედგარ დავიდსი არიან. ერთადერთი, ვინც არავითარ ფულზე არ იყიდება, ალესანდრო დელ პიეროა.

დელ პიეროს დებიუტი 1993 წელს შედგა "ბებერი ქალბატონის" შემადგენლობაში და, ალბათ, ფეხბურთელი სპორტული კარიერის დასრულებამდე ტურინული კლუბის ერთგული დარჩება. ამას წინათ მან "იუვესთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა და იგი გუნდში 2008 წლამდე დარჩება. ფორვარდი გუნდის ნამდვილი სიმბოლოა. ის არის გუნდის სული და გული, ფეხბურთელი, რომელთანაც გულშემატკივრებისთვის თვით სიტყვა "იუვენტუსი" ასოცირდება.

ოთხშაბათს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე დელ პიერომ ერთადერთი გოლი გაუტანა "ბაიერნს" და ტურინელებმა მიუნხენიდან სამი ქულა წამოიღეს. ამ გამარჯვებით "იუვენტუსმა" ჯგუფში პირველი ადგილი და ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მერვედფინალის საგზური გაინაღდა. "იმედი მქონდა, რომ წლევანდელი სეზონის სტარტი გუნდს შთამბეჭდავი ექნებოდა. ამისთვის ხომ გუნდის ყოველი წევრი, ფეხბურთელით დაწყებული და ხელმძღვანელობით დამთავრებული, წელებზე ფეხს იდგამდა. თუმცა, ვაღიარებ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა", - uefa.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ალესანდრო დელ პიერომ.



*დელ პიერო არ იყიდება.*

იტალიის წლევანდელ ჩემპიონატში ტურინის "იუვენტუსმა" 9 მატჩიდან 8 მოიგო, ხოლო დელ პიერომ საკუთარ ანგარიშზე 4 გოლი მიითვალა. არადა, წინა თვეში მან ტრავმა მიიღო. "ფეხბურთელს მხოლოდ მაშინ შეუძლია საუკეთესო თამაშის ჩვენება, როცა აბსოლუტურად ჯანმრთელია, - განმარტავს დელ პიერო, - მე მთელი ძალით თამაში არ შემეძლო, ამიტომ ორკვირიანი ტაიმ-აუტი ავიღე. შედეგად, მე კვლავ საუკეთესო თამაშს ვაჩვენებ და გოლებიც გამაქვს".

სეზონის დაწყებამდე ტურინულ კლუბს სათავეში ჩაუდგა ფაბიო კაპელო, რომელმაც ამ პოსტზე მარჩელო ლიპი შეცვალა. ლიპი კი, თავის მხრივ, იტალიის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. დელ პიერო ახალი მწვრთნელით აღფრთოვანებულია. "მე კაპელოს გუნდების წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია და მას ყოველთვის შესანიშნავ სპეციალისტად მივიჩნევდი, - გვიამბობს დელ პიერო, - ბოლო თვეებმა ჩემი მოსაზრება მხოლოდ გაამყარა".

დელ პიერო, რომელსაც 9 ნოემბერს 30 წელი შეუსრულდება, ლიპისა და კაპელოს მეთოდებს მსგავსს უწოდებს. "მათ შორის განსხვავება არც ისე დიდია, - განაცხადა ფეხბურთელმა, - თუმცა, მათი გუნდები სხვადასხვაგვარად თამაშობენ. თანაც, თავის ფეხბურთელებს ლიპი და კაპელო სხვადასხვა კუთხით უდგებიან".

კაპელოს ტურინში მისვლა მაშინვე დაეტყო "ბებერი ქალბატონის" დაცვის სისტემას. "იუვემ" იტალიის ჩემპიონატში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ოთხ ტურში საკუთარი კარი მშრალად შეინარჩუნა. დელ პიეროს მიაჩნია, რომ დაცვაში შთამბეჭდავი თამაში მარტივად შეიძლება აიხსნას. სეზონის წინ გუნდმა რამდენიმე ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა და მწვრთნელი შეცვალა.

"ახალმა მწვრთნელმა და ახალმა ფეხბურთელებმა გუნდს დამატებითი მოტივაცია შესძინეს, - დარწმუნებულია "იუვენტუსის" კაპიტანი, - ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, თუ როგორი ოსტატობით გამოირჩევიან ემერსონი, ფაბიო კანავარო, ჯონათან ძებინა და ზლატან იბრაგიმოვიჩი. ამასთან, არ შეიძლება დავივიწყოთ ახალგაზრდები - მანუელე ბლაზი და ოლივიე კაპო, რომლებიც აგრეთვე უაღრესად ტექნიკური ფეხბურთელები არიან".

თქმა არ უნდა, რომ ტურინის "იუვენტუსში" ახალმა ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი, მაგრამ "დელე ალპიზე გულშემატკივრების კერპი მაინც ალესანდრო დელ პიეროა. ორი კვირის წინათ ფორვარდი მიუნხენის "ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში მეორე ტაიმში შეცვალეს. მაყურებელი კი დიდი ხნის განმავლობაში მასზე სიმღერას მღეროდა.

"ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, - ამბობს დელ პიერო, - უკვე 10 წელიწადზე მეტია, აქ ვარ და არაერთხელ მიგრძვნია გულშემატკივრის სიყვარული, მაგრამ ამ სიყვარულით არასდროს ვყოფილვარ ისე შეძრული, როგორც იმ საღამოს. ცოტა არ იყოს, უხერხულობაც კი ვიგრძენი. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვგრძნობ "იუვენტუსში" თავს კარგად. ჩემს, კლუბსა და გულშემატკივარს შორის საოცარი ჰარმონია სუფევს".

დელ პიერომ შესანიშნავად იცის, როგორ გადაუხადოს მადლობა გულშემატკივრებს მათი უანგარო სიყვარულის გამო. "ჩვენ გვინდა, ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ, - ბოლოს განაცხადა ტურინელ ფეხბურთის მოყვარულთა კერპმა, - ჩვენ ყველა მატჩში ვიმარჯვებდით. თუმცა, "იუვე" ჯერ სპორტული ფორმის პიკზე არ ასულა. კონცენტრაციის შენარჩუნებას ყოველთვის ვახერხებდით, რაც სერიოზული გამარჯვებების მისაღწევად აუცილებელია".

ალესანდრო დელ პიერო ერთ-ერთია იმ 50-ზე მეტი ფეხბურთელისგან, რომლებმაც წინა კვირაში მსოფლიოს წარუდგინეს adidas F50+ ბუცების რეკლამა როგორც ჩემპიონთა ლიგის, ისე უეფას თასის ტურნირზე.

# კლასნიჩის გოლები

"მანჩესტერ იუნაიტედის" ჰოლანდიელმა ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროიმ გასულ ოთხშაბათს პრაღის "სპარტას" ოთხი გოლი გაუტანა და ამ პოკერის წყალობით სათავეში ჩაუდგა ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გათამაშების ბომბარდირთა სიას. თუ ჰოლანდიელს ფეხბურთის მოყვარულთათვის საგანგებო წარდგენა არ სჭირდება, ბრემენის "ვერდერის" ფორვარდი ივან კლასნიჩი გულშემატკივართათვის ნაკლებად არის ცნობილი.

თუმცა, ამის მიუხედავად, უმჯობესია, ბელგიის "ანდერლეხტის" მცველებს არ წარვუდგინოთ ფეხბურთელი, ვინც სამჯერ გააბითურა ისინი და "ანდერლეხტის" კარში სამშაბათს ჰეთ-თრიკი შეასრულა. "ვერდერმა" ის მატჩი - 5:1 მოიგო. ამასობაში კი ბრემენელი გულშემატკივრები შეეჩვივნენ კლასნიჩის მიერ გოლის საზეიმო გამოხატულებას. ხორვატიის ნაკრების ფორვარდი ტრიბუნასთან მიირბენს ხოლმე და საკუთარი ფანტაზიით წარმოდგენილი თოფიდან ისვრის.

"ვერდერისთვის" საჩემპიონო შარშანდელ სეზონში კლასნიჩმა 13 გოლი გაიტანა და შეტევის წინა ხაზზე მომაკვდინებელ დუეტს ქმნიდა ბრაზილიელ გოლეადორ აილტონთან ერთად. ხორვატმა ფორვარდმა კი "ანდერლეხტთან" მატჩში უკვე მეორე წუთზე გამოიჩინა თავი, როცა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. მე-15 წუთზე კლასნიჩმა თავით გაიტანა, ხოლო შემდეგ ჟოან მიკუს გადაცემა გამოიყენა.

იმ მატჩში "ვერდერის" შემტევმა ტრიომ - ფრანგი ნახევარმცველის ჟონა მიკუს, 24 წლის კლასნიჩისა და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელის მიროსლავ კლოზეს შემადგენლობით კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ეფექტურობა. წლევანდელ სეზონში ამ ტრიოს ანგარიშზე (ყველა ტურნირში) 22 გოლია.



*გულშემატკივარი კლასნიჩის გოლებს მიეჩვია.*

ასეთი შედეგიანობა აოცებს სპეციალისტებს, რომლებიც მიეჩვივნენ "ვერდერის" დაცვითი სტილის თამაშს. "ანდერლეხტის" განადგურების შემდეგ კლუბის სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა თავისი ფეხბურთელების მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა. "კლასნიჩიც და კლოზეც მსოფლიო დონის ოსტატები არიან. ასეთ შემტევ ხაზზე მხოლოდ ოცნება შეიძლება!"

ბრემენელთა მთავარმა მწვრთნელმა, რომელიც, ჩვეულებრივ, თავშეკავებულია, ამჯერად ემოცია ვერ დაფარა და ეიფორიას აჰყვა. "გოლები, უბრალოდ, შესანიშნავი იყო, - სიხარულს გამოხატავდა შააფი, - მიკუ ულამაზესია! რა მომენტები შექმნა ივანისა და მიროსთვის!".

იმ დროს, როცა მინდორზე ბურთით კლასნიჩი უაღრესად აგრესიულია, ცხოვრებაში ის საკმაოდ ჩუმი ადამიანია. თავმდაბალმა ფორვარდმა ინტერვიუში განაცხადა, რომ არ ღირს მის დამსახურებაზე საუბარი და თანაგუნდელები შეაქო. "მე მოხარული ვარ გატანილი გოლების გამო, მაგრამ, ჩემი პარტნიორები რომ არა, ისინი არ იქნებოდნენ", - ამბობს ხორვატი.

შეიძლება ასეთ თავშეკავებას გარკვეული საფუძველიც აქვს. ამ სეზონში კლასნიჩის ანგარიშზე ბუნდესლიგის 11 მატჩში მხოლოდ 3 გოლია - საკმაოდ მოკრძალებული შედეგია. ამასთან, "მაინცთან" მატჩი კლასნიჩმა სათადარიგოთა სკამზე დაიწყო და შემდეგ შეცვლაზე გამოვიდა.

"ვერდერში" კლასნიჩის წარმატებებმა მას ხორვატიის ნაკრებისკენ გაუხსნა გზა. ის გერმანიაში, კერძოდ, ჰამბურგში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა, მისი მშობლები ხორვატები არიან. ფორვარდის სანაკრებო დებიუტი თებერვალში შედგა. შემდეგ ის ევროპის ჩემპიონატის განაცხადშიც მოხვდა, მაგრამ პორტუგალიაში არც ერთ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიუხედავად, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კლასნიჩის იმედი აქვთ.

ამჟამად კლასნიჩი გულშემატკივართა და ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღების ცენტრშია. ის უმაღლეს დონეზე თამაშობს. თუმცა, უმაღლესი საფეხბურთო იერარქიისკენ მიმავალი გზა სულაც არ იყო იოლი. საფეხბურთო კარიერა მან დაიწყო ჰამბურგის "უნიონ-03-ის ახალგაზრდულ გუნდში, რომელიც გერმანიის ქვედა დივიზიონში ასპარეზობს. შემდეგ ფეხბურთელი "სანქტ-პაულის" სკაუტების თვალთახედვის არეალში მოექცა, სადაც ოთხი სეზონი გაატარა. კლუბი მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა. 2001 წელს ხორვატმა ფეხბურთელმა ბრემენის "ვერდერის" წინადადება მიიღო.

კლასნიჩი თავმდაბლობას სწორედ რეგიონულ გუნდში მიეჩვია. ჩემპიონთა ლიგაში გატანილმა გოლებმა მას თავბრუ ვერ დაახვია. "ჯერჯერობით ეს არაფერს ნიშნავს. მე წარმატებით მაშინ დავტკბები, როცა ფინალში გავალთ", - ამბობს ფეხბურთელი. თუ ფორვარდი სასურველ ფორმას შეინარჩუნებს, შეიძლება თოფიდან 25 მაისს სტამბულის სტადიონზეც გაისროლონ.

ჭიდაობა

# მსოფლიო თასი ჩვენია

ბიბა ბურასაშვილი

ჯერ ზურნამ, მერე კი მედოლეთა ტრიომ დასცხო. მათ გარმონთა დუეტმა აუბა მხარი. მედოლეებმა ისეთი შეუბერეს, სპორტის სასახლეს ლამის გუმბათი ახადეს, თუმცა, მალე დაშოშმინდნენ და "ახალ ქართულ ხმებსა" და ნანი ბრეგვაძეს დაუთმეს არენა. "თბილისოს" სუხიშვილები მოყვა, სუხიშვილებს - ბერძენ-რომაელთა მსოფლიო თასის გათამაშების მონაწილეების აღლუმი. აშშ-ის, ბელორუსის, საფრანგეთის, ირანისა და საქართველოს ნაკრებები შესაბამისი თანმიმდევრობით მწკრივდებოდნენ საჭიდაო ხალიჩის გასწვრივ.

აღლუმს მსოფლიო თასის გათამაშებისადმი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) პრეზიდენტის, შვეიცარიელი რაფაელ მარტინეტის მისასალმებელი სიტყვა მოყვა. თავდაპირველად მაღალჩინოსანი "ფალავნის" სალამქალამს ყველა უსმენდა, მაგრამ, როგორც კი თქვა, კარგია, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ თბილისი - კავკასიის დედაქალაქი მასპინძლობს მსოფლიო თასსო, მარტინეტის ხმა გულშემატკივართა ოვაციამ თუ შეძახილებმა დაახშო.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კიდევ, დე, ღირსეულმა გაიმარჯვოსო...

საქართველოს ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა დაამატა: ღირსეული იქნება ის გუნდი, რომლის გამარჯვება ყველაზე მეტად ჩვენ გაგვიხარდებაო.

ბოლოს ისევ ძასოხოვმა თქვა, მსოფლიო თასი გახსნილად გამომიცხადებიაო.

მისასალმებელ სიტყვებს "მართვეს" "მრავალჟამიერი" მოყვა. "მრავალჟამიერის" შემდეგ სარბიელის ირგვლივ ფოიერვერკთა შადრევნებმა იფეთქა.

...ქსოვრელები ეტლებით შემოუძღვნენ სახელოვან ქართველ ფალავნებს, მსოფლიო ჩემპიონებსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს.

ერთი სიტყვით, ასეთი იყო მსოფლიო თასის გახსნის საზეიმო ცერემონიალი.

ვინაიდან თბილისურ მსოფლიო თასს ხუთის ნაცვლად ოთხი გუნდი ეწვია, შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებული გახდნენ, გათამაშება წრიული სისტემით ჩაეტარებინათ (წრიული სისტემა იმას ნიშნავს, რომ ყველა ყველას ხვდება, ანუ შეჯიბრება კედელი-კედელზე მიმდინარეობს). თასის მფლობელი, ცხადია, ხდება ის გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს. ყველაზე მეტად სუფთა გამარჯვება ფასდება - ოთხი ქულა; ქულებით მოგება ისე, რომ







გოგიტა ბუხაიძის ფოტოები

მეტოქე ერთი ქულის აღებასაც ვერ ახერხებს - სამ ქულად, ხოლო თუ გამარჯვებულმა ერთი ქულა მაინც დაკარგა - 3:1.

პირველ წრეში საქართველოს ნაკრები ფრანგებს ეჭიდავებოდა. ეს ორთაბრძოლები რიხიანად დაიწყო და ასევე დასრულდა. თუმცა, ჩვენებს ერთხელ მაინც დაუცდათ ფეხი. ბარიერის გადალახვა ბადრი ხასაიასთვის (74კგ.) შეუძლებელი აღმოჩნდა (ხასაია ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელია).

ჩვენმა ნაკრებმა შვიდიდან ექვსი ბრძოლა მოიგო და 23 ქულა მოაგროვა.

მეტ-ნაკლებად სანერვიულო ირანელებთან მეორე წრის ორთაბრძოლები გამოდგა. აქ ქართველ მოჭიდავეებს მეტოქისთვის ისეთი აშკარა უპირატესობით აღარ მოუგიათ, როგორც ეს საფრანგეთის ნაკრების შემთხვევაში იყო. ლაშა ლომაძემ (60კგ) და ომარ ბაკურიძემ (66კგ.) კი სულაც წააგეს. ბადრი ხასაიამ პირველ წრეში ნაწვნევი მარცხი ერთბაშად აანაზღაურა, როდესაც მეტოქესთან წმინდა გამარჯვებას მიაღწია. ერთი სიტყვით, ირანელებმა ორჯერ დასცეს ჩვენი ფალავნები, ჩვენებმა კი ხუთჯერ გააკრეს ბეჭებზე და 18 ქულაც აიღეს. შაბათ საღამოს, მესამე წრეში, ბელორუსებს გავეჯიბრეთ. აქაც, პირველის მსგავსად, მხოლოდ ერთი ბრძოლა დავთმეთ. დამარცხებული ახალგაზრდა ბაკურიძე აღმოჩნდა. ექვსმა მოგებულმა ორთაბრძოლამ კი 19 ქულა მოუტანა საქართველოს გუნდს.

კვირა დღე, გარდა იმისა, რომ მსოფლიო თასის მფლობელის ვინაობა უნდა გარკვეულიყო, იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ უმთავრესი ასპარეზობების პარალელურად ფალავნობაც მოეწყო. შეჯიბრება დილიდანვე გახურდა. ორგანიზატორები, ალბათ, გულშემატკივრის მისაზიდად, იტყობინებოდნენ, ათენის ოლიპიური თამაშების ჩემპიონი ზურაბ ზვიადაურიც იასპარეზებსო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნახევარფინალური ორთაბრძოლა მომავალ ფინალისტთან ზვიად ჩინჩალაძესთან წააგო. თუმცა, იმისთვის, რომ ჩინჩალაძისთვის ფინალური საგზური გამოეწერათ, გვარიანად აღვრევინეს ოფლი. იმისთვის, რომ მისთვის გამარჯვება მიეკუთვნებინათ, ზვიადაურის ორჯერ დამარცხება მოსთხოვეს. ყოველ შემთხვევაში, მსაჯებს ასე გამოუვიდათ. მართალია, ზვიადაურს შემდგომ ერთგვარი რეაბილიტაციისთვის მესამე ადგილისთვის ბრძოლა რჩებოდა, მაგრამ, ვერ გეტყვით, მოტივაცია დაკარგა თუ რაიმე სხვა მიზეზი იყო, მესამეობისთვის გიორგი ყიზილაშვილთან დასაჭიდებლად აღარ გავიდა. ფინალში კი ქართული ჭიდაობის აბსოლუტური ფალავანი, ძიუდოისტი ალექსი დავითაშვილი და ზვიად ჩინჩალაძე წარდგნენ. რომ ვთქვათ, ფანდების კორიანტელი ვიხილეთო, მართალი არ იქნება. ორმა მძიმეწონოსანმა ისეე გააჯანჯლა, რომ მათ შერკინებას ბოლო აღარ უჩანდა. მეზურნეებს ხომ ლამის ლოყები დაუსკდათ. ბრძოლა რამდენჯერმე შეწყვიტეს კიდეც - ფალავანთა გაფრთხილების მიზნით. ბოლოს კი შედარებით აქტიურობისთვის გამარჯვებულად ცნეს დავითაშვილი, რომელიც მეშვიდედ გახდა ფალავანთა ფალავანი.

სხვათა შორის, მათი მონაწილეობით გუშინდელი ორთაბრძოლა ზედიზედ მეორე ფინალი გახლდათ. დავითაშვილს ჯილდოდ სამი ათასი დოლარი გადაეცა, ჩინჩალაძეს - ორი ათასი, ხოლო ყიზილაშვილს - ათასი.

ფალავანთა ფინალი ერთგვარი შესახურებელი სანახაობა იყო საქართველოსა და აშშ-ის ნაკრები გუნდების დასკვნითი ორთაბრძოლის წინ.

თავიდანვე აშკარა იყო, რომ მსოფლიო თასს ვერავინ შეგვეცილებოდა. მართალია, ძლიერი ნაკრები გვყავს, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თასის მოცილეები ძლიერი შემადგენლობით არ გამოირჩეოდნენ. ფაქტობრივად, ქართველთა თითოეულ მეტოქეს მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატებისა თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ტურნირების მედლები ჰქონდათ. ერთი სიტყვით, მეტოქეები ძირითადი ნაკრებებით რომ გვწვეოდნენ, გაცილებით საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლებს ვიხილავდით.

ამერიკის ნაკრები კი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა. ჯერ ირაკლი ჭოჭუამ (55კგ) გვარიანად გვანერვიულა ვინმე ლინდსეი დურლაჩირთან - 8:6. მერე, მართალია, ლაშა ლომაძემ (60კგ) ჯო ვარეიზე წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ეიფორიიდან გამოსულებიც არ ვიყავით, რომ ჩვენმა ვეტერანმა, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანმა აკაკი ჩაჩუამ (66კგ) გლენ ჰარისონთან 1:3 წააგო. თუმცა, ჩაჩუას, რომელიც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ომარ ბაკურიძის ნაცვლად აჭიდავა, ეპატიება, რადგან წონა შეიცვალა და, ამასთან, სულ ახლახან გარდაეცვალა მამა.

...ხასაიამ ისევ მოიგო, თანაც, ისე, რომ დერი ქრისტიანს ქულაც არ დაანება და ისევ მარცხი. მუხრან ვახტანგაძემ, სიდნეის თამაშების კიდევ ერთმა ბრინჯაოსანმა, 0:3 წააგო ბრედ ვერინგთან.

ყველაზე გამორჩეული ორთაბრძოლები 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვიხილეთ. რა თქმა უნდა, ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელის რამაზ ნოზაძის მონაწილეობით. მის გამოჩენას მაყურებელი განსაკუთრებული ოვაციით ხვდებოდა. ისიც იგებდა და იგებდა. თანაც, წინა დღით დაშავებული მუხლითა და გამაყუჩებლებით, რომელსაც რამდენჯერმე უკეთებდნენ. ეტყობა, ტრავმის კიდევ გართულების თუ ეშინოდა, მაგრამ, ფაქტია: წუთსა და 13 წამში ადამ ველერი ჯერ ჰაერში აწია, მერე ბეჭებით გააკრა ხალიჩაზე.

დასკვნითი ორთაბრძოლაც ჩვენი იყო. მძიმეწონოსანმა მირიან გიორგაძემ რუს დევზე 4:0 იმარჯვა და მთლიანობაში ამერიკელებთან 18 ქულას მოვუყარეთ თავი.

მეორე ადგილზე ირანელები გავიდნენ, მესამეზე ამერიკელები. მსოფლიო თასი კი ჩვენია. მას ვერვინ შეგვეცილება...

რაგბი

# "ლათინთა თასი" ლათინებს დარჩათ

პაატა თოთაძე

სამხრეთ ამერიკაში მყოფმა საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა საკონტინენტთაშორისო თასზე მეორე მატჩიც წააგო. ბორჯღალოსნები ამჯერად ჩილეს ნაკრებთან დამარცხდნენ 24:30 და ბოლო ადგილზე გავიდნენ.

ეს ტურნირი რაგბის საერთაშორი საბჭომ მოიგონა და მასში მონაწილეობისთვის ეგრეთ წოდებული "მესამე დონის" ქვეყნები შეარჩია – ნოემბერში ლამის მთელი მსოფლიო თამაშობს და ესენი რატომ უნდა დაიჩაგრონო. ჰოდა, ადგა და მოიგონა ტურნირი, თანაც, ძირითადად, თვითონვე დააფინანსა. თავდაპირველი თასის გათამაშება ევროპაში გასამართი ტესტ-მატჩების განრიგს ემთხვეოდა. ეს მსოფლიო რაგბის მამებმა დიდი ამბითაც აღნიშნეს – ნოემბერი რაგბის თვეა, ჰოდა, ყველამ უნდა ითამაშოსო. თანაც, კლუბებს მოუწოდეს, ნაკრებში გამოძახებული ყველა მოთამაშე უპრობლემოდ გაეშვათ. ის კი დაავიწყდათ, რომ ნოემბერში საქართველოსა და პორტუგალიას ერთა თასის მატჩები აქვთ და ამიტომ თამაშების ერთი კვირით ადრე გამართვა ბრძანეს. ისე მოხდა, რომ ტურნირის თავდაპირველი სახელწოდება საკონტინენტთაშორისო თასი ჯერ "ლათინთა თასად", შემდეგ კი "კოპად" გადაინათლა. გრძლად მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში თუ მოიხსენიება.

ჯილდოსთვის ბრძოლას ქართველები ტურნირის პირველივე დღეს გამოეთიშნენ ურუგვაისთან მარცხის შედეგად (7:17). შეჯიბრების სისტემა ისეთი იყო, რომ ჩილე და ურუგვაი მხოლოდ მასპინძლებად გვევლინებოდნენ, სტუმრობა მომავალ წელს იყოსო. ქართველებს პირველ მატჩში ურუგვაიში მოუწიათ სტუმრობა. მეორე მატჩში ჩილე პორტუგალიას მასპინძლობდა და 9:28 დამარცხდა. ჩილელთა ცნობით, პორტუგალიელთა მძლავრ შერკინებას და დაცვაში ბრწყინვალე თამაშს მასპინძლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. შესაბამისად, გამარჯვებულიც ურუგვაი-პორტუგალიის წყვილს უნდა გაერკვია. საქართველოსა და ჩილეს ვითომ მესამე ადგილისთვის, სინამდვილეში კი გამოცდილების მისაღებად უნდა ეთამაშათ.

მატჩი ჩვენი უპირატესობით დაიწყო. პირველ წუთზე მჭედლიშვილმა ლელო გაიტანა. თანაგუნდელს ვალიშვილმა და ურჯუკაშვილმაც აუბეს მხარი და ნახევარი საათის შემდეგ ბორჯღალოსნები 24:10 იგებდნენ. რა მოხდა ამის შემდეგ, გაუგებარია (არც ჩილეს რაგბის კავშირის საიტზე მოიპოვება დაწვრილებითი ინფორმაცია). თუმცა, ფაქტია, რომ ამის შემდეგ ქულებს მხოლოდ მასპინძლები აგროვებდნენ. შესვენებისთვის ჩვენი უპირატესობა ერთ ქულამდე შემცირდა – 24:23, მატჩის განახლებისთანავე კი ჩილელებმა მეოთხე ლელო გაგვიტანეს და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს. ფინალურ მატჩში ურუგვაიმ შანსი არ დაუტოვა პორტუგალიას – 30:3 სძლია, რაც ერთობ დიდი მოულოდნელობად შეფასდა. მომავალ წელს ტურნირს ევროპა უმასპინძლებს. თუ მასში მონაწილეობა გვინდა, ერთა თასზე საუკეთესო სამეულში უნდა მოვხვდეთ, რადგან რუმინეთი, ირბ-ს ფიქრით, "მეორე დონისაა" და ბობოლებთან გაჯიბრების საშუალება ეძლევა.

ქართველები ხვალ დაბრუნდებიან სამშობლოში. ხვალვე ჩამოვლენ საფრანგეთიდან გამოძახებული ლეგიონერები და ნაკრები რუსეთთან მატჩისთვის დაიწყებს მზადებას.

გუშინ რუსეთის ნაკრები ცხრადღიან შეკრებაზე საფრანგეთში გაემგზავრა. "დათვები" იქ ორ მატჩს გამართავენ "ბორდოსთან", რის შემდეგაც ნაკრების ახალი მწვრთნელი იგორ მირონოვი 20 ნოემბერს საქართველოს წინააღმდეგ სათამაშო შემადგენლობას დაასახელებს. ამჯერად მწვრთნელმა საფრანგეთში წაიყვანა: ხროკინი, კობზევი, კორშუნოვი, მოტორინი, კაზანცევი, ბელოუსოვი, კუზინი, კლუჩნიკოვი, ტრავკინი, ვოიტოვი, პანასენკო, კუშნარიოვი, რომაკი, კორობეინიკოვი, აკულოვი, ი. რეჩნევი, ა. რეჩნევი, ნოვიკოვი, შუკაილოვი, სიმონოვი, გვოზდოვსკი, საგდეევი, ფედჩენკო. მათ საფრანგეთში შეუერთდებიან სერგეევი, გრაჩოვი და რაჩკოვი. შესაძლოა, მირონოვმა გუნდში კიდევ ორ ლეგიონერს, შალიუტას და უანბაევსაც უხმოს. მართალია, თავდაპირველად ის მათ გამოძახებას არ აპირებდა, მაგრამ მოთამაშეთა ტრავმებმა მწვრთნელს ბევრი საფიქრალი გაუჩინა და მათი მიწვევაც მხოლოდ ამან განაპირობა.

**ჩილე – საქართველო 30:24**

**ჩილე:** ილიანესი (პავესი), კონტრერასი, ხოანეტი (იგა), დესმონდი (მარსალი), გარსია, ბენეტი, ვესტენენკი (მარინი), ხიმენესი, ოლავე, ონეტო, ბერტი, ეჩევერია (სოლესი), პისარო, ლორენსი, კრუსი

4 ლელო – ვესტენენკი (2), ბერტი, ხოანეტით
2 გარდასახვა და 1 საჯარიმო – კრუსი
1 არეკნი - ონეტო

**საქართველო:** სანიკიძე (ნინიძე), ჭავჭავაძე, სანაძე (ზერექაშვილი), გორგოძე, მჭედლიშვილი, ბოლღაშვილი, სარდანაშვილი (ზ. მაისურაძე), ვალიშვილი (ჩიკვაიძე), კვირიკაშვილი, ბარკალაია, ელიზბარაშვილი, შკინინი (მაჩხანელი), ფირფილაშვილი, გუგავა, ურჯუკაშვილი

3 ლელო – მჭედლიშვილი, ვალიშვილი, ურჯუკაშვილი
3 გარდასახვა და 1 საჯარიმო - ურჯუკაშვილი

TV-სპორტი

## ორშაბათი. 8 ნოემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**
06:30 NBA TV. "TORONTO RAPTORS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" – "არსენალი"
14:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ – "მარსელი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 უკრაინის ჩემპიონატი. "ტავრია" – "შახტიორი"
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი
19:45 საფეხბურთო უიკენდი
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:30 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" – "სპორტინგი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:25 01:25-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV – NBA შიგნიდან
03:30 NBA TV – ყველაფერი NBA- შ შესახებ: 1991 წლის ფინალები: მეჯიკ ჯონსონი – მაიკლ ჯორდანი
04:30 NBA TV - დღიური
05:00 NBA TV. "UTAH JAZZ"-"DENVER NUGGETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:10 პრესცენტრი
10:20 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "PITTSBURGH STEELERS" - "PHILADELPHIA EAGLES"
13:40 "საჭადრაკო მიმოხილვა"
14:10 სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი პროფესიონალთა შორის. მე-2 ნაწილი
16:30 როდეო. "Bull Riders"
17:15 "რკინის ფაქტორი"
17:45 ჩოგბურთი. "Masters Series" პარიზში. ფინალი. შესვენებისას (19:00) – პრესცენტრი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:00 "ქრონიკა"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 "ჰოკეი-პლუს"
21:25 კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. კოსტია ცზიუ – შარმბა მიტჩელი
23:25 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა იაპონიიდან
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
01:00 "ჰოკეი-პლუს"

**EUROSPORT**
10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ნიუ იორკის მარათონი
12:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი
13:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. გამოსასვლელ დღეებში
14:30 ველოსპორტი. მსოფლიო თასი (ტრეკი) მოსკოვში
16:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
19:30 ფეხბურთი – ევროგოლები
20:30 მულტისპორტი
21:00 სუმო – ტურნირი (ბაშო)
22:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
02:00 ახალი ამბები
02:15 ფეხბურთი – ევროგოლები
03:15 ახალი ამბები

# რა დააშავა წიგნმა?

მერაბ ქათამაძე



საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტის შემქმნელი ჯგუფი აცხადებდა, რომ იგი არავის დაუწესებდა შეღავათებს. სამაგიეროდ შეამცირებდა გადასახადების რაოდენობასა და საგადასახადო განაკვეთებს. პარლამენტში წარდგენილი პროექტით კი შენარჩუნებულია უამრავი შეღავათი დღგ-ზე (მუხლი 229) და დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები (მუხლი 230). **წიგნი ამ ჩამონათვალიდან ამოვარდა** (გამონაკლისია კ პუნქტი - საპატრიარქოს მიერ წიგნის მიწოდება, რომელიც რელიგიური მიზნით გამოიყენება და ფ პუნქტი - წიგნის მიწოდება ან/და იმპორტი).

რას უქადის ეს ცვლილება წიგნის სექტორს?

ერთი საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება გავიხსენოთ: წიგნი ორბუნებოვანი კატეგორიაა - ის არა მხოლოდ ეკონომიკური პროდუქტია, არამედ კულტურული ფასეულობაცაა.

საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტი აღარ გულისხმობს დღგ-ს შეღავათებს წიგნის ბეჭდვისათვის. მოქმედი კოდექსი კი აწესებდა ასეთ შეღავათებს. კერძოდ, 101-ე მუხლის პ, ს, ტ და ფ პუნქტების ძალით წიგნის (კოდექსის ტერმინოლოგიით - სამეცნიერო ლიტერატურა, სასწავლო სახელმძღვანელო, საბავშვო ლიტერატურა და მხატვრული ლიტერატურა გარკვეული შეზღუდვებით) ბეჭდვა, მიწოდება ან/და იმპორტი დღგ-სგან გათავისუფლებულია.

საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტის მიღება წიგნის სექტორისათვის ნიშნავს წიგნის ბეჭდვაზე დღგ-ის 18-პროცენტიანი განაკვეთის დაწესებას. შესაბამისად, გაიზრდება წიგნის საცალო ფასი. როგორც ცნობილია, დღგ არაპირდაპირი გადასახადია - მას მეწარმე კა არა, მყიდველი იხდის ანუ ფასნამატის სიმძიმე მკითხველის მხრებზე გადავა.

წიგნზე ფასის ზრდა შეამცირებს წიგნის ისედაც მცირე გაყიდვებს. გაყიდვების შემცირება გამოიწვევს შემოსავლების შემცირებას წიგნის სექტორში. შემცირდება წიგნების საერთო ტირაჟი და ახალი დასახელების წიგნების რაოდენობა. ამას კი ისედაც მწირი სამუშაო ადგილების დაკარგვა მოჰყვება - დაიხურება გამომცემლობები და წიგნის მაღაზიები.

მსგავსი პროგნოზი რეალურ ფაქტებს ემყარება. კერძოდ, 1996-2001 წლებში რუსეთში მოქმედებდა კანონი "მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და წიგნის ბეჭდვის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ", რომლითაც სოლიდური შეღავათები დაუწესდა ამ სფეროებს: დღგ-სგან განთავისუფლდა არა, უბრალოდ, წიგნის ბეჭდვა, არამედ საგამომცემლო და პოლიგრაფიული საქმიანობა წიგნის შესაქმნელად, წიგნის რეალიზაცია და ტრანსპორტირება; გადასახადისაგან გათავისუფლდა ის მოგება, რომელსაც გამომცემლობები წიგნების გამოშვება-გავრცელებით იღებდნენ; რედაქციებს უსასყიდლოდ გადაეცათ ოფისები; სახელმწიფომ განახორციელა "სოციალური შეკვეთა" საგამომცემლო სფეროში, რაც გულისხმობდა სხვადასხვა სახის წიგნების გამოცემის დაფინანსებას... ამას შედეგად მოჰყვა რუსეთის წიგნის სექტორის განვითარება, რაც საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. 2001 წელს რუსეთში ახალი დასახელებების წიგნების რაოდენობამ 70 ათასს მიაღწია და წიგნის ინდუსტრიის ლიდერ-ქვეყანათა შორის მე-5 ადგილზე დამკვიდრდა.

რუსეთში პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებას ამ კანონის შეჩერება მოჰყვა - 2002 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა შეღავათები. აი შედეგიც: ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით უკვე 2002 წლის I კვარტალში წიგნზე ფასები 30-40 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წიგნების საერთო ტირაჟი 10 პროცენტით შემცირდა.

მოდით, თავი დავანებოთ რუსეთს და ვნახოთ, როგორია ევროპული პრაქტიკა. ამისათვის კი ერთი ამბავი გავიხსენოთ.

2002 წლის თებერვალში ევროსაბჭომ საქართველოს წიგნის სექტორის შესასწავლად ოფიციალურად მოავლინა საგამომცემლო საქმის ექსპერტი გჟეგოჟ ბოგუტა. იმავე წლის ივნისში მან კულტურის სამინისტროს გამოუგზავნა კიდეც წიგნის პოლიტიკის მიმოხილვა და რეკომენდაციები სახელწოდებით - "საქართველოს წიგნის სექტორის პოლიტიკის მიმოხილვა". სამწუხაროდ, ყოფილი ხელისუფლების მიერ ეს დოკუმენტი იგნორირებულ იქნა და შესაბამისად - შესაძლო დახმარებაც ევროსაბჭოს სტრუქტურებიდან.

აი, ბოგუტას ერთ-ერთი რეკომენდაცია: "წიგნებზე, პერიოდიკასა და სხვა კულტურულ მასალებზე დღგ-ის 0, ან მაქსიმუმ 5 პროცენტიანი განაკვეთის დაწესება (ევროკომისიის რეკომენდაცია); ამით უნდა შეიცვალოს დღეს მოქმედი შეღავათების სქემა ზოგიერთი სახის გამოცემაზე".

## რეკომენდაცია და რეალობა

ევროსაბჭოს ექსპერტის რეკომენდაციაში ორი საინტერესო მითითებაა: ევროკომისიაზე მითითება და ბოლო ფრაზა, რომელიც რეკომენდაციას აზუსტებს.

ევროსაბჭოსაგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს კულტურისა და განათლების საკითხებზე აკეთებს, ევროკომისია ევროკავშირის ქვეყნების (ანუ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების) ადმინისტრაციული სტრუქტურაა. ლოგიკურად ჩნდება კითხვა: თუკი მდიდარ და მეტი შესაძლებლობების ევროპელ კოლეგას მისი ხელისუფლება ასეთ შეღავათს უწესებს, ჩვენმა გამომცემელმა თუ წიგნით მოვაჭრემ რა დააშავა? იქნებ იგი ისეთი უნიათო და უქნარაა, რომ საყოველთაო შეღავათს არ იმსახურებს? აქ კი რამდენიმე ფაქტის გახსენება მომიწევს.

საქართველოში დამოუკიდებელი საგამომცემლო ბიზნესის ჩამოყალიბება-განვითარება ათიოდე წელს თუ ითვლის და დღევანდელი გადასახედიდან რამდენიმე მოვლენა იმსახურებს ყურადღებას: ყოველწლიური თბილისის წიგნის ფესტივალი, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა თავი როგორც მნიშვნელოვანმა მოვლენამ ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში (ზემოხსენებული ექსპერტის მიერ ფესტივალი შეფასებულია "ყველაზე მნიშვნელოვან ინიციატივად"); სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზრობა, რომელმაც სერიოზულად შეზღუდა სასკოლო სახელმძღვანელოების "შავი ბაზარი"; წიგნის მაღაზია "პარნასი", "ლიტერატურული კაფე" და "წიგნის სახლი" - წიგნით ვაჭრობის ობიექტები, რომელიც მკითხველის თანამედროვე მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს; წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე თბილისში - ახალი საერთაშორისო ინიციატივა, რომელშიც საქართველოც ჩაერთო; ლიტერატურული კონკურსი "პენ-მარათონი"; ლიტერატურული პრემია "საბა"...

ეს ჩამონათვალი ზღვაში წვეთია, იმასთან შედარებით, რაც გასაკეთებელია. ამით მხოლოდ იმის აღნიშვნა მინდა, რომ საქართველოში დაიწყო წიგნის სექტორის თანამედროვე მოდელის ჩამოყალიბება. ამ საქმის სათავეებთან კი კერძო პირები, გამომცემლები და წიგნით მოვაჭრეები დგანან.

უმადურობა იქნებოდა არ აღმენიშნა საერთაშორისო ფონდების მხარდაჭერა. ზემოთ ჩამოთვლილ ზოგიერთ ინიციატივათა რეალიზება ვერ მოხერხდებოდა, რომ არა ფონდები - "ღია საზოგადოება - საქართველო" და "ევრაზია".

ახლა ისიც გავიხსენოთ, თუ რას აკეთებდა ამ დროს ხელისუფლება: მან ბედის ანაბარა მიაგდო ბიბლიოთეკები, არ ზრუნავდა მათი წიგნადი ფონდების განახლებასა და ელემენტარული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებაზე; უყურადღებობა გამოიჩინა ყოფილი სახელმწიფო გამომცემლობების მიმართ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა გაკოტრდა და დაიხურა, რედაქციათა თანამშრომლები კი უმუშევრად დარჩნენ; ხელისუფლების უყურადღებობის გამო გაჩანაგდა "ცეკავშირის" წიგნის გავრცელების ქსელი, რომელიც წიგნებით ამარაგებდა საქართველოს რაიონულ და სასოფლო ცენტრებს; "საქწიგნმა", რომელიც ასევე სახელმწიფო სტრუქტურაა, უკვე კარგა ხანია დაკარგა წიგნით ვაჭრობის ქსელის სტატუსი. მიმდინარეობს "საქწიგნის" კუთვნილი წიგნის მაღაზიების ფარული პრივატიზაცია, ხოლო დარჩენილ მაღაზიებს ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, გარდა წიგნის მაღაზიისა; დღემდე ვერ შეიქმნა ავტორთა წახალისების სახელმწიფო სისტემა (ჰონორარების განთავისუფლება გადასახადებისაგან, გრანტი, სხვა შეღავათები...).

არც დღეს მოქმედი შეღავათი გამოიყურება სრულფასოვნად შემდეგ მიზეზთა გამო: (1) ესაა შეღავათი არა ზოგადად წიგნზე, არამედ სხვადასხვა ლიტერატურაზე. ზუსტი საზღვრის გავლება კი ლიტერატურის კატეგორიებს შორის ძალიან რთულია. არადა ამ საკითხს საგადასახადო ინსპექტორი წყვეტს. (2) ესაა შეღავათი არა წიგნის გამოცემაზე, არამედ წიგნის ბეჭდვაზე. წიგნის ბეჭდვა კი წიგნის საგამომცემლო ციკლის მხოლოდ ერთი ეტაპია. მოქმედი შეღავათი არ ვრცელდება არც წიგნის ბეჭდვამდელ (სარედაქციო სამუშაოები, ფირის ამოღება, მონტაჟი, ფორმის დამზადება...) და არც ბეჭდვის შემდგომ სამუშაოებზე (აკრეფა, აკინძვა, ე. წ. ფინიშინგი...). საგადასახადოს ინსპექტორს შეუძლია აქაც მოგედავოს. (3) ამას ემატება დასაბეგრი და დაუბეგრავი ბრუნვა, რაც შეღავათს კიდევ უფრო ამცირებს...

მგონი, საკმარისია, წერილის მკითხველი უკვე გადაიღალა დაზუსტებებითა და ახსნა-განმარტებებით. საკითხის ბუნდოვანების ინტერპრეტაცია კი საგადასახადო ადმინისტრაციის პრეროგატივაა. როგორც წესი, იგი "სათავისო" ვარიანტს ამჯობინებს, თუმცა შეუძლია "საშენო" ვარიანტსაც დაეთანხმოს. უმრავლეს შემთხვევაში ეს ვაჭრობა გარიგებით მთავრდება: მოქმედი შეღავათი წიგნზე ვრცელდება, ბიუჯეტი აქედან არაფერს იღებს, ინსპექტორი კმაყოფილია, გამომცემელი - შეურაცხყოფილი. ზოგადად ამ შეღავათს ჩვენი კოდექსის ენაზე "დღგ-ისგან გათავისუფლება" ეწოდება.

მკითხველს ვთხოვ, მიუბრუნდეს ევროსაბჭოს რეკომენდაციაში გამოყენებულ ტერმინს: "დღგ-ის ნულოვანი ან მაქსიმუმ 5 პროცენტიანი განაკვეთი". დიახ ასე და არა სხვაგვარად! რადგან მოქმედი შეღავათი, ევროპული სტანდარტებით შეღავათად არ გამოიყურება. ამ სიტყვებს ადასტურებს ევროსაბჭოს რეკომენდაციის დაზუსტება ("ამით უნდა შეიცვალოს დღეს მოქმედი შეღავათების სქემა ზოგიერთი სახის გამოცემაზე") და გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციის (www.ipa-uie.org) დოკუმენტი. გრაფაში "დღგ-ის განაკვეთი წიგნზე" საქართველოს გასწვრივ დგას რიცხვი - 20 %, ანუ ეს "შეღავათი" არ განიხილება შეღავათად.

სამწუხაროდ, ამით არ ამოიწურება უსიამოვნო პროგნოზები. სავარაუდოა, რომ ამგვარი ფორმულირების მიღების შემდეგ გარკვეული ტიპის წიგნების გამოცემის შეკვეთები საზღვარგარეთ განთავსდება. ამას კი შემდეგი ფაქტორები განაპირობებს: (1) წიგნების იმპორტი თავისუფლდება დღგ-ისგან. (2) წიგნების იმპორტზე 2005 წლის 1 იანვრიდან წესდება ნულოვანი საბაჟო გადასახადი.

საზღვარგარეთ ძირითადად ძვირადღირებული გამოცემები განთავსდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, მოსალოდნელია სერიოზული თანხების გადინება საზღვარგარეთ, მეორე მხრივ, განვითარების პერსპექტივასა და მოტივაციას ვუსპობთ პოლიგრაფიულ კომპანიებს, ანუ საქართველოს მთავრობა ატარებს პროტექციონისტულ პოლიტიკას საზღვარგარეთელი მეწარმეების სასარგებლოდ.

საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტის მომხრეთა აზრით, შესაძლო დანაკარგების კომპენსირებას წიგნის გამოსაცემად საჭირო ქაღალდის იმპორტის საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლება მოახდენს. ჯერ ერთი, დღეს ეს განაკვეთი 2 პროცენტს შეადგენს ანუ ვერაფერი შეღავათია, და მეორეც, ეს საკითხი წინა ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ 2002 წლის 6 დეკემბერს გადაწყდა საქართველოს კანონში "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" ცვლილებების შეტანით. სწორედ იმ ცვლილებით 2005 წლის 1 იანვრიდან ქაღალდის (აგრეთვე წიგნების) იმპორტზე საბაჟო გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნული პროცენტით.

დღეს ყველა ქვეყანამ - იქნება იგი განვითარებული თუ განვითარებადი - გაითავისა, რომ წიგნი მხოლოდ ეკონომიკური პროდუქტი არაა, წიგნი კულტურული ფასეულობაა. ამიტომაცაა, რომ მთავრობები იღებენ ვალდებულებას სპეციფიკური საგადასახადო და საბაჟო წესები დააწესონ წიგნის სექტორისათვის. ამ წესების მოწინააღმდეგე ყველგან ფინანსთა სამინისტროა. ასეა ჩვენთანაც. სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ შევეცდები მათ დარწმუნებას მათსავე ენაზე.

## ფინანსურ-ეკონომიკური ასპექტი

თანამედროვე წიგნის ბიზნესის შესაფასებლად გამოიყენება რამდენიმე მაჩვენებელი. ერთ-ერთია საგამომცემლო კომპანიების ბრუნვის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ).

2002 წელს ევროკავშირის ქვეყნების ამ საშუალო სტატისტიკურმა მაჩვენებელმა შეადგინა 0,26 პროცენტი. ვიყოთ ოპტიმისტები და საქართველოც მივიჩნიოთ ამ რანგის ქვეყანად.

ელემენტარული გაანგარიშებით ეს პროცენტული მაჩვენებელი რეალობაში შეადგენს 9,1 მლნ დოლარის ღირებულების პროდუქციის ბრუნვას. ამ თანხის შესაბამისი დღგ არის 1,52 მლნ დოლარი. ამ პროდუქციაში სამეცნიერო ლიტერატურის, სასწავლო სახელმძღვანელოს, საბავშვო ლიტერატურისა და მხატვრული ლიტერატურის ხვედრითი წილი უდიდესია და მოქმედი კოდექსის თანახმად მასზე დღგ-ის შეღავათი ვრცელდება. დარჩენილ ნაწილზე "გარიგების" ზემოაღნიშნული მექანიზმი მოქმედებს, ანუ ბიუჯეტი ვერაფერს იღებს.

თუ ფინანსთა სამინისტროს მიზანი 1,52 მლნ დოლარის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში მოქცევაა, მაშინ პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ეს თანხა ახალი კოდექსის მიღების შემდეგ შემცირდება (ახალი დასახელებების, ტირაჟებისა და გაყიდვების შემცირების გამო). ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ძალზედ ოპტიმისტური (საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყნის რანგში) გაანგარიშება გავაკეთეთ, ეს თანხა კიდევ უფრო შემცირდება.

შემდეგი მაჩვენებელი - ყოველწლიურად გამოცემული დასახელებების რაოდენობა ერთ მილიონ მოსახლეზე. ჩვენი მოსახლეობის რაოდენობა 4,4 მლნ-ია, ახალი დასახელებების საერთო რაოდენობა 1300. ანუ საქართველოს შესაბამისი მაჩვენებელი 295 წიგნს შეადგენს. ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 1029 წიგნია, საუკეთესო კი - 2400. რუსეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 467 წიგნს.

კიდევ ერთი მაჩვენებელი - ყოველწლიურად გამოცემული წიგნების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე. კვლავ გათვლებს მივმართოთ: როგორც უკვე შევთანხმდით, საქართველოში წიგნების საერთო ღირებულება შეადგენს 9,1 მლნ დოლარს. წიგნის საშუალო ფასი 6 ლარი ანუ 3.24 დოლარია (თბილისის წიგნის ფესტივალის მონაცემი). მაშასადამე წიგნების საერთო რაოდენობა 2,81 მლნ-ს შეადგენს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით კი ეს მაჩვენებელი 0,64 წიგნია. ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი 6-7 წიგნია, საუკეთესო კი - 10-12 წიგნი. რუსეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 3,24 წიგნს ანუ ჩვენზე 5-ჯერ მეტს!

"საქართველოში ძალიან მცირე რაოდენობის რეგისტრირებული გამომცემლობაა," - ნათქვამია ევროსაბჭოს დოკუმენტში და მაგალითად მოყვანილია მცირე მოსახლეობისა და ფართობის ქვეყნები: სლოვაკია (2200 გამომცემლობა) და ლატვია (1400 გამომცემლობა). ჩვენთან რეგისტრირებულ გამომცემლობათა რაოდენობა 200-ს აღწევს და წიგნებზე შეღავათების გაუქმების შედეგად მოსალოდნელია მათი რაოდენობის კიდევ უფრო შემცირება. ამას კი ახლად ფეხადგმული სექტორის რღვევა და სიმწრით შექმნილი სამუშაო ადგილების დაკარგვა მოჰყვება.

ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, თუ რა სუსტია ჩვენი წიგნის სექტორი. საგადასახადო კოდექსის ახალი პროექტის მიღება ამ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს.

## ლიტერატურული კატეგორიები თუ წიგნი?

საქართველოს წიგნის ბაზრის უმნიშვნელოვანეს სეგმენტს სახელმძღვანელოები შეადგენს. წიგნზე დღგ-ის 18 პროცენტიანი გადასახადის დაწესება სახელმძღვანელოებსაც გააძვირებს ანუ მოსწავლეებისა და სტუდენტების გარკვეული რაოდენობისათვის სახელმძღვანელო ხელმიუწვდომელი გახდება. ეს კი მშობელთა და პედაგოგთა პროტესტს გამოიწვევს.

შესაძლოა, ამ მსჯელობის საფუძველზე შეღავათები მხოლოდ სახელმძღვანელოებზე დაწესდეს. მაშინ შეღავათებს მიღმა აღმოჩნდება შემდეგი კატეგორიის წიგნები: სამეცნიერო-პოპულარული, საცნობარო, კლასიკური, პროფესიული, სახელოვნებო... მაგრამ ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწორედ ასეთი წიგნები ესაჭიროებათ მოსწავლეებს, სტუდენტებს, მეცნიერებს და სპეციალისტებს საგანმანათლებლო და კულტურული მიზნებისათვის?

იგივე ითქმის "მასობრივ ლიტერატურაზეც": თანამედროვე ავტორების პროზა და პოეზია, სადაც არა მარტო მოზრდილთა, არამედ მოზარდთა თანამედროვე ცხოვრებაა აღწერილი; საზღვარგარეთელ ავტორთა ნაწარმოებები, რომელიც სწორედ სასწავლო პროცესში გამოიყენება. ასეთი წიგნების ტირაჟები დაბალია და შესაბამისად მცირერენტაბელურიც (ზოგჯერ წამგებიანიც). მაგრამ ეს პლასტი განათლების, კულტურისა და მეცნიერების შემადგენელი ნაწილია. ამ კატეგორიის წიგნების შეღავათებს მიღმა დარჩენა მასზე ფასს გაზრდის. ვინ იყიდის ძვირ წიგნს? უწიგნოდ როგორ გავაღვივოთ კითხვის ინტერესი? და საერთოდ, ზუსტი საზღვრის გავლება ლიტერატურის კატეგორიებს შორის ძალიან რთულია.

ნუთუ მაინც უნდა გავიმეოროთ შეცდომა და ზღვარი გავავლოთ ლიტერატურის კატეგორიებს შორის? რატომაც არა, შეიძლება. საბჭოთა კავშირში ამას ცენზურა ეწოდებოდა. თუმცა, ამას თავი დავანებოთ. მსგავსი გადაწყვეტილების რეალიზაციის გზაზე სხვა წინააღმდეგობებიც ჩნდება: ეკონომიკური და კორუფციული.

## ეკონომიკური წინააღმდეგობა და კორუფცია

როგორ უნდა იმუშაოს სავაჭრო ქსელმა, როცა ფორმით ერთი და იგივე საქონელი უნდა გაიყიდოს სხვადასხვაგვარად: ერთი 18-პროცენტიანი დღგ-ით, მეორე - შეღავათით? ამისათვის აუცილებელი გახდება საორგანიზაციო-ტექნიკური და ინფორმაციული ღონისძიებები, რაც სერიოზულ დანახარჯებს მოითხოვს. ვაჭრობის მენეჯერებში ეს ისეთ შოკს გამოიწვევს, რომ ზოგმა შეიძლება წიგნით ვაჭრობაზე საერთოდ განაცხადოს უარი.

აქ სხვა, განსაკუთრებული საფრთხეც გველოდება. იქმნება შეღავათიანი რეჟიმით მანიპულირების შესაძლებლობა. აქედან კი ერთი ნაბიჯია იმ ჩინოვნიკთა კორუმპირებულობამდე, ვინც გადაწყვეტილებას იღებს.

აი, ასეთია მსგავს გადაწყვეტილებათა კომპეტენტურობის ფასი.

ამ საკითხზე გადწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები: (1) თუ მთავრობა გამოჰყოფს ლიტერატურულ კატეგორიებს, მაშინ გაჩნდება "განსაკუთრებული ეკონომიკური საქონელი", რომელიც სხვადასხვაგვარად უნდა გავრცელდეს: (ა) წიგნით ვაჭრობის "განსაკუთრებული" არხებით და (ბ) გამომცემლის საკუთარი სავაჭრო ქსელით, რომელსაც განსაკუთრებული ბუღალტრული აღრიცხვა ექნება. მაგრამ წიგნის გავრცელების მსგავსი სქემები საქართველოში არ არსებობს და ძნელი დასაჯერებელია, ვინმემ შექმნას. (2) მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს, რა თქმა უნდა, აქვს უფლება არ დააწესოს ან დააწესოს შეღავათები, მომხმარებლისათვის საქონლის უფასო გადაცემის ჩათვლით. ეს საყოველთაოდ ცნობილი მექანიზმია და მას სახელმწიფო შეკვეთა ეწოდება. მაგრამ მსგავს "სოციალურ შეკვეთაზე" რომ არავინ საუბრობს?

რატომ უნდა მივიღოთ ობივატელური და პოპულისტური გადაწყვეტილებები? რატომ არავინ ფიქრობს მსგავს გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და მექანიზმების შესაძლებლობების თაობაზე?

ბოლოს და ბოლოს როდის მიხვდებიან ჩინოვნიკები, რომ წიგნის სექტორი განათლების, კულტურის, მეცნიერების დარგია. იგი უნიკალურ პროდუქტს უშვებს, სადაც ერთი მეორეს არ ჰგავს და ამიტომაც გასაყიდი წიგნების ასორტიმენტი რაც შეიძლება ფართო უნდა იყოს. საქართველოში წლიურად გამოცემული დასახელებების რაოდენობა 1300-ს აღწევს. რუსეთის ანალოგიით, დასახელებების რაოდენობა მხოლოდ 10 პროცენტით რომ შემცირდეს, მკითხველი 130 ახალ წიგნს დაკარგავს.

ახლა ეს ყველაფერი ავწონ-დავწონოთ. სასწორის ერთ პინაზე დავდოთ ჩვენი მოსახლეობის განათლებისა და ცოდნის დაცემა, მოსახლეობის გაუცხოება, სამუშაო ადგილების დაკარგვა, გამომცემლობებისა და წიგნის მაღაზიების დახურვა, მკითხველი საზოგადოების უკმაყოფილება, მშობელთა და პედაგოგთა პროტესტი... რა უნდა დადოს მეორე პინაზე ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებმა?

ამიტომ, გონივრული იქნებოდა ევროსაბჭოს რეკომენდაციის გაზიარება - წიგნებზე (და არა ლიტერატურის კატეგორიებზე!) დღგ-ის ნულოვანი ან მაქსიმუმ 5 პროცენტიანი განაკვეთის დაწესება.

უნდა შევნიშნო, რომ განათლებისა და კითხვის პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დადგა, არაა მოულოდნელი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის. თავის დროზე ისინიც ამგვარ პრობლემებს წააწყდნენ. მაშინ ამ ქვეყნის მთავრობებმა სპეციალური მასშტაბური პროგრამები შეიმუშავეს, რომლებიც ფედერალური და რეგიონული ბიუჯეტებიდან დაფინანსდა. ამ პროგრამებს ყურადღება დღემდე არ მოჰკლებია.

წიგნის სექტორი "სასათბურე" პირობებს არ ითხოვს. იგი ითხოვს ისეთსავე პირობებს, რომელშიც ჩვენი ევროპელი კოლეგები არიან.

## ევროსაბჭოს რეკომენდაციები

მკითხველისათვის საინტერესო იქნება ევროსაბჭოს რეკომენდაციების სრული სია:

(1) წიგნის სექტორის პოლიტიკის მომზადება და კოორდინაცია თავის თავზე უნდა აიღოს კულტურის სამინისტრომ.

(2) წიგნის პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს: (ა) პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების როლის განსაზღვრა საგამომცემლო საქმიანობისა და წიგნით ვაჭრობის სფეროებისათვის; (ბ) სპეციფიკური საგადასახადო წესების განსაზღვრა წიგნის სექტორისათვის; (გ) წიგნის სექტორში საბაჟო გადასახადების შესახებ ფლორენციის შეთანხმებისა და ნაირობის პაქტის ხელმოწერა (რატიფიკაცია); (დ) წიგნის სექტორში ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა და განხორციელება.

(3) ყველა სახის წიგნებზე, პერიოდიკასა და სხვა კულტურულ მასალებზე დღგ-ის 0 ან მაქსიმუმ 5 პროცენტიანი განაკვეთის დაწესება (ევროკომისიის რეკომენდაცია). ამით უნდა შეიცვალოს დღეს მოქმედი შეღავათების სქემა ზოგიერთი სახის გამოცემაზე.

(4) საგანმანათლებლო გამოცემების თაობაზე სახელმწიფომ უნდა: (ა) გაანალიზოს, მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ სასკოლო სახელმძღვანელოები თუ სახელმწიფომ, რათა შემდგომ მიაქირაოს ან სიმბოლურ ფასად გადასცეს მოსწავლეებს. მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული სესხი პროგრამისათვის "განათლების სისტემის გარდაქმნა და განმტკიცება", შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ყველა არსებული შესაძლებლობების შესაფასებლად და დამოუკიდებელი აუდიტორული ორგანოს შესაქმნელად, რაც მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობის გარანტია იქნება; (ბ) აღმოფხვრას სასკოლო სახელმძღვანელოების "შავი ბაზარი" მსოფლიო ბანკის ექსპერტების რეკომენდაციების სწრაფი განხორციელების გზით; (გ) გაატაროს ერთიანი პოლიტიკა ეროვნულ დონეზე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დასახმარებლად. კულტურისა და განათლების სამინისტროებმა უნდა მოახდინონ ღია და საჯარო დისკუსიების ინიციირება აკადემიური გამოცემებისა და სასწავლო სტანდარტების თაობაზე. სახელმწიფომ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა მიერ ნაწილობრივ ლეგალური (არალეგალური) გამოცემების საკითხს.

5) წიგნით ვაჭრობას სახელმწიფოსაგან სასწრაფო დახმარება ესაჭიროება (საგადასახადო სტიმულირება, სასწავლო პროგრამების შემუშავება და ა. შ.). სწრაფად უნდა მოხდეს სახელმწიფო სტრუქტურის "საქწიგნის" პრივატიზება, რათა მან შეინარჩუნოს წიგნის მაღაზიების ქსელში წამყვანი როლი და მოემსახუროს ყველა გამომცემლობას. პრივატიზაციის პროცესი თავისუფალი, გამჭვირვალე და ყველასათვის მისაღები უნდა იყოს.

(6) საგადასახადო სტიმულირების პროგრამა უნდა გატარდეს: (ა) ქართული ლიტერატურის გამომცემლებისათვის - თავისუფალი (უპროცენტო) სესხების პრინციპით; (ბ) მცირე წიგნით მოვაჭრეთათვის - დაბალპროცენტიანი სესხების პრინციპით (შვედური მოდელი).

(7) სავალდებულო ეგზემპლარის (ბიბლიოთეკებისათვის) მოთხოვნა მიღებულ უნდა იქნეს ცალკე საკანონმდებლო აქტით ან კანონში "საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" დამატების სახით. სავალდებულო ეგზემპლარების რაოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ოთხს. ISBN (International Standart Book Number)-ის გამოყენება ყველა გამომცემლისათვის სავალდებულო უნდა გახდეს.

(8) ბიბლიოთეკები წიგნის პოლიტიკის მთავარი საგანია. ამიტომ ისინი სათანადოდ უნდა დაფინანსდნენ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო და საზოგადოებრივ ბიბლიოთეკებს და მათ ურთიერთთანამშრომლობას.

(9) კულტურის სამინისტროსთან უნდა შეიქმნას კულტურის სახელმწიფო ფონდი. კარგ მოდელად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ლატვიის კულტურის ფონდი.

(10) კულტურის სამინისტრო უნდა დაეხმაროს გამომცემლებს, ბიბლიოთეკებსა და წიგნით მოვაჭრეებს Books in Print-ის შექმნაში, რათა ამუშავდეს კატალოგიზაციის თანამედროვე სისტემა.

(11) წიგნის სექტორის წარმომადგენლები (ავტორი, გამომცემელი, პოლიგრაფისტი, წიგნით მოვაჭრე, ბიბლიოთეკარი) აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის სხდომებში.

აქვე განვმარტავ რამდენიმე კატეგორიას: (1) ფლორენციის შეთანხმება გულისხმობს საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გაუქმებას წიგნის იმპორტზე (რატიფიცირებულია 98 ქვეყანაში), ხოლო ნაირობის პაქტის - საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლების გაუქმებას წიგნის გამოსაცემად საჭირო მასალებისა და მოწყობილობების იმპორტზე (რატიფიცირებულია 40 ქვეყანაში); (2) ISBN ნიშნავს წიგნების ნუმერაციას, რითაც შესაძლებელი ხდება ქვეყნის, გამომცემლობისა და წიგნის იდენტიფიკაცია. ეს არის შესანიშნავი საშუალება მოწესრიგდეს სტატისტიკა (გამომცემლობათა რაოდენობა, დასახელებების რაოდენობა). გაიოლდება აღრიცხვა (კონტრაფაქცია, შეღავათების ობიექტი, გამომცემლობის იდენტიფიკაცია), რაც მუშაობას გაუადვილებს საგადასახადო ადმინისტრაციასაც; (3) ლატვიის კულტურის ფონდი ფონდი კონცენტრირებულია კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებისა და ინდივიდუმების პირდაპირ მხარდაჭერასა და სუბსიდირებაზე. ფონდის ფინანსურ წყაროს 2000 წლამდე შეადგენდა საბიუჯეტო ასიგნებები და ლატარიებისა და სათამაშო ბიზნესის გადასახადი უშუალოდ ფონდში. 2000 წლიდან დაფინანსების სისტემა შეიცვალა და ახლა ფონდის რესურსები ფორმირდება ალკოჰოლისა და თამბაქოს შემოსავლის 3 პროცენტიანი გადასახადით. შესაძლოა, ალკოჰოლისა და თამბაქოს ბიზნესის დაკავშირება კულტურის წარმატებასთან სადავო იყოს. მაგრამ ლატვიის საზოგადოება "ლატვიის კულტურის სახელმწიფო ფონდის" საქმიანობას წარმატებულად აფასებს; (4) Books in Print არის ახალი წიგნების კატალოგი, რომელშიც თავმოყრილია უკვე გამოცემული და დღე-დღეზე გამოსაცემი წიგნების ნუსხა სათანადო ანოტაციით.

ჩემი მოკლე კომენტარი ამ რეკომენდაციების თაობაზე ასეთია: უკეთესად ვერ იტყვი!

დასკვნა: რეალიზება რეკომენდაციებისა, რომელთა ნაწილი დღეს გამომცემელთა და წიგნით მოვაჭრეთა ოცნების სფეროს განეკუთვნება, აუცილებელი და საშური საქმეა. საქართველოს წიგნის სექტორი მიჯნაზე დგას. კერძო ინიციატივებს სისტემური გააზრება და სახელმწიფო მხარდაჭერა ესაჭიროება.

დაბოლოს, ეს რეკომენდაციები განთავსებულია ევროპის საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზეც (www.coe.int) და ასე იწყება:

"საგამომცემლო საქმიანობის სფეროში მრავალი პრობლემა არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა არ განიხილავს მას როგორც მნიშვნელოვან ფაქტორს ქვეყნის კულტურული და სოციალური პოლიტიკის სტაბილიზაციის საქმეში".

# ჟასმინოვანი ოსამა

## არა-ტერორისტული სუნამო ტერორისტის სახელით

არჩევნები დამთავრდა, ჯორჯ ბუშს თეთრი სახლიდან პირადი ქონების გამოზიდვა არ დასჭირდა, შესაბამისად, ბინ ლადენის შეპყრობის თემამაც რაღაც ვადით პოპულარობა დაკარგა. თუმცა, მსოფლიოში ყველაზე სასურველი კაცი (პირდაპირ თარგმნის შემთხვევაში ასე შესანიშნავად ქართულდება CIA-ს ფრაზა: the most wanted man in the world) მოდაში მაინც დარჩა. ბინ ლადენი მსოფლიოს ახლა სურნელის სახით მოევლინა. მისი ნახევარძმის იესლამ ბინ ლადენის ახალი სუნამოს პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინ პარიზში გაიმართა.



იესლამს სუნამო "ბინ ლადენი" რამდენიმე წელია მზად აქვს, მაგრამ მის გამოჩენას ხელი 11 სექტემბერმა შეუშალა. მერე ბიზნესმენი იმასაც მიხვდა, რომ ასე ღიად და აშკარად თავის პროდუქტს "ბინ ლადენს" ვერ დაარქმევდა და ამიტომ ახალ არომატს "იესლამი" უწოდა, თუმცა მინიშნება მსოფლიოში ყველაზე სასურველ კაცთან მაინც დატოვა.

მოკლედ, ბინ ლადენი მეორედ ჟასმინის სურნელით მოვიდა. და ეს მაშინ, როცა მისი სახელის გაგონებაზე მსოფლიოს სულ სხვა არომა-ასოციაციები უჩნდება. როგორც გამოცემის "თაიმს ოვ ინდიაზ" ჟურნალისტი აღნიშნავს: "ადამიანების უმრავლესობას ბინ ლადენის ხსენებაზე სისხლის სუნი სცემს, მის უფროს ძმას კი სურს, ბინ ლადენის წარმოთქმა და ჟასმინის სურნელის გახსენება ერთი და იგივე იყოს".

სუნამოების ბაზრის მკლევარები კი აღნიშნავენ, რომ ეს ასეც იქნება.

"ბინ ლადინი დამსახურებული გვარია, რომელსაც ხალხი წლებია, იცნობს", - დასძენს იესლამი და განმარტავს, რომ მის ოჯახში ამჯობინებენ გვარი ლადენი ლადინად დამარცვლონ. თვითონაც თავის თავს ბინ ლადინს უწოდებს.

"ღრმა, მაგრამ ნაზი არომა-შეტყობინება ბოთლში მათთვის, ვინც შინაგან სიმშვიდეს ეძებს", - ნათქვამია სუნამოს სარეკლამო ტექსტში.

"ვიცი, რომ ხალხი ცნობისმოყვარეობის გამო მაინც გასინჯავს სუნამოს და მიხვდება, რომ მეშვიდე ცაზე აღმოჩნდა", - ნათქვამია თავად ბინ ლადენის განცხადებაში.

მოკლედ, ყველაზე სასურველი კაცის ძმა ქალებს არაამქვეყნიურ სურნელს ჰპირდება და ამით სურს, მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ ყველა ბინ ლადენი ერთნაირად სასტიკი და გულქვა არ არის.

იესლამი, მართლაც, ასე გაიზარდა - ოსამას ანტიპოდის რანგში. ის მატერიალიზმში ჩაიძირა, მისი ნახევარძმა კი სულიერების სამყაროში გადაეშვა.

იესლამი ლიბანისა და შვედეთის კერძო სკოლებში აღიზარდა, ბიზნესის მართვის დიპლომი კი ლოს ანჯელესში, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტში მიიღო. როგორც თავად ამბობს, ის თითქმის არ იცნობდა მამას და არც თავის სასტიკ ნახევარძმას. მუჰამედ ბინ ლადინის ოცდასამივე ცოლს ხომ თავ-თავისი ცალკე სახლი ჰქონდა და მისი ორმოცდათოთხმეტივე შვილი ერთმანეთს უფრო ნათესავებად თვლიდნენ, ვიდრე - ძმებად.



უფროსი ბინ ლადინი ავიაკატასტროფაში დაიღუპა, მაშინ, როცა იესლამი პატარა იყო. მან, დანარჩენი მემკვიდრეების მსგავსად, მამისგან 40 მილიონი დოლარი მიიღო. 1991 წელს, სპარსეთის ყურის პირველი ომის დროს მისი ქონება შვეიცარიულ საბანკო ანგარიშებზე იყო მიმოფანტული. ის დღემდე განაგებს ოჯახის ფინანსური საქმეების ნაწილს ოფშორული კორპორაციების მეშვეობით.

ცხადია, ყოველივე ამის გამო, ფრანგი და შვეიცარიელი გამომძიებლები იესლამს ერთ ხანს "ალ ქაედასთან" კავშირსაც აბრალებდნენ, მაგრამ საქმე უკვე დახურულია და დასავლურ ყაიდაზე გაზრდილი ბინ ლადინიც ამტკიცებს, რომ ტერორისტებთან არანაირი ურთიერთობა არ აქვს, ხოლო 11 სექტემბრის ტერაქტებს შოკის მომგვრელს უწოდებს.

მან საქმე თავიდანვე შვეიცარიაში გაშალა. საინვესტიციო კომპანია დააფუძნა და კინოს სიყვარულით ჟენევას კინო-ფესტივალიც დაასპონსორა. მერე რამდენიმე ფილმის პროდიუსერობაც ითავა, მაგრამ პროდუქცია ჩაუწვა. წარუმატებლობის ტალღა 2000 წლამდე გაგრძელდა. 2001 წელს კი უკვე ახალი მიმართულების ძებნა დაიწყო.

"როცა საქმე ასე თუ ისე დარეგულირდა, მივხვდით, რომ საქმიანობა უნდა გაგვემრავალფეროვნებინა", - იხსენებს იესლამი, რომელმაც ბინ ლადენის სახელის გამოყენება მოდის სავაჭრო ნიშნად თვითონ მოიფიქრა. იმ დროისთვის ამ სახელსა და გვარს ბიზნესწრეებში მამის დამსახურების გამო ჯერაც დიდ პატივს სცემდნენ.

იესლამმა სახელი ბინ ლადენი სავაჭრო ნიშნად 2001 წლის მარტში, შვეიცარიაში დაარეგისტრირა, მერე უკვე ის ევროპის სხვა ქვეყნებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც განავრცო. ამერიკამდე ჩასვლას ხელი კი 11 სექტემბერმა შეუშალა.

ამავე მიზეზის გამო, ბიზნესმენი იძულებული გახდა, 2001 წელს რეგისტრაციაში გატარებული სავაჭრო ნიშანი საკუთარი ინიციალებით შეეცვალა - YB. თან არც იესლამი ჟღერდა ცუდად - ის ხომ არაბულად "წყალობის მინიჭებას", "მფარველობას" ნიშნავს. "სამ წელს ვიცადე და ბოლოს მივხვდი, რომ ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში უნდა გამეგრძელებინა. ჩემს პროექტს ხომ არავითარი კავშირი არ ჰქონდა პოლიტიკასთან", - აღნიშნავს ბინ ლადენი; იღებს "იესლამის" ფლაკონს, სუნამოს ხელის გულებზე ისხამს, ჯერ თითებს იფშვნეტს, მერე სურნელოვანი სითხით სახესაც ისრისავს და დასძენს, რომ მალე მამაკაცების ვერსიასაც გამოუშვებს - უფრო მძაფრს, კედარის არომატით გაჯერებულს, თუმცა თვითონ ქალების "იესლამი" უფრო მოსწონს.

ახლა იესლამი 54 წლისაა და ნამდვილი მდიდარი შვეიცარიელივით ცხოვრობს - ოფისთან "პორშე" უცდის, სრიალებს თხილამურებით, მართავს საკუთარ თვითმფრინავს, უყვარს ხატვა და პროფესიონალი ჩოგბურთელიცაა. დღეიდან კი, როგორც ხედავთ, გამდიდრებას პატარა ოჯახური პროვოკაციით ცდილობს. როგორც თავად განუმარტავს ჟურნალისტებს, "იესლამი" მან ასწლოვან ფრანგულ ფორმულაზე დაფუძნებით შექმნა - ფორმულაზე, რომლის მიხედვითაც 1920-იან წლებში Air de Paris გამოდიოდა. ამ არომატის მსგავსი ახლო აღმოსავლური სურნელი ევროპულ ბაზარზე არ მოიძებნება - ამაყად აცხადებს ის და დასძენს, რომ მალე "იესლამის" სახელით მთელი რიგი აქსესუარების გამოშვებას აპირებს - მდიდრული შხაპის გელით დაწყებული ძვირფასი აბრეშუმის შარფებით დამთავრებული.

იესლამ ბინ ლადენი იმდენად მოერგო არომატების სამყაროს, რომ ტერმინოლოგიაც უკვე იქაური აქვს. ის ამბობს: "მე მყავს ცხვირი, რომელიც იტალიელია, მაგრამ გრასში ცხოვრობს", რაც ნორმალურ ენაზე რომ ვთარგმნოთ შემდეგს ნიშნავს: "მე დავიქირავე სუნამოების ექსპერტი, რომელიც იტალიელია, მაგრამ სამხრეთ საფრანგეთში, გრასში ცხოვრობს, ქალაქში, რომელიც სუნამოების მწარმოებლების მექად ითვლება".

## TV პროგრამა

8 ნოემბერი

### რუსთავი - 2

**08.11 07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** პერეკროსტკი **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.40** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** დოკ. ფილმი "კენედის მკვლელობა" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ამერიკელი სამურაი" (12) (დევიდ ბრედლი) **02.00** პატრული

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.40** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "ძახილი" (გ) **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "ცხელი ზაფხული" **13.00** კონცერტი -"ფორტე" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.25** იცხოვრეთ იოდდეფიციტის გარეშე **15.20** "ფორტუნა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **16.30** ფრაგმენტები სურათისთვის **17.00** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **17.25** ჩემი მშვენიერი ლედი **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "თავგადასავლები კარიბის ზღვაზე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.00, 23.00** მოამბე **21.05** სერიალი "ცხელი ზაფხული" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "მშვენიერი ხანა" (გ)

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** ერთი ჟურნლისტის მზერა. თ. ჩიხლაძე. **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "არამზადა" (15) (როს კემპლი)

### იმედი

**08.11 07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **07.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** "იმედის" დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 02.30** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მარგინალი" (გ) (ბელმონდო) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "საუკუნის გამორჩენილი ქალბატონები" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" 1-ლი ს. **23.10** საქმე ტ **23.40** "არჩევანი თქვენ" **00.55** სპ. პროგრამა "გოლი" **01.25** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **03.00** იმედის მელოდიები

### აჭარა

**09.00** საინფორმაციო დაიცესტი **09.20** სათავგადასავლო ფილმი "განძი" **10.50** ისტორიული ფილმი "ჟანა დ არკი" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფორმაციო გამოშვება **11.45** ისტორიული ფილმი "ჟანა დ არკი" (გაგრძელება) **13.35** კომედია "გამარჯობათ, მე თქვენი დეიდა ვარ" 1-ლი ს. **14.45** ბოევიკი "შირი" **16.50** მულტფილმი **17.45** მუსიკა **18.00** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.15** მელოდრამა "შავი თვალები" **20.10** მუსიკა **21.00** თრილერი "ორნი ქალაქში" **22.35** დოკუმენტური ფილმი **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.45** მისტიკა "ინდენტიფიკაცია"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Майкл Белл в фильме **"ЖЕЛАНИЕ ЛЕТАТЬ" 06.30** Динозавры в фильме "Земля до начала времен". **07.40** Олег Борисов в комедии **"СТЕЖКИ-ДОРОЖКИ" 09.00** "Пестрая лента". Олег Борисов. **10.10** "Непутевые заметки" **10.30** Пока все дома. **11.10** Тайны века. "Выстрелы у "Дома на набережной". **12.10** Клара Лучко в детективе **"ЛАРЕЦ МАРИИ МЕДИЧИ"**. **14.00** "Эскадроны смерти против Пабло Эскобара". **15.00** "Московская сага". Кинороман. Том I. **18.00** Вечерние новости. **18.10** Александр Масляков и "КВН-2004". **21.00** Время **21.45** Том Хэнкс в суперфильме **"ИЗГОЙ"**. **00.20** Бокс. **Костя Цзю - Шармба Митчелл. 01.30** Эрик Робертс в боевике **"РАПТОР" 03.20** Билли Боб Торнтон в комедии **"ПАПАША И ДРУГИЕ" 04.50** Сериал **"УБОЙНЫЙ ОТДЕЛ"**.

### НТВ

**05.50** Марина Шиманская в комедии **"БЕРЕГИТЕ ЖЕНЩИН"**. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Детское утро на НТВ. "Сказки Баженова". **08.40** Мультфильм "Дядя Степа - милиционер". **09.00** Сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА". 09.25** Едим дома. **10.20** Апельсиновый сок. **10.55** "Top Gear". Программа про автомобили. **11.30** Хоббиты. **12.05** Их нравы. **13.20** Особо опасен! **14.05** Светлана Рябова в комедии **"НЕ ХОЧУ ЖЕНИТЬСЯ!" 16.20** "Жена Сталина Надежда". Фильм из цикла "Хорошие, плохие, злые". **17.05** Василий Ланової в фильме **"ОФИЦЕРЫ"**. **19.40** "Русский "Титаник". Фильм Сергея Холошевского. **20.10** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2: ДЕТИ ПОДЗЕМЕЛЬЯ"**. Ч.2. **21.20** Хью Грант в комедии **"ЧЕТЫРЕ СВАДЬБЫ И ОДНИ ПОХОРОНЫ"**. **23.50** "ZIRKUS". Шоу-программа группы "Несчастный случай". **01.25** Журнал Лиги чемпионов. **01.55** Джек Скали в фильме **"ОПАСНОЕ ЖЕЛАНИЕ" 03.25** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: горы снежного барса". **04.25** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 05.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ"**.

## სკანვორდი



**Opel**-ის ავტომობილების წარმოება თარიღდება 1899 წლით,ხოლო თუკი ისტორიას უფრო ჩავეძიებით იგი აუცილებლად მიგვიყვანს **Adam Opel**-თან.
სწორედ იგი იყო ინდუსტრიის ფუძემდებელი, რომელმაც შექმნა თავისი კომპანია 1863 წელს რუსელსჰაიმში (გერმანია).

პირველი 36 წლის განმავლობაში კომპანია ძირითადად კონცენტრირებული იყო საკერავი მანქანებისა და ველოსიპედების წარმოებაზე. შემდგომში ადამ ოპელის ხუთმა ვაჟიშვილმა გააფართოვა კომპანიის შესაძლებლობები, რათა იგი საავტომობილო წარმოებად ექცია.

როგორც აღვნიშნეთ პირველი ავტომობილი შეიქმნა 1899 წელს. დღეს უკვე საუკუნის შემდეგ 50 მლნ. ადამიანზე მეტი (მსოფლიოს მაშტაბით) ახალი ოპელის ავტომობილით სარგებლობს. 1899 წელს კი წარმოების მოცულობა მხოლოდ და მხოლოდ 11 ავტომობილს შეადგენდა წელიწადში. დღევანდელი მონაცემებით კი ეს რიცხვი 1,6 მლნ-ს შეადგენს. სამგზავრო და კომერციული ავტომობილები იწარმოება 9 სხვადასხვა ამწყობ საწარმოში, რომლებიც განლაგებულნი არიან დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში. ევროპის საზღვრებს გარეთ კი ოპელის ავტომობილები იწყობა 13 ქარხანაში, რომლებიც მთელი მსოფლიოს მაშტაბით არის განთავსებული. ოპელის პროდუქცია სხვადასხვა სავაჭრო ნიშნით იყიდება დაახლოებით 170 ქვეყანაში.

"თანამედროვე ოპელის ავტომობილები არიან წმინდა გერმანული მოდელები"-აღნიშნავს კარლ-პეტერ ფორსტერი, რომელიც 2000 წლიდან გადმოვიდა **BMW**-ს კონცერნიდან და სათავეში ჩაუდგა ოპელის მარკის ახალი ავტომობილების წარმოებას. სწორედ მისი მოსვლის შემდგომ რუსელსჰაიმში 2001 წელს აშენდა მილიარდი დოლარის ღირებულების ახალი ქარხანა, სადაც ამჟამად აწყობენ ახალ **Vectra**-ს, **Signum**-ს და ოპელის მარკის სხვა ავტომობილებს.

რუსელსჰაიმის მოდერნულ ქარხანაში აწყობილი **OPEL Vectra** არის ბიზნეს კლასში ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული მარკა მსოფლიო ბაზარზე. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ 2003 წელს მძაფრ კონკურენტულ გარემოში ახალმა **Vectra**-მ მოიპოვა პრესტიჟული ტიტული "ოქროს საჭე". სულ რამოდენიმე კვირის წინ **OPEL Vectra**-მ 100 000კმ-იან შეუჩერებლივ გარბენში (მთავარი უარყოფითი კრიტერიუმი: ავტომანქანის დეტალების მწყობრიდან გამოსვლა), როგორც უსაფრთხო და გამძლეობით გამორჩეულმა ავტომანქანამ, ასევე მოიპოვა პირველი ადგილი. ამიტომაც იზრდება მისი პოპულარობა დღითიდღე.
ახალ **Vectra**-ს მოჰყვა ასევე ახალი **Astra**-ს წარმოება, რომელიც ორიოდე თვეა გამოჩნდა ევროპულ ბაზარზე. აქაც ოპელმა აჩვენა წარმოების გერმანული ხარისხი. ახალმა **Astra**-მ მიიღო უმაღლესი შეფასება-ხუთი ვარსკვლავი, ცნობილ საერთაშორისო **"Euro-NCAP"**- ქრეშ ტესტში. ახალი **Astra** კონკურენტული მოდელებიდან გამოირჩევა დინამიურობით, ელეგანტურობით, ინოვაციებითა და სოლიდურობით,რაც ასოცირდება დღევანდელ ოპელთან. სავარაუდოდ საქართველოს ბაზარზე ახალი **Astra** გამოჩნდება ნოემბრის ბოლოს.

შ.პ.ს. "აუტოჰაუზი" გთავაზობთ **OPEL**-ის თანამედროვე მოდელებს, როგორებიცაა **Vectra, Signum, Astra, Meriva** და სხვა,რომლებიც ადაპტირებულია ჩვენი გზებისა და გარემო პირობებისათვის. ავტომობილებზე ასევე ვრცელდება განვადებისა და 2 წლიანი გარანტიის პირობები. **OPEL**-ის სალონში თქვენ გელით მაღალკვალიფიცირებული პერსონალი თანამედროვე აპარატურითა და სპეც ხელსაწყოებით აღჭურვილი სერვის ცენტრი და ორიგინალი სათადარიგო ნაწილებით მომსახურეობა.

OPEL

შ.პ.ს. "აუტოჰაუზ"-ის მისამართია: აღმაშენებლის ხეივანი მე-7კმ. ტელ: 53 07 14, 53 07 16 ფაქსი: 53 07 15 ელ-ფოსტა: autohaus@access.sanet.ge






## აფრინდით ბრიტანეთის ავიახაზებთან ერთად

**$399**

-დან

**ლონდონი ჰითროუ ორი გზა**

ბილეთის დაჯავშნისთვის და სხვა ინფორმაციისთვის ეწვიეთ ინტერნეტ-გვერდს ba.com,
დაგვიკავშირდით: 94 07 19/20
ან მიმართეთ სამოგზაურო სააგენტოებს

BRITISH AIRWAYS

თბილისიდან გამგზავრების ფასები მოცემულია აეროპორტის მოსაკრებლისა და სხვა გადასახადების გარეშე. ბილეთის ვადა 12 თვეა. მისი დაჯავშნა უნდა მოხდეს 31.10.2004 ბოლო გაფრენა 31.03.2005-მდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით ბრიტანეთის ავიახაზების ოფისს ან სამოგზაურო სააგენტოებს. ფრენებს ახორციელებს დამოუკიდებელი ავიაკომპანია BMED



Athen
Barcelona
Bari
Berlin
Bilbao
Bologna
Budapest
Dresden
Dublin
Edinburg
Faro
Hamburg
Helsinki
Ibiza
Lisbon
London
Manchester
Madrid
Marseille
Milan
Malaga
Mallorca
München
Nice
Palermo
Palma
Paris
Pisa
Prague
Rome
Sevilla
Stockholm
Thessaloniki
Vienna
Warsaw
Valencia
Venezia
Zurich

KÖLN/BONN — TBILISI

თბილისი - კიოლნი/ბონი

ყოველ ორშაბათს
ST 1140 CGN-TBS 21:30/03:40

ყოველ სამშაბათს
ST 1141 TBS-CGN 04:40/08:05

ერთი გზა 255 EURO
ორი გზა 390 EURO

www.gexx.de

Sheraton Metechi Palace
20, Telavi St.
0209 Tbilisi, Georgia
Tel: +995 32 773171
Fax: +995 32 774171
sales@valley.ge

Flughafen Koeln/Bonn
51147 Koeln, Germany
Fax: +49-2203-54490
Georgien@GermaniaAirline.de

Callcenter: +49 1805 737100

Germania
Germania Fluggesellschaft mbH

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება — MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები — MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ბიზნესის მენეჯერი
უმაღლესი კვალიფიკაციით, ეძებს საინტერესო სამსახურს, მაღალი ანაზღაურებით.

ტელ: 899 778 080
ელ. ფოსტა: kozya53@mail.ru

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

შევიძენ საოფისე ფართს ქალაქის ცენტრალურ უბნებში ან დიღმის ტრასის გასწვრივ.
ტელ: 893 102 109 ნიკა